

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ინგლისური ფილოლოგია

სოფიო ყიფიანი

ეპისტემური მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური  
ველი ინგლისურსა და ქართულში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი მანანა რუსიეშვილი



2008

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესაგალი

გვ. 2

### თავი I მოდალობა, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია

§1. სემანტიკური ველის აღქმა სემანტიკურ-ლოგიკური საშუალებებით. გვ. 6

§2. ენის აღწერის ფუნქციურ-სემანტიკური მოდელი. გვ. 15

§3. მოდალობა, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია. გვ. 25

### თავი II მოდალობა ინგლისურ და ქართულ ენებში

§1. მოდალობის ტიპები ინგლისურ ენაში. გვ. 41

§2. ეპისტემური და დეონტიკური მოდალობა. გვ. 60

§3. მოდალობა ქართულ ენაში. გვ. 72

### თავი III ეპისტემური მოდალობის შეპირისპირებითი ანალიზი. გვ. 87

§1. ალბათობის გამომხატველი მოდალობა. გვ. 101

§2. ლოგიკური აუცილებლობის მოდალობა. გვ. 114

§3. დაურწმუნებლობის მოდალობა. გვ. 129

§4. დარწმუნებულობის მოდალობა. გვ. 136

§5. ექსპერიმენტი გვ. 143

დასკვნა გვ. 151

გამოყენებული ლიტერატურა გვ. 155

## შესავალი

მოდალობა არაერთგზის ყოფილა მეცნიერთა კვლევის საგანი. თუმცა, მიუხედავად უამრავი გამოკვლევისა, რომელიც მოდალობის პრობლემაზიკას ეძღვნება, მაინც არ არის ამოწურული მისი გაშუქების ყველა შესაძლო ასპექტი. როგორც სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ გვიჩვენა, მოდალობის კატეგორიის აღწერის ძირითად პრინციპს დღემდე წარმოადგენს ფუნქციურ-სემანტიკური პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ, ორიენტირებულია ენობრივი ერთეულების აღწერის პრინციპზე.

მოდალობის კატეგორიის სემანტიკური მოცულობისა და სპეციფიკის შესახებ სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს. იგი, ერთი მხრივ, განიხილება, როგორც "ურთიერთობა სუბიექტსა და პრედიკატს შორის" (პალმერი 1979: 56). მეორე მხრივ, არსებობს მოდალობის საკმაოდ ვრცელი განმარტება, სადაც მოდალობა განიხილება, როგორც "მოსაუბრის გრამატიკულად გამოხატული დამოკიდებულება რეალობის მიმართ" (ლიჩი 1980: 29). ამ განმარტებაში ლიჩი გულისხმობს მოსაუბრის დამოკიდებულებას მეტყველების შინაარსთან, მოსაუბრესთან, თავის თავთან, მეტყველების ფორმასთან, რაც მთელი რიგი მნიშვნელობების მოყვანის საშუალებას გვაძლევს: ეს შეიძლება იყოს ემოციური ურთიერთობის გამოხატვა, მოსაუბრის რეაქცია (შიში, მრისხანება, სიბრალული, მორალურ-ეთიკური დამოკიდებულება) უფლებრივი დამოკიდებულება მოსაუბრესთან ან საკუთარ თავთან.

როგორც ვთქვით, მოდალობის მრავალი განსაზღვრება არსებობს. თითოეული მათგანი გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებასა და მიმართებას სამეტყველო აქტების, სუბიექტურობის, არაფაქტუალობის, შესაძლებლობის და აუცილებლობის მიმართ. მოდალობის რამდენიმე სახე გამოიყოფა, მაგრამ სხვადასხვა მეცნიერთან ეს განსხვავებულ კლასიფიკაციის სახეს იღებს. ნაშრომის ერთ-ერთი ამოცანა მოდალობის ტიპებთან დაკავშირებული ლიტერატურის კრიტიკულად მიმოხილვაცაა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მასში გამოკვლეულ მასალაზე დაყრდნობით, პირველად ხორციელდება მოდალობის სისტემის შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენაში. ინგლისური და ქართული ენების მოდალობის შემცველ ენობრივ ერთეულთა გამოკვლევისას ნაშრომში ანალიზის მასალად აღებულია ძირითადად მე -20 საკუთარის

ინგლისელ, ამერიკელ და ქართველ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები. (იხ. ბიბლიოგრაფია)

**ნაშრომის ძირითად მიზანს** წარმოადგენს მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის კვლევა, არა როგორც ზოგადენობრივი მოვლენისა, არამედ როგორც კონკრეტულ ენებში არსებული ენობრივი ფენომენისა. ორი (ინგლისური და ქართული) სტრუქტურულად განსხვავებული ენის ამ მიმართებით კვლევა საფუძველს იძლევა დავადგინოთ ჩვენი შესასწავლი ობიექტის – ეპისტემური მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ზოგადი, უნივერსალური და კონკრეტულ-სპეციფიკური მახასიათებლები და მათ საფუძველზე ავაგოთ ეპისტემური მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი ინგლისურსა და ქართულ ენებში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად დასახული და გადაჭრილია შემდეგი თეორიული და პრაქტიკული ამოცანები:

1. გამოვლენილია სემანტიკური ველის გამომხატველი სემანტიკურ-ლოგიკური საშუალებები, შესწავლილია ენის აღწერის ფუნქციურ-სემანტიკური მოდელი;

2. გამოვლენილია მოდალობის გამომხატველ საშუალებათა სპეციფიკა ინგლისურ და ქართულ ენებში (ცალ-ცალკე);

3. შეპირისპირებულია მოდალობის შემცველი კონსტრუქციები ინგლისურ და ქართულ ენებში (კვლევის მეორე ეტაპზე მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით) მათ შორის არსებული განსაზღვრული შესაბამისობა/შეუსაბამობის დადგენის მიზნით და აგებულია ეპისტემური მოდალობის ველები.

4. დადგენილია ეპისტემური მოდალობის პრაგმატიკული პარამეტრები და ნიშან-თვისებები.

**კვლევის მეთოდად** ნაშრომში გამოყენებულია კომპლექსური და შეპირებითი ანალიზი, რომელიც ფასეული გამოდგა ნაშრომის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

**დისერტაციის თეორიული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს, თუმცა მოკრძალებულ, მაგრამ მაინც წინ გადადგმულ ნაბიჯს ენობრივი უნივერსალიების შესწავლაში, უფრო კონკრეტულად, მოდალობის ფუნქციონირებისა და ფორმების გამოვლენაში.

**დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა** განისაზღვრება იმით, რომ ამ ტიპის ანალიზი ხელს უწყობს ენათა შორის არსებული ინტერფერენციის დაძლევას. შესაბამისად, ნაშრომის შედეგები შეიძლება გამოდგეს ენობრივი და თეორიული კურსების როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

**შრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნითი ნაწილისაგან. დისერტაციას თან ერთვის გამოყენებული თეორიული ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებების სია.

ნაშრომის I თავში "მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია", დასაბუთებულია, რომ მოდალობის კატეგორიის აღწერის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ფუნქციურ-სემანტიკური პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ ორიენტირებულია ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების აღწერის პრინციპზე. ფუნქციურ-სემანტიკური მიდგომისას ძირითად სამუშაო „აღსაწერ“ ერთეულად წარმოგიდგება ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულთა ერთიანობას წარმოადგენს. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ორგანიზებულია ველის პრინციპით, მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურით - ცენტრალური და პერიფერიული. I თავში ასევე განხილულია სემანტიკურ ველთან დაკავშირებული საკითხები და მისი აგების ძირითადი სტრუქტურა.

II თავში "მოდალობა ინგლისურ და ქართულ ენებში", დაწვრილებით განხილულია მოდალობის ტიპები ორივე შესასწავლ ენაში. ინგლისურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მოდალობის ტიპებთან დაკავშირებით. ჩვენ ვეთანხმებით პალმერის მოსაზრებას, რომელიც მოდალობის სამ სახეს გამოყოფს: ეპისტემური, დეონტიური და დინამიური. ნაშრომის ამ ნაწილში ზოგადად არის განხილული მოდალობის სამივე ტიპი. ერთი ქვეთავი ეძღვნება ეპისტემური და დეონტიური მოდალობების შედარებას, რადგანაც ორივე მათგანი სუბიექტურია და ზოგჯერ ხდება ამ მოდალობის ტიპების ერთმანეთში არება. ხოლო რაც შეეხება მოდალობას ქართულ ენაში, მისი სრული კლასიფიკაცია ჯერ არ არსებობს. შესაბამისად, შევეცადეთ ქართულ ენაში მოდალობისადმი მიძღვნილ ლიტერატურაზე დაყრდნობით და, მეორეს მხრივ, განხილული მაგალითების საშუალებით აგვეო მოდალობის გარკვეული სისტემა ქართულში და, ამის შემდეგ, შეგვეპირისპირებინა იგი ინგლისური მასალისათვის.

ნაშრომის III თავი ეძღვნება ეპისტემური მოდალობის შეპირისპირებით ანალიზს ინგლისურსა და ქართულში. გამოვყოფთ ეპისტემური მოდალობის ოთხ სახეს: ალბათობას, აუცილებლობას, დარწმუნებულობასა და დაურწმუნებლობას, დაწვრილებით განვიხილავთ მათ გამომხატველ მოდალურ საშუალებებს ორივე ენაში და ვახდენთ მსგავსებისა და განსხვავების დაღვენას. ასევე კვლევის დროს საჭიროდ მივიჩნიეთ ექსპერიმენტის ჩატარება, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შევძელით დაგვენასა როგორ გადმოსცემს მოდალურ ელემენტებს არა მხოლოდ პროფესიონალი მთარგმნელი, არამედ სტუდენტიც. კვლევის შედეგად ავაგეთ სქემები, სადაც გადმოცემულია ეპისტემური მოდალობის გამომხატველი მოდალური საშუალებები ორივე ენაში, ასევე მათი გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი.

## თავი I

### მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია

#### §1. სემანტიკური ველის აღქმა სემანტიკურ-ლოგიკური საშუალებებით

ბოლო ათეული წლების ენათმეცნიერებაში აღინიშნება თეორიულ კონცეფციათა და მეთოდურ მიდგომათა მრავალფეროვნება სიტყვათა შორის სისტემური ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით.

ენის სისტემაზე და, კერძოდ, მის სემანტიკურ სისტემაზე მსჯელობისას, უცხოელ და რუს ლინგვისტთა მიერ შექმნილი სპეციალური ლიტერატურის განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ:


- 1) ზოგიერთ ნაშრომში ენის სემანტიკური სისტემა განიხილება, როგორც ენობრივ ერთეულთა სიმრავლე, რომელიც სისტემის წევრთა შინაგანი ურთიერთობის ანალიზის გარეშე შეისწავლება. ასეთი კვლევა მხოლოდ ენის ლექსიკური მარაგის თემატურ აღწერას გულისხმობს (დოლგიხი 1970: 5).
- 2) ენის სემანტიკური სისტემა განიმარტება, როგორც კონკრეტულ სემანტიკურ ველთა ერთობლიობა, რომელიც ენაში გამოიხატება ლექსიკური ველის საშუალებით (ი. ტრირი, ლ. ვაისგერბერი). სისტემის შესწავლისადმი ასეთი მიდგომა მოიცავს ენის სისტემის ელქმენტთა შორის ურთიერთობის და ურთიერთმიმართების ანალიზს.
- 3) ენობრივი სისტემა განიმარტება როგორც „სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკურ ველთა“ ერთობლიობა (ა. იოლესი, გ. იპსენი, ა. გუზნეცოვა და სხვანი) (დოლგიხი 1970: 6).

- 4) ენობრივი სემანტიკური სისტემა განიმარტება, როგორც სიტყვათმაწარმოებელ საშუალებათა გაერთიანება (ლ. ვაისგერბერი, მ. სტეპანოვა, ე. აიზბალტი და სხვანი).
- 5) ენობრივი სისტემა განიმარტება როგორც „იმპლიციტური შერწყმა“ ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელისა (blondehair) ან ზმნისა და სუბიექტისა/ობიექტისა (bark-dog, gasp-hand) (ვ. პორციგი, გ. მიულერი და სხვანი).

მნიშვნელოვნად გვეჩვენება ენის სემანტიკური სისტემისადმი სხვადასხვა მეცნიერთა დამოკიდებულებაზე საუბარი, რადგანაც მათი განხილვა და გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია ენის სემანტიკურ სისტემაზე საუბრისას.

ამრიგად, ძირითადი ოეორიული კონცეფციების გაანალიზებისას შეიძლება შევნიშნოთ, რომ ლექსიკის, როგორც სისტემის, განხილვის დროს ძირითადად ორი ურთიერთსაპირისპირო მიდგომა გამოიყოფა: ლოგიკური და ლინგვისტური.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ლექსიკის, როგორც სისტემის, აღწერისას იყენებს ლოგიკურ ერთეულებს, რადგანაც ისინი აიგივებენ ცნებას და სიტყვას. სემანტიკურ მიმართებებს სქემატურად ასახავს ე.წ. ფრეგეს სამკუთხედი ანუ სემანტიკური სამკუთხედი, რომლის უზოგადესი სახე ასეთია (გამყრელიძე ... 2003: 334):



სამკუთხედის წვეროებს შორის კავშირები არ არის ერთნაირი: ცნება დამოუკიდებლად უკავშირდება როგორც სიტყვას, ისე საგანს, ხოლო მიმართება საგანსა და სიტყვას შორის, რომელიც ნახატზე წყვეტილი ხაზით არის ნაჩვენები, გაშუალებულია ცნებით. ამ მიმართების დამყარების ოპერაციას რეფერენცია ეწოდება. მაშასადამე, რეფერენცია არის გამონათქვამის დაკავშირება იმასთან, რასაც ეს გამონათქვამი გამოხატავს გარეენობრივ სამყაროში (გამყრელიძე ... 2003: 335).

საგანს, ცნებასა და სიტყვას შორის ლოგიკური მიმართებები ენაში წარმოგვიდგება დენოტატს, აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის მიმართებების სახით. ცნების ლოგიკური კატეგორია ენობრივ ნიშანთან კავშირში სემანტიკურ კატეგორიად განიხილება. მნიშვნელობა და ცნება ერთი კონცეპტუალური სისტემის ორი მხარეა: პირველი მიმართულია ნიშნისკენ, მეორე – გარესამყაროსკენ.

სემანტიკის როგორც ენათმეცნიერების დარგის საგანია მნიშვნელობა ანუ მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის. აღმნიშვნელი განკუთვნილია რაიმე შინაარსის გადმოსაცემად და მას აღსანიშნი შეესატყვისება. მეორე მხრივ, აღსანიშნი არ გვექნება, თუ მას გამოხატვის საშუალება, აღმნიშვნელი არ გააჩნია. აღსანიშნსა და აღმნიშვნელს (კ. ი. ცნებასა და სიტყვას) შორის

მიმართება კონვერსიულია, ე. ი. ერთი აუცილებლად გულისხმობს მეორეს და პირუკუ.

ამა თუ იმ შინაარსს ენაში კონკრეტული გამოხატულება აქვს გაედა ამისა, აღსანიშნაა და აღმნიშვნელს შორის კავშირი დაფიქსირებულია მოცემულ ენაზე მოლაპარაკეთა ცნობიერებაში.

ენათა სემანტიკურ სისტემებს მნიშვნელობათა სიმრავლეები ქმნიან. ცნებათა ლოგიკური სისტემისაგან განსხვავებით, სემანტიკური სისტემები ყოველ ენაში თავისებურია. ისინი ასახავენ ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიკას: ყოველი ენა თავისებურად აყალიბებს და აჯგუფებს ცნებებს მათთვის მნიშვნელობის სტატუსის მინიჭებისას. სპეციფიკური ნიშნების მიხედვით შედგენილი ცნებები საერთოენობრივ მნიშვნელობას იძენს და წარმოგვიდგება სიტყვების (ან მათი ეკვივალენტების) სახით. არადისკრეტული ობიექტები, მაგალითად, ფერთა სპექტრი, სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად იყოფა. მაგრამ, რაც მთავარია, ადამიანებს ერთი და იმავე აზრის გამოხატვის უამრავი ენობრივი საშუალება აქვთ. სემანტიკური სისტემების ოვითმყოფადობის საფუძველია ნიშნის პირობითობის პრინციპი, ის, რომ ნიშანსა და ცნებას შორის მიმართება ზოგადად არამოტივირებულია: გარდა ამისა, მნიშვნელობები გამოიხატება ენათა სხვადასხვა იერარქიულ დონეზე (ერთი ცნება შეიძლება ერთზე მეტი სიტყვით იქნეს გამოხატული). ზოგიერთ ცნებას, რომელიც ერთ ენაში ექსპლიციტურად, ცხადად არის გამოხატული, სხვა ენაში შეიძლება კონტექსტი ავლენდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ენა სამყაროს აღსაწერად საკუთარ საშუალებებს იყენებს, რაც ამ ენათა გამოხატულების პლანში აისახება, ადამიანები არსებითად მსგავსად აცნობიერებენ გარეენობრივ სინამდვილეს. ასე რომ არ ყოფილიყო, სხვადასხვა ენობრივი კოლექტივების წევრები ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ, ვერ მოხერხდებოდა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, შეუძლებელი იქნებოდა უცხო ენის შესწავლაც. (გამყრელიძე . 2003: 337)

ამგვარად, ის ზოგადენობრივი და უნივერალური გამოცდილება, რაც საერთოა ყველა ადამიანისათვის, თავისებურ სემანტიკურ სტრუქტურებს ქმნის თითოეულ ენაში (შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ენის სემანტიკური სისტემები ერთი ზოგადი სისტემის ვარიანტებია). ეს სტრუქტურები ღირებულებას მოკლებულია მოცემული ენის ფარგლებს გარეთ.

ცნება, როგორც აღვნიშნეთ, არაიდენტურია სიტყვისა და პირუკუ. ნებისმიერი ცნება ენაში შეიძლება გამოხატული იქნეს სიტყვით ან სიტყვათა ჯგუფით. სიტყვამ, თავის მხრივ, შეიძლება გამოხატოს არა მხოლოდ ერთი ცნება, არამედ ცნებების მთელი ერთობლიობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცნება და სიტყვა არ ფარავს ერთმანეთს: ჩანს, ამ ფაქტის ცოდნა გვევლინება ერთ-ერთ მიზეზად იმისა, რომ ი. ტრირის გაგების მიხედვით, (სემანტიკური) ველი არ ემთხვევა სიტყვიერს (ლექსიკურს), ხოლო ლექსიკური მიდგომა, რომელსაც ეფუძნება ი. ტრირის და მის მიმდევართა კონცეფცია, საბოლოოდ წაკლებად დასაბუთებული აღმოჩნდება კონკრეტული ენის ლექსიკის სისტემატიზაციის დროს. (დოლგიხი 1970: 6).

ლექსიკისადმი "ლინგვისტური" მიდგომა წარმოდგენილია მკვლევართა მიერ, რომლებიც ლექსიკის როგორც სისტემის შესწავლის დროს ამოდიან თვით სიტყვის, როგორც ერთეულის არსიდან. ამის გამო ძირითადი ამ კონცეფციაში არის მათი არაიდენტურობა და, ამავე დროს, ცნებისა და სიტყვის განუყოფელი ერთობლიობა. სიტყვა არის ერთეული, რომელიც დამოკიდებულია პრაგმატიკულ ან სინტაქსურ მიმართებებზე. ლექსიკის, როგორც სისტემის შესწავლის ლინგვისტური მიდგომის ევექტურობა დადასტურებულია უამრავი ფაქტორით.

სემანტიკური ველი ( მათ შორის მოდალობისა, ზოგადად, და ეპისტემური მოდალობისა, კერძოდ) ეტაპობრივად და მიზანმიმართულად შეიძლება შესწავლილი იქნეს შემდეგნაირად:

- 1) კვლევის პირველ ეტაპზე აიგება კონკრეტული ველი (ზოგადი მოცულობით),
- 2) კვლევის მეორე ეტაპზე იგი იყოფა სემანტიკურ ჯგუფებად,
- 3) კვლევის მესამე ეტაპზე ხდება სემანტიკური ჯგუფების ანალიზი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი უფრო დაწვრილებით:

კვლევის I ეტაპზე რაიმე განსაზღვრული სპეციფიკური წესის (ხერხის<sup>1</sup>) საშუალებით აიგება კონკრეტული სემანტიკური ველი.

თანამედროვე სემასიოლოგიაში შეიძლება გამოიყოს სემანტიკური ველის გამოხატვის ექვი საშუალება, ესენია: სტრუქტურული, სტრუქტურულ-სემანტიკური, ფსიქო-ფიზიოლოგიური, სტატისტიკური, ფსიქოლიგნისტური და

<sup>1</sup> ხერხი - ეს არის მეცნიერულ-კვლევით საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება სემანტიკური ველის ასაგებად (დოლგიხი 1970: 7)

სემანტიკურ-ლოგიკური. საშუალებათა ეს სიმრავლე და მრავალფეროვნება გამართლებულია იმით, რომ, თავისთავად, ენის სემანტიკური სისტემა ისევე რთულია, როგორიც სამყარო, რომელსაც ის ასახავს და ამიტომ მისი აღწერა მხოლოდ კომპლექსური გზით არის შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, თეორიულად, ლექსიკურ-სემანტიკური ველის აღწერის ზემოთმოყვანილი საშუალებები სრულიად მართებულად გვეჩვენება და თითოეულ მათგანს აქვს თავისი დადებითი მხარეები. თუმცა მათ (ცალ-ცალკე) ახასიათებთ ერთი საერთო სერიოზული ნაკლი: ისინი მიიჩნევიან არაეკონომიურად და მიუდებლად სემანტიკური ველის გამოყოფისას. უფრო ეკონომიურად და ეფექტურად ჩანს ენის ლექსიკის აღწერის სემანტიკურ-ლოგიკური ხერხი (ამ მოსაზრების ჭეშმარიტება დადასტურებულია იმით, რომ უმეტესობა მკვლევარებისა უპირატესობას ანიჭებს ველთა გამოყოფის სემანტიკურ-ლოგიკურ ხერხს. ეს საშუალება აღწერილია გ. იასენის, ნ. შაპილოკის, ვ. სალკოვის, გ. მუნინისა და სხვათა შრომებში) (იხ. ბიბლიოგრაფია).

სემანტიკურ-ლოგიკური ხერხის აქტუალიზაციის ძირითადი პრინციპია შ. ბალის მიერ მოცემული იდენტიფიკაციის პრინციპი, რომელიც გულისხმობს სიტყვა-იდენტიფიკატორის გამოვლენას, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა გამოხატოს ცნება - იდეა ზოგად - აბსტრაქტული და ნეიტრალური ფორმით (ბალი 1955: 97).

კვლევის II ეტაპზე ხდება ველში **სემანტიკური ჯგუფის განსაზღვრა** რაიმე ერთი თვალსაზრისისა და კრიტერიუმის მომარჯვებით. ეს არის ეტაპი, რომლის დროსაც ხდება ველისა და ჯგუფის გაგებისა და განსაზღვრის დიფერენციაცია. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სემანტიკური ველი განიხილება როგორც ენის მაკროსისტემა, სემანტიკური ჯგუფი კი – ენის მიკროსისტემა.

სემანტიკური ველის განხილვის ფსიქო-ლინგვისტური ხერხი დაფუძნებულია ენის მატარებელთა ცნობიერებაში სიტყვებს შორის ურთიერთობის ასოცირებაზე. ასეთი კავშირები დგინდება ფსიქო-ლინგვისტური ექსპრიმენტის საშუალებით.

სემანტიკური ველის კვლევისა და განხილვის სტრუქტურული მიდგომის დროს ჯგუფები გამოიყოფა მათი ფორმალური ნიშან-თვისებების მიხედვით, კერძოდ კი მათი უნარის მიხედვით გამოყენებული იქნან ერთსა და იმავე სინტაქსურ კონსტრუქციაში. სემანტიკურ-ლოგიკური გზა განისაზღვრება სიტყვისა და ცნების მნიშვნელობის განუწყვეტელი ერთიანობით.

ეს საშუალებები ერთმანეთისაგან სპეციფიკური ხასიათითაც განსხვავდება. ზოგიერთი მათგანი შინაარსობრივია (სემანტიკურ-ლოგიკური, ფსიქო-ლინგვისტური, ფსიქო-ფიზიოლოგიური), ზოგი- ფორმალური (სტრუქტურული-სტატისტიკური), ბოლო მათგანი კი - შინაარსობრივ-ფორმალური (სემანტიკურ-გრამატიკული და ვ.ა. მოსკოვიჩის მეთოდი).

გარდა სტრუქტურისა, სემანტიკური ველის გამომხატველი საშუალებები ერთმანეთისაგან განსხვავდება ლექსიკის შესწავლისა და დამუშავების ხარისხითაც. უფრო სრულად გამოკვლეულთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ველის აგების სემანტიკურ-გრამატიკული მეთოდი. უფრო ნაკლებად დამუშავებულთა რიცხვს კი მიეკუთვნება ფსიქო-ლინგვისტური, ფსიქო-ფიზიოლოგიური, სტრუქტურული, სტატისტიკური, სემანტიკურ-ლოგიკური მეთოდები და ე.წ. ვ.ა. მოსკოვიჩის მეთოდი.

(ვ.ა. მოსკოვიჩის მეთოდი ხასიათდება მაჩვენებელთა (ველისა და მისი გამომხატველი ჯგუფის) ერთიანობით. ეს მაჩვენებლები ენისა (სემანტიკა, გრამატიკა, სტილისტიკა) და სტატისტიკურ მონაცემთა სხვადასხვა დონეს ასახავენ).

"ველისა" და "ჯგუფის" ცნებების დიფერენცირება ხორციელდება სემანტიკურ-ლოგიკური ხერხით, რომელსაც საფუძვლად უდევს განსაზღვრულობის პროცესის ცნება. ეს პროცესი წარმოგვიდგება, როგორც ცნების განსაზღვრების ლოგიკური ოპერაცია, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევასრულოთ გადასვლა უფრო ზოგადიდან ნაკლებ ზოგადისკენ, მეტი მოცულობის ცნებიდან ნაკლები მოცულობის ცნებამდე. ამასთან, გრადაცია ხდება პირველადი ცნების ნიშან-თვისებებზე ახალი ნიშან-თვისებების დამატებით, რომლებიც ახასიათებს პირველად ცნებაში შემავალი საგნების მხოლოდ ნაწილს.

სისტემის მაორგანიზებელი ნიშან-თვისებების ამორჩევა და სიტყვების მიკუთვნება ამა თუ იმ სემანტიკური ჯგუფისადმი სრულიად დამოკიდებულია მკვლევარზე და მის ინტუიციაზე. ა.ი. სმირნიცკი აღნიშნავს: „ყოველი სიტყვის სემანტიკაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მისთვის დამახასიათებელი თვისება, რომლითაც ის ამა თუ იმ ლოგიკურ ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს სხვა სიტყვებთან ერთად. ლექსიკოლოგმა შეძლებისდაგვარად სწორად უნდა განსაზღვროს თითოეული ამ ნიშან-თვისების შეფარდებითი მნიშვნელობა და სწორედ მოცემულ ენაში მათ შორის რეალური ურთიერთდამოკიდებულება აპრიორულად

მიღებული სქემატიზაციის გარეშე, ისე, რომ მისმა კლასიფიკაციამ ასახოს კონკრეტული გრადაცია და ამ ენაში სიტყვათა შორის სემანტიკური კავშირების ურთიერთდამოკიდებულება ". "В семантике каждого слова можно выделить несколько признаков, по которым оно может быть объединено в той или иной логической группе с другими словами. Лексиколог должен по возможности верно определить относительное значение каждого из этих признаков и реальные взаимоотношения между ними именно в данном языке, избегая какой-либо априорной схематизации, так, чтобы его классификация отражала конкретную градацию и конкретное переплетение семантических связей между словами в этом языке" (სმირნიცკი 1959: 179).

სემანტიკულ-ლოგიკური მეთოდის შეფასებისას არ შეიძლება არ ვალიაროთ, რომ იგი თამაშობს დიდ როლს თანამედროვე სემანტიკაში არსებული სემანტიკური ვალისა და სემანტიკური ჯგუფის ცნებათა დიფერენცირების დროს. მისი დახმარებით ენაში გამოყოფილი ქვესისტემები ასახავენ რეალურ პავშირს ობიექტურ სინამდვილესთან. ეს ხერხი საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევიცნოთ საგანთა და მოვლენათა ერთიანობა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც ენაში პპოვებენ გამოვლენას მაკროსისტემების და მიკროსისტემების სახით. ეს ხერხი უმჯობესია იმითაც, რომ იგი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ურთიერთობათა იერარქია სემანტიკურ ველსა და სემანტიკურ ჯგუფს შორის. და ბოლოს, ის მარტივად ასაგები და, ამასთანავე, ეკონომიურია.

კვლევის III ეტაპზე განსაზღვრული მეთოდის საშუალებით ტარდება ველის ანალიზი მის შემადგენელთა თავისებურებების გამომუდაგნების მიზნით. (მეთოდი გვესმის როგორც ურთიერთდაკაგშირებელი ხერხების სისტემა, რომელიც გამოიყენება სემანტიკური ველის ანალიზის დროს.) თავისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე სემასიოლოგია გამოყოფს ველის ანალიზის ექვს მეთოდს: კონტექტუალურ, დისტრიბუციულ, ტრანსფორმაციულ, სტატისტიკურ, ფსიქოლინგვისტურ და კომპონენტური ანალიზის მეთოდებს. მეთოდების ასეთი მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს უფრო დაწვრილებით შევისწავლოთ ერთი და იმავე ველი რომელიმე ცალკე აღებულ ენაში. ამ შემთხვევაში, ერთის მხრივ, კომბინირებული გამოყენება ერთი და იმავე ველის შესწავლისას გვიქმნის რაიმე კანონზომიერების ყოველმხრივი გამოვლენის .საუკეთესო პორობებს. ველის ელემენტთა თავისებურება, მეორეს მხრივ, შეიძლება შევამოწ-

მოთ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ეფექტურია ესა თუ ის მეთოდი რომელიმე განსაზღვრული ველის პლანიზაციის დროს.

ველის შესახებ პლანიზის მიმართულებები, საბოლოოდ, შეიძლება დაყვანილ იქნეს რამდენიმე ეტაპამდე, რომლებსაც ვიყენებოთ ჩვენი შესასწავლი ობიექტის ეპისტემური მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ასაგებად:

1. სემანტიკური ველის ცნება განიხილება როგორც მაკროსისტემა, რომელიც აერთიანებს ერთი მეტყველების ნაწილის ერთეულებს დაკავშირებულს ერთმანეთთან საგნობრივ-ლოგიკური კავშირით, და სემანტიკური ჯგუფი - მიკროსისტემების ერთობლიობა, შემდგარი ერთნაირი სემანტიკის სიტყვებისაგან, გვაძლევს ურთიერთობათა იერარქიის დადგენის საშუალებას.
2. სემანტიკური ველისა და სემანტიკული ჯგუფის სემანტიკურ-ლოგიკური მეთოდით გამოყოფა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად შევიცნოთ ერთი სემანტიკის სიტყვათა შორის კორელაცია და მათი კომბინაციური თავისებურებანი.
3. ასეთი დიფერენცირებული მიდგომა ავლენს კონკრეტული სისტემის საერთო ნიშნებს და სემანტიკური ველის, როგორც ენის სისტემის სემანტიკური ერთეულის შესწავლის სპეციფიკას.
4. პლანიზის საბოლოო ეტაპზე ხდება პლანის მესამე ეტაპზე მიღებული შედეგების შედარება-შეპირისპირება

## §2. ენის აღწერის უძრავი სემანტიკური მოდელი.

თანამედროვე ენომეცნიერება დიდ ინტერესს იჩენს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე (სხვადასხვა სისტემის) ენების შეპირისპირებითი და ტიპოლოგიური ანალიზისადმი. ასეთი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ კონტრასტული გამოყლებები გვეხმარება შევიჭრათ ენობრივი პროცესების არსში და უფრო ღრმად ჩავწვდეთ კანონებს, რომლებსაც ეს პროცესები მართავენ. ამიტომ კონტრასტული ლინგვისტიკა ის ზონაა, სადაც თეორიისა და პრაქტიკის გზები ერთმანეთს ჰქვეთს (იარცევა 1981, 4; რეფორმატსკი 1962, 24).

როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების შეპირისპირებითი შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოვავლინოთ შესასწავლი ენების თავისებურებანი, რადგან “დედაენაში არაფერია შესამჩნევი – მასში ყველაფერი მარტივი და თავისთავად ცხადია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. უცხოური ენა კი, რომელიც შეპირისპირებით პლანში შეისწავლება, შესაძლებლობას იძლევა გადმოვცეთ იდენტური აზრები სხვა საშუალებებით. გარდა ამისა იგი გვეხმარება გამოვამჟღავნოთ გამოხატვის სხვადასხვა საშუალება დედაენაშიც. შევამჩნიოთ კონკრეტული აზრის გამოხატვის განსხვავებული ელფერი, რომელიც აქამდე ვერ შეგვინიშნავს დედაენაში” (შჩერბა 1947, 44). ცხადია, ენათა გრამატიკული აგებულების სრულ სურათს მხოლოდ შედარებითი–შეპირისპირებითი ანალიზი იძლევა.

ეს რომ ასეა, ანუ ის, რომ ენათაშორისი კონტრასტული ანალიზი ბევრ შემთხვევაში გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე შიდაენობრივი და იძლევა საშუალებას აღმოვაჩინოთ ამა თუ იმ ენის ისეთი თავისებურებები, რომელთა დაღგენა მნელი იქნებოდა მხოლოდ ერთი ენის კვლევისას, დადასტურებულია ჩატარებული ენათმეცნიერული გამოკვლევებით (მუგრელიშვილი 1986: 5).

ენათა შეპირისპირებითი შესწავლა დირებულია ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, იგი “ფასებულია განსაზღვრული გრამატიკული კატეგორიების ფორმირებისა და განვითარების ზოგადი საკითხების შესასწავლად, ზოგადი პრინციპებისა და კანონზომიერებათა შესათვისებლად, რომლებიც ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაა აქტუალური” (ჩიქობავა 1957, 3).

მიზნებისა და ობიექტების მიხედვით ენათმეცნიერებაში გამოყოფენ ენათა შეპირისპირებითი შესწავლის (ლინგვისტური კონფრონტაციის) სამ მეთოდს: ისტორიულ-შედარებითს, ტიპოლოგიურს და შეპირისპირებითს (კონტრასტულს), მაგრამ ზღვარი მათ შორის ჯერ კიდევ საკმაოდ მერყევია, არ არის საყოველთაოდ აღიარებული და მკვეთრი (მეგრელიშვილი 1986: 6).

არამონათესავე ენების კონტრასტული ანალიზის აუცილებელი წინაპირობაა აღწერის პრინციპი – ენისა და სხვადასხვა დონის შესწავლისადმი სისტემური და ფუნქციური მიდგომა. ენის სისტემური შესწავლა ენობრივი მოვლენების მთელი კომპლექსის განხილვას ითვალისწინებს. ფუნქციური მიდგომისას კი ენობრივი ფაქტები მათი ფუნქციის თვალსაზრისითა და იმ როლით განიხილება, რომელსაც ისინი საკომუნიკაციო პროცესში ასრულებენ. ფუნქციური მიდგომა საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ ერთი და იგივე ენობრივი მოვლენის სტილიზაციის სხვადასხვა საშუალება შესაპირისპირებელ ენებში, რაც მათი სტრუქტურული თავისებურებათა ღრმად ანალიზის წინაპირობაა.

ენის გაგება, როგორც სისტემურად ორგანიზებული ერთიანობისა, სადაც ყველა შემადგენელი ნაწილი ურთიერთკავშირშია და ურთიერთგანპირობებული, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან შესაპირისპირებელ ენათა სისტემები. ფუნქციური მიდგომა კი გვეხმარება განვსაზღვროთ ერთი და იმავე ენობრივი მოვლენის ფუნქციობის სხვადასხვა საშუალება შესასწავლ ენებში, რაც აღსაწერი ენების სტრუქტურულ თავისებურებათა უფრო ღრმა ანალიზის საშუალებას იძლევა.

ფუნქციური ანალიზის დახმარებით შესაძლოა უფრო სრულად აგხსნათ ენისა და მეტყველების სტრუქტურა, შესაძლო ხდება გამოვავლინოთ ენობრივ საშუალებათა შიდასისტემური დისტრიბუცია და აღმოვაჩინოთ მათი სამეტყველო რეალიზაციის სპეციფიკა.

ენათმეცნიერთა დიდი ჯგუფი, რომელიც ენათა კონტრასტული შეპირისპირების პრობლემებზე მუშაობს, შეუძლებლად მიიჩნევს შესაპირისპირებელ ენათა შორის მხოლოდ ცალკეული ფორმების მსგავსება-განსხვავების გამოვლენას. მათი თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, საჭიროა კატეგორიულ, სისტემურ მოვლენათა შეპირისპირება და "არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მოცემული მოვლენის ფორმალური აღწერით ჯერ ერთ, ხოლო მერე მეორე ენაში" (იარცევა 1981: 8). იარცევას ასევე მიაჩნია, რომ

აუცილებელია მოცემული გრამატიკული მოვლენის ფუნქციური დირექტულების შესწავლა და მისი ადგილის განსაზღვრა ენის გრამატიკულ სისტემაში მთლიანად.

ხიხტებულობა კონტრასტული კვლევის წამყვან პრინციპად გვევლინება. ამ პრინციპის გარეშე შეუძლებელია არამონათესავე ენების სხვადასხვა სისტემების შეპირისპირება, რადგან სისტემურობა არა ცალკეული ფაქტების შედარება-შეპირისპირებას, არამედ მთლიანად ორი ენის სისტემის (რომელიც საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება) შეპირისპირებას ითვალისწინებს. ამ დროს, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ენის სისტემური ანალიზი და, როცა მოცემულ კონკრეტულ ენაში სისტემურ კაგშირებსა და ურთიერთობებს დავადგენო, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფუნქციათა ანალიზი (მეგრელიშვილი 1986: 13).

არამონათესავე ენების, ისევე როგორც, საერთოდ, ენათა სტრუქტურების შეპირისპირებისას, არსებითია კონკრეტული მასალის აღწერის მიმართულების განსაზღვრა: ფორმიდან შინაარსისაკენ, თუ შინაარსიდან ფორმისაკენ. თუმცა ყველა ენის შედარების ეტალონის ძიებისას ზოგიერთი ლინგვისტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ "კონტრასტული ანალიზისას უნდა ამოვიდეს ცნებათა სისტემიდან, რომელიც თავის გამოხატულებას ენაში პოულობს. ასე წარმოიშვა კვლევის მიმართულება შინაარსიდან ფორმისაკენ" (იარცევა 1967: 204).

ამ პრინციპის გამოყენებით შესაძლებელია წარმატებით შევისწავლოთ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები, ე. ი. მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, კონტექსტური გამოხატვის საშუალებანი, რომლებიც ზოგად სემანტიკურ ინვარიანტად ერთიანდება. "სხვადასხვა ენის (მიუხედავად მათი წარმოშობისა) ფაქტების შედარება-შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს უკეთ შევამჩნიოთ, დავახასიათოთ და გავიაზროთ ყოველი შესასწავლი ენის სპეციფიკური თავისებურებანი, ეს კი ცხადია, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა იმისა, რომ აღმოგაჩინოთ და ყოველმხრივ გამოგიკვლიოთ ენის განვითარების შინაგანი კანონები" (სმირნიცე 1953: 3).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, ჩვენი საკვლევი ობიექტის, მოდალობის კატეგორიის აღწერის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ფუნქციურ-სემანტიკური პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ, ორიგნტირებულია ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების აღწერის პრინციპზე. ჩვენ გამოვდივართ მოდალობის ცნებიდან, რომელიც აღიარებულია როგორც ენობრივი კატე-

გორია, რომლის საშუალებითაც ვლინდება მოსაუბრესა და ობიექტს შორის „ურ-თიერთობა. ენაში მოდალობას გამოხატვის სხვადასხვა რეფლექსი გაჩნდა, კი. მოდალობის კატეგორია გამოიხატება სხვადასხვა ენობრივ დონეზე, სწორედ ამის გამო მხოლოდ ფუნქციურ-სემანტიკური მოდელი წარმოვიგდება ადეკვატურ საშუალებად მოცემული კატეგორიის ასაღწერად.

ფუნქციურ-სემანტიკური მიდგომისას ძირითად სამუშაო „აღსაწერ“ ერთეულად წარმოგვიდგება ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულთა ერთიანობას წარმოადგენს. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ორგანიზებულია ველის პრინციპით, მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურით - ცენტრალური და პერიფერიული. როგორც ცნობილია, ფუნქციურ სემანტიკური ველი, მნიშვნელობის სირთულის მიხედვით, შეიძლება დაიყოს მიკროველებად, რომლებიც მინიმალურ ფუნქციურ-სემანტიკურ ერთიანობას წარმოადგენენ, მათთვის დამახასიათებელია ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. როგორც წესი, ყოველ ველში არის დომინანტი და პერიფერია, თუმცა შესაძლებელია სხვა კონფიგურაციებიც. ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით, მოდალობა არ წარმოადგენს ერთიან მონოლითურ კატეგორიას, არამედ იგი გვევლინება ცალკეულ ფუნქციურ-სემანტიკურ ველთა ერთიანობად.

ისევე როგორც ცნება, ენაც წარმოადგენს მუდმივად ცვალებად მრავალწახნაგოვან ობიექტს, რომელიც შეიძლება შევისწავლოთ სხვადასხვა თვალსაზრისით. კვლევის კონკრეტულ საგანს კი ის ასევები განაპირობებს, რომელშიც მოცემული ობიექტი განიხილება და სადაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს საგნობრივსა და სისტემურს შორის დაპირისპირება. ამ უკანასკნელში შეიძლება გამოვყოთ ენის სისტემის აღწერის ძირითადი მიმართულებანი (მოდელები): ინვენტარულ-ტაქსონომიური, ფუნქციური, კერძო სტრუქტურული, სტრატიგიკაციური, ტიპოლოგიური და სხვა (ზოგადი ენათმეცნიერება . . . 1972: 44).

ბოლო პერიოდის მანძილზე განსაკუთრებით ინტენსიურად მუშავდებოდა სტრატიგიკაციული მოდელი, რომლის თანახმადაც „ენობრივი სისტემა შედგება ქვესიტემებისაგან, რომლებიც იერარქიულად ეწყობა ერთმანეთს მკაცრად რეგლამენტირებული რიგით“ (გასაპაროვი 1973: 137).

ენისადმი ფუნქციური მიდგომა ეფუძნება ენობრივი სისტემის ცნებას, როგორც „აზრისა და კომუნიკაციის ინსტრუმენტს“, ასევე იმ საშუალებათა სისტე-

მას, რომელიც რადაც გარკვეულ მიზანს ემსახურება". (ვახეკი 1967: 100) ენობრივ მოვლენათა განხილვისას ასეთი მიღგომა ახასიათებს სემანტიკურ-ფუნქციურ პრინციპს, რომელიც არ ეყრდნობა ენობრივი ერთეულების ფორმალურ და რელატიურ თვისებებს, არამედ მეტყველებაში მათ მნიშვნელობასა და ფუნქციონირებას. ენობრივი ფაქტების უფრო ფართო განხილვა, ფუნქციის თეორიისადმი თანამედროვე მიღგომის ყველაზე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს (სლიუსარევა 1981: 56).

ფუნქციურ გრამატიკაში შესწავლის ობიექტად შეიძლება არჩეული იქნეს სხვადასხვა დონის ენობრივ საშუალებათა კომპლექსები. ამ კომპლექსებს სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგარდ მოიხსენიებს: გრამატიკულ-ლექსიკურ კულებად, ფუნქციონალურ ქვესისტემებად, ფუნქციურ-სემანტიკურ კელებად. (გულიგა 1969: 170, ლომოვი 1977: 87). ჩვენ ყველაზე მისაღებად მიგვაჩინა ტერმინი „ფუნქციურ-სემანტიკური კელი“. რადგანაც ის ასახავს როგორც მოვლენის არსეს, ასევე ენის ქვესისტემის სტრუქტურასაც. ფუნქციურ-სემანტიკური კელი - „ეს არის ორმხრივი ერთიანობა, ფორმირებული მოცემული ენის გრამატიკული და სიტყვათწარმოქმნის ელემენტებით, რომელიც იმავე სემანტიკურ კელს განეკუთვნება. (ბონდარკო 1983: 40)

ფუნქციურ-სემანტიკურ კელს ახასიათებს სპეციფიკური დამახასიათებელი თვისებები, რომელსაც სხვადასხვა დროს მიუთითებდნენ. ვ.გ. ადმონი, ე.გ. გულიგა, ე.ი. შენდელსი, ა.ვ. ბონდარკო და სხვანი. (ბონდარკო 1983: 424) ფუნქციურ-სემანტიკური კელის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი არის სემანტიკური ფუნქციის ერთიანობა და მისი გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნება - ეს არის ინტეგრირებული დერძი, რომელიც აერთიანებს სისტემაში სხვადასხვა სახის ენობრივ ელემენტებს - მორფოლოგიურს, სინტაქსურს, ლექსიკურს და ა.შ. მათი ურთიერთკავშირი კი ფუნქციურ-სემანტიკური კელის მეორე მხარეა, რომელიც განასხვავებს მას ენის სხვა ქვესისტემებისაგან. ფუნქციური პრინციპი გრამატიკაში ენობრივი საშუალებების სისტემური ურთიერთობის პარადიგმატული და სინტაგმატური კვლევისას თითოეული ელემენტის როლს განსაკუთრებულ უურადღებას უთმობს. ფუნქციურ-სემანტიკურ კელში შემადგენელთა პარადიგმატული ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია ერთი და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვა ერთეულით გამოხატვის განსხვავების თვისების ანალიზზე. მაგ: ბრძანების გამოხატვისას, ბრძანებით კილოში მოდალური ზმნების ინფინიტივთან გამოყენებისას: წადი! /შენ უნდა წახვიდვ. პირველ

შემთხვევაში ასახულია ბრძანების ზოგადი მნიშვნელობა აბსტრაქტულ გრამატიკულ ფორმაში სუბიექტისა და ობიექტის განზრახვის ექსპლიციტური გამოხატვის გარეშე, მეორე შემთხვევაში კი გამოიყოფა ბრძანების ობიექტი და ბრძანების ხასიათი უფრო დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი. ერთი ფუნქციურ-სემანტიკური ველის ერთეულთა სინტაგმატური დამოკიდებულება, წარმოდგენილი გამოთქმის დონეზე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი ურთიერთობების სახით:

- 1) სინტაგმატური დეტერმინირება: ზოგიერთი ფუნქციურ-სემანტიკური ველის ერთეული სინტაგმატურ გავლენას ახდენს, განსაზღვრავს სხვა ერთეულებს. მაგალითად: "ბავშვი სკოლაში წავიდა". აქ გამოიხატება ფაქტი დარწმუნებულობა. ხოლო თუ ამ წინადადებაში ჩავსვამთ მოდალურ ნაწილაკს "იქნებ", ის მნიშვნელობას უცვლის წინადადებას და მივიღებთ ვარაუდს: "ბავშვი იქნებ სკოლაში წავიდა."
- 2) სინტაგმატური შეუთავსებლობა: გამოთქმაში ფუნქციურ-სემანტიკური ველის ერთი ერთეულის არსებობა გამორიცხავს მეორეს გამოჩენას. მაგალითად: ინგლისურ ენაში ზმის პერფექტული ფორმა არ მიუთითებს მოქმედების ზუსტ დროს. მაგალითად: I have not been able to memorize this poem.
- 3) სინტაქსური კონსტრუაცია: ერთი და იგივე ელემენტი შეიძლება გამოყენებული იქნეს ფუნქციურ-სემანტიკური ველის სხვადასხვა კონსტიტუენტებთან. მაგალითად, ზმინზედა always ინგლისურ ენაში შეიძლება გამოყენებული იქნეს ფუნქციურ-სემანტიკური ველის ორ ელემენტთან - როგორც განუსაზღვრელ ისე განგრძობითი დროის ფორმებთან. მაგალითად:
 

I always get up early.

She is always losing her things.
- 4) კონკრეტიზაცია: ერთი ფუნქციურ-სემანტიკური ველის ელემენტი აზუსტებს, აკონკრეტებს მეორე ფუნქციურ-სემანტიკური ველის

ელემენტების მნიშვნელობას. მაგალითად: ლექსიკური კომპონენტების გამოყენება მომავლის გამომხატველი ველის „ხვალ“, „ორი დღის შემდეგ“ და ა.შ. აკონკრეტებს და მომავლის აბსტრაქტული მნიშვნელობის ლოკალიზებას ახდენს რომელიც გამოხატულია მომავალი დროის გრამატიკული ფორმით:  
მამა ხვალ ჩამოდის. I can do it tomorrow.

ენის ფუნქციურ-სემანტიკური ქვესისტემების ძირითად სტრუქტურულ მახასიათებლად მიღებულია ველის სტრუქტურა (შური 1974: 12). ვალს, როგორც ენის ქვესისტემის ორგანიზაციის პრინციპს, აქვს განსაკუთრებული სისტემა, რომელიც გამოირჩევა კომპაქტურობით, ველის ცენტრში ველის აგების ძირითადი მახასიათებელი ნიშნების მაქსიმალური კონცენტრაციით და პერიფერიაში ამ ნიშნის შედარებით განეიტრალიზებით: - ველის ასახვისას გამოყოფენ დომინანტულ ელემენტებს, რომელიც გადმოგვცემს მოცემული ველის ყველა შესაძლო მნიშვნელობას. პერიფერიაზე განლაგებულია ერთეულები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მიესადაგებიან მხოლოდ ამა თუ იმ მნიშვნელობას. ურთიერთობა ველის დომინანტსა და პერიფერიას შორის იგება მნიშვნელობის „დავიწროების პრინციპით“. შესაბამისად, ველის დომინანტური ერთეულები სემანტიკური მოცულობის სივრცეში გვევლინებიან როგორც სხვა ველთა პერიფერიული ელემენტები. მაგალითად, მრავალი მნიშვნელობის მქონე მოდალური ზმნა must ძირითადი მნიშვნელობის გარდა, გამოხატავს „შეფასებას“ და „გარაუდს“, რომელიც, აქედან გამომდინარე, შედის პერიფერიის მიკროველში. ბრძანებითი კილოს ფორმები აგრეთვე იმყოფება ობიექტური აუცილებლობის ველში. ფუნქციურ-სემანტიკური ველის შინაარსის მოცულობა იყოფა სემანტიკურ ზონებად ველის გამაერთიანებელი დიფერენცირებული მნიშვნელობის მიხედვით. ეს მნიშვნელობები ქმნიან ფუნქციურ-სემანტიკური ველის სემანტიკურ სივრცეს, რომელიც განისაზღვრება მოცემული ენის ამ კონკრეტულ ველში შემავალი სპეციფიკური სისტემური კომპონენტებითა და ენობრივი ერთეულების სემანტიკით (ბელიაევა 1979: 14).

ფუნქციურ-სემანტიკურ ველში შემავალ ყოველ ერთეულს აქვს თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა - გრამატიკული ან ველის აგების პრინციპის მიხედვით, ლექსიკური. ფუნქციურ-სემანტიკურმა ველმა შეიძლება ყველა ეს

მნიშვნელობა არ მოიცვას. საჭიროა აღვნიშნოთ განსხვავება ცნებების მნიშვნელობასა და მათ ფუნქციას შორის: თუ მნიშვნელობა ფორმის შინაგანი სისტემური თვისებაა, მაშინ ფუნქცია არის ამა თუ იმ საშუალების გამოყენების მიზანი. შესაძლებელია ხდებოდეს ფუნქციებისა და მნიშვნელობების ნაწილობრივი ან სრული დამთხვევა, რაც აქტუალიზდება ფორმის ფუნქციების განსაზღვრული ენობრივი მნიშვნელობის გამოხატვის შემთხვევაში (ბონდარკო 1983: 37).

ფუნქციურ-სემანტიკური ველის ყველა სემანტიკური ნიშანი არ შეიძლება იყოს თანაბარუფლებიანი. ველში არსებობს იერარქია. ნათელია, რომ სემანტიკურად დომინირებულ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციურ-სემანტიკური კონსტრუქციები „რომლებიც უფრო სრულად ასახავენ მოცემული ფუნქციურ-სემანტიკური ველის სპეციფიკას“. ასე მაგალითად, "იძულების" მიქროველში ასეთი თვისება იქნება „ობიექტის დეტერმინირებული კავშირი ზოგიერთი მოქმედებისა და მდგომარეობისადმი“, რომელიც არსებობს ველის ყველა ელემენტის სემანტიკურ სტრუქტურაში, მასზე დამოკიდებული იქნება „შინაგანი“ და „გარეგანი“ თვისებები.

"ფუნქციურ-სემანტიკური" ველი განსხვავდება "ცნების" კატეგორიისგან, რომელსაც უნივერსალური ხასიათი აქვს. ცნების კატეგორიის სტრუქტურა ეფუძნება გაგების უნივერსალურ ცნებას, მაშინ როცა ფუნქციურ-სემანტიკური ველის შინაარსს აქვს კონკრეტულ-ენობრივი ხასიათი. „ფუნქციურ-სემანტიკური ველის სტრუქტურა იგება სეგმენტების საშუალებით, რომელიც განისაზღვრება მოცემული ენის კონკრეტულ მნიშვნელობებთან შეფარდებით“ (ბონდარკო 1976:207). გრამატიკაში ველის კონფიგურაცია დამოკიდებულია კომპონენტების შემადგენლობასა და იმ მნიშვნელობათა სირთულეზე, რომელთაც ისინი გამოხატავენ (ბონდარკო 1976: 207).

ენათმეცნიერებაში სადაოა ფუნქციურ-სემანტიკური ველის გამოყოფის პრინციპის საკითხიც. ერთის მხრივ, გამოყოფენ ფუნქციურ-სემანტიკური ველის მორფოლოგიურ კატეგორიას, მეორეს მხრივ კი „პრინციპულად შესაძლებელია სხვა სიტუაციაც, როდესაც ფუნქციურ ქვესისტემას არ ექნება გრამატიკული ბირთვი“ (ბონდარკო 1971: 10). უფრო მართებულად მეორე მოსაზრება გვეჩვენება, რადგანაც, როგორც კვლევის პრაქტიკამ გვიჩვენა, რაიმე გრამატიკული კატეგორია, რომელიც ერთ ენაში მორფოლოგიური საშუალებით გამოიხატება, შესაძლოა მეორე ენაში სხვა საშუალებით იქნას ასახული. ყოველივე ამის

გათვალისწინებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ არსებობს ფუნქციურ-სემანტიკური ველის ტიპთა მრავალსახეობა, განსხვავებული შემდეგი გრამატიკული თვისებებით: გრამატიკული ცენტრირების ხარისხი, ცენტრის ლინგვისტური სტატუსი, ერთცენტრალობა და მრავალცენტრალობა და სხვა.

განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს ფუნქციურ-სემანტიკური ველის გადაკვეთის პრობლემა, რომელსაც „საერთო სეგმენტების“, გარდამავალი ზონების არსებობასთან მივყავართ (ადმონი 1968: 99). გარდამავალი ზონები არ მიიჩნევა მთლიანის ნაწილებად დაყოფის პრინციპითან გადახვევად, არა-მედ გახლავთ დაკანონებული მოვლენა ენის ველის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ასპექტის დასანახად. ველთა გადაკვეთა დაფუძნებული და განპირობებულია ენობრივი ერთეულების მრავალ თვისებაზე. ერთი და იგივე ერთეული შეიძლება შევიდეს სხვადასხვა ველის შემადგენლობაში. ასე მაგალითად, ინგლისურ ენაში ინდიკატივის ფორმები ახლანდელი დროის მეორე პირის ნაცვალსახელებთან ერთად გამოხატავს ბრძანებას. მაგალითად: You can go.

ენის ქვესისტემებში მოვლენების ურთიერთგადაკვეთაზე დაყრდნობით ურადღება გამახვილებულია ენის როგორც თვისობრივ განსხვავებაზე. ასევე ურთიერთკავშირის ზონები შეადგენენ ენის აღწერის ფუნქციურ-სემანტიკური მიდგომის ერთ-ერთ მეთოდურ საშუალებას. ორიენტირებულია რა ენობრივი ერთეულების სემანტიკაზე, გავრცელებული მოსაზრებების მიხედვით, მოცემული მიდგომა უფრო ესადაგება გავრცელებული აზრის მახასიათებლებს, რამდენადაც ენის ნიშნობრივი ფუნქცია კომუნიკაციის პროცესში უშუალოდ რეალიზებულია აღნიშნული ნიშნით და არა მისი აღმნიშვნელით. ამ მიდგომის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარის ყურადღება მიმართულია სხვადასხვა სახის ელემენტების შესწავლაზე, რომლებიც ერთგვარ მნიშვნელობებს გამოხატავენ. ფუნქციურ-სემანტიკური მოდელი ახდენს სხვადასხვა ენობრივი ერთეულების ინტეგრირებას, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული გრამატიკული აზრის გამოსახატავად, რაც ენობრივი საშუალებებით სემანტიკური ფუნქციის გამოხატვის საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა.

ენობრივი მოვლენის აღწერის სისტემურ-ენობრივი კატეგორიული ასპექტი შეივსება ფუნქციონირების ასპექტით, მეტყველებაში განხილული ერთეულებით (ბონდარკო 1983: 47). არსებობს შეხედულება, რომ ფუნქციონალური გრამატიკა

წარმოადგენს „ენის სინქრონულ-ლინგვისტური აღწერის ონომასიოლოგიურ მოდელს", რომელიც მოიცავს სხვადასხვა დონის ენობრივ საშუალებებს. ისიც ცხადია, რომ ენის აღწერისას, კონტრასტულ კვლევაში ფუნქციურ-სემანტიკურ მიდგომას ენიჭება დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით არამონათესავე ენების შედარებისას. კვლევის სიზუსტისა და ადეკვატურობისათვის კონტრასტული კვლევა უნდა მოიცავდეს ფორმათა სისტემურ შედარებას და დაპირისპირებული ენების სტრუქტურის ერთეულთა ყველა მნიშვნელობას. ასეთი კვლევის ამოსავალი პრინციპია ენებს შორის ბაზობრივი მსგავსების არსებობა და მოცემული ენების დიფერენცირება (იარცევა 1981: 29).

შესაბამისად, განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფუნქციურ-სემანტიკური ველი შეიძლება გახდეს ენების შედარების საიმედო ბაზა იმ თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვსაზღვროთ სხვადასხვა ტიპის ენაში ამა თუ იმ საერთო მნიშვნელობის გამოხატვის საშუალებათა თავისებურება და გავაკეთოთ დასკვნა მათი მსგავსებისა და განსხვავების შესახებ. მაშასადამე, ენობრივი ფაქტების შედარება უნდა გაკეთდეს მასალის ეტაპობრივი აღწერის შედეგად, რომლის პირველ საფეხურსაც ყოველი ენის შესაბამისი მიკროსისტემების აღწერა წარმოადგენს, მეორეს - ამ ნიშანთვისებათა შეპირისპირება-განსხვავებათა აღწერა და მხოლოდ მესამეს - შედარების პროცესი.

### §3. მოდალობა, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია

ყოველი ველის აღწერისას, პირველ რიგში, კვლევა უნდა დავიწყოთ საერთო კერძოს ხტრუბულობის განმარტებიდან; საჭიროა, ასევე, გამოვყოთ მისი კომპონენტები თითოეულ ენაში, განვსაზღვროთ თითოეული მათგანის ლინგვისტური სტატუსი, შევისწავლოთ მათი სემანტიკური თვისებები, რომლებიც განსაზღვრავენ შინაარსის სტრუქტურას, ან სემანტიკური ველის ძირითად ზონებს.

მოდალობის ცნებამ განიცადა ჯერ კიდევ არისტოტელეს ფორმალურ-ლოგიკური სწავლების ძლიერი გავლენა. ამ მიღღომის ანარეკლი ენაში გახლავთ კილოს სამი კატეგორიის გამოყოფა: თხრობითის, კითხვითისა და ბრძანებითის, რომლებიც არსებობდნენ ლოგიკაში მოდალური კავშირის შესაბამისად. მოდალობის მრავალფეროვნება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ენის საშუალებით, დაუგანილი იქნა სამ მკაცრად შეზღუდულ ჯგუფამდე, სადაც მოდალობის გამოხატვის ერთადერთ ხერხად მიღებული გახდა მორფოლოგიური ფორმები. წარმოიშვა წინააღმდეგობა მოდალობის ცნების, როგორც წინადადების კატეგორიისა და კილოს, როგორც სიტყვის კატეგორიის გაგებას შორის. აღმოჩნდა, რომ მოდალობის კატეგორიის არსი განიხილება სინტაქსურ დონეზე, ხოლო მისი გამოხატვა - მორფოლოგიურ დონეზე (ნებიკოვა 1972: 2). მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ენის გრამატიკაში მოდალობა დღემდე განიხილება, როგორც მორფოლოგიური მოვლენა და აუცილებლად განიხილება კილოს გრამატიკულ კატეგორიასთან ერთად. თვით ცნება „კილოს“ გაგება ბოლო პერიოდში გაფართოვდა იმის გამო, რომ მის ფორმათა სისტემაში ჩართულია გამოხატვის სინთეზური და ანალიზური ხერხებიც, რამაც, თავისთავად გამოიწვია კილოს კატეგორიის გაფართოება.

ცნობილია, რომ კილო ზმნის ის გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას გამოხატული აზრის მიმართ.

ტრადიციულად, კილოს განიხილავენ როგორც ზმნის ერთ-ერთ გრამატიკულ კატეგორიას, რადგანაც, უმეტეს შემთხვევაში, ეს არის ზმნის ფორმათა ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას ფაქტობრიობის ან პირობის შესრულება/შეუსრულებლობის მიმართ. კილოს

კატეგორია მთლიანად წინადადების მნიშვნელობას განეკუთვნება და არა მხოლოდ ზმნას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისურ ენაში კილოს სამი ტიპი გამოიყოფა: თხრობითი (Indicative), ბრძანებითი (Imperative) და კავშირებითი (Subjunctive). კომუნიკაციისას კილოს ეს სამი ტიპი რეალიზდება ისეთი სამეტყველო აქტებით, როგორიცაა: თხოვნა, მოთხოვნა, ბრძანება, ნება-სურვილი, წადილი, ნდომა, ნატერა, ჩივილი, დაპირება, ეჭვი, ალბათობა და სხვა.

თხრობითი კილო არამარკირებული ფორმაა და მოლაპარაკის აზრებს წარმოგვიდგენს როგორც ფაქტობრივს. ეს ფაქტი ან ფაქტები შეიძლება იყოს ნამდვილი ან ყალბი, შესრულებული ან შეუსრულებელი, მოსალოდნელი ან მოულოდნელი და ა.შ.

კილოს ამ ფორმისათვის არსებითია დროის გამოხატვა და ამდენად, თხრობითი კილო შეწყვილებულია და გადახლართულია გრამატიკული დროის კატეგორიასთან. ინგლისურ ენაში თხრობითი კილოს ფორმები რეალიზდება ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის გრამატიკული კატეგორიის მეშვეობით.

ბრძანებითი კილო კი მარკირებული ფორმაა და შემდეგ მნიშვნელობებს გადმოგვცემს: ბრძანებას, იძულებას, წაქეზებას, დარიგებას, ჰქუის სწავლებას და ა.შ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელები დღეს ყოველნაირად ერიდებიან კატეგორიულ-იმპერატიული მნიშვნლობების კატეგორიული ფორმით გადმოცემას და შესაბამისად თანამედროვე ინგლისურ ენაში უხვადაა წარმოდგენილი ბრძანების თუ დარიგების მნიშვნელობათა გადმოსაცემი არაპირდაპირი, არაკატეგორიული ფორმები.

სიტყვა „subjunctive“ ეტიმოლოგიურად ნიშნავს რაიმეზე ზედნადებს. ეს „ზედნადები“, „დასამატებელი“ ნაწილი გამოხატავს პირობას, პიკოთეზას, შესაძლებლობას. სიტყვა ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ლათინურ სიტყვასთან *subjunctivus* „კავშირებითი“, რაც ნიშნავს „დაკავშირებულს“. ეს მნიშვნელობა დომინირებს კავშირებით კილოში, რადგანაც მოქმედებები, რომლებიც ამ საშუალებით გამოიხატება, შეიძლება იყოს აშკარად, ექსპლიციურად გამოხატებული ან ნაგულისხმები, იმპლიციტური. სწორედ ამიტომ ლოგიკურია, რომ კაშირებითი კილოს ფორმა, ძირითადად, დამოკიდებულ წინა-დადებაში იხმარება.

კავშირებითი კილოს ძირითადი ფუნქციაა წარმოადგინოს მოლაპარაკის მოქმედება როგორც არაფაქტობრივი, სათუო, არარეალური, შეუძლებელი. ეს მნიშვნელობები გამოიხატება რიგი სინთეზური და ანალიზური ფორმებით.

ჯერ კიდევ ვინოგრადოვს მიაჩნდა, რომ „ყოველი წინადადება შეიცავს მოდალური მნიშვნელობის არსებით კონსტრუქციულ ნიშანს, ე.ი. მიუთითებს რეალობასთან კავშირზე (ვინოგრადოვი 1950: 41). სინტაქსური მიღვომის თვალსაზრისით განსხვავებებს „მოდალურ“ სემანტიკაში მიესადაგება სხვადასხვა წინადადებათა სტრუქტურული მოდელები. სინტაქსური მიღვომა, ენაში მოდალური ურთიერთობების გამოსახატავად, სრული მრავალფეროვნების მთლიან აღწერას ვერ ახერხებს. მაგალითად, არც თუ ისე ნათელია სტრუქტურის „მოდალურ ზმნას + ინფინიტივი“ სტატუსი. ზოგჯერ ტიპოლოგიაში ასეთი წინადადებები აღიარებულია დამოუკიდებელ მოდელებად, რომელიც ასახავს მოდალური ურთიერთობის შემდეგ სახეებს: შესაძლებლობა, ბრძანება, ვალდებულება: He can go, He must go. არც ერთ ჩვენთვის ნაცნობ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში არ არის ნახსენები მოლაპარაკის სუბიექტური დამოკიდებულება გამოთქმულისადმი, რომელიც რეალიზდება „მოდალურ ზმნას + ინფინიტივი“ საშუალებით.

ეს და სხვა საკითხები, რომელიც არსებობს მოდალობისადმი თანამედროვე მიღვომაში, ჩვენი აზრით, შეიძლება გარკვეულწილად გავანეიტრალოთ ფუნქციურ-სემანტიკური მიღვომით, რომელიც დაფუძნებულია ენობრივი კატეგორიების გამოყოფის და მათი გამოხატვის სემანტიკურ პრინციპზე. აზრი ენაში მოდალობის გამოხატვის სხვადასხვა დონის შესახებ გავრცელებული იყო რუსული სკოლის ლინგვისტთა შრომებში. მაგ.: ბ.ა. ილიში აღნიშნავდა, რომ „წინადადებაში მოდალობა გამოიხატება სხვადასხვა საშუალებით. მოდალური სიტყვებით, მოდალური ზმნებით, ზოგჯერ უბრალოდ სიტყვათა ჯგუფით, ინტონაციით და ბოლოს, ზმნის კილოთი (ილიში 1948: 190). ვინოგრადოვი მოდალობას განმარტავდა როგორც სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც ენაში სხვადასხვა სისტემებით ხასიათდება კერძოდ, „შერეული, ეკლექტიკური ლექსიკურ-გრამატიკული ხასიათით“ და მაგალითად მოჰყავდა ლექსიკურ-გრამატიკული და ლექსიკურ-სინტაქსური ხერხების მრავალმხრივობა. ის დასძენდა, რომ „ზმნის კილოს, რომელიც მოდალობის გამოხატვის ერთადერთ საშუალებად ითვლება, ფუნქციური სემანტიკით უნდა დაუკავშირდეს ის ტიპიური სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც შედგება მოდალობასთან

მიახლოებული ლექსიგური მნიშვნელობის ზმის ფორმებისაგან და სხვა ზმის ინფინიტივის ფორმები" (ვინოგრადოვი 1950: 52).

მაგრამ პრაქტიკამ და გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რეალობაში ინგლისურ ენაში მოდალობის ფუნქციური ერთეულებით გამოხატვა ვერ დაძვიდოდა. მცდელობა, რათა მოდალობა გრამატიკული კატეგორია გამხდარიყო გერმანულ ენაში, კვლავ გადაუწყვეტელია, თუმცა ფუნქციური და კომუნიკაციური მიღების ელემენტები რეალიზებულია ზოგიერთ შრომაში (ზოლოტოვა 1973: 112).

ზოგიერთ ენაში ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების აღნუსხვისა და კლასიფიკაციის სიმწირე უფრო რთულს ხდის ამ კატეგორიის შედარებით აღწერას. გარდა ამისა, ასეთი კვლევის განხორციელებისას წარმოქმნილ სირთულეებს კიდევ უფრო ამბიმებს ა) მოდალობის კატეგორიის სემანტიკური მოცულობის ერთიანი მიღების არარსებობა და მისი გაიგივება ენის სხვა კატეგორიებთან ბ) მოდალობის მნიშვნელობის გამოსახატვად არსებული ხერხების არასაკმარისობა, გ) მოდალობის გამომხატველი ზოგიერთი ფორმის გრამატიკული სტატუსის განსხვავებული გაგება და სხვა.

მეტი უთანხმოება წამოიჭრება პრედიკატულობისა და მოდალობის კატეგორიის შეფასებასთან დაკავშირებით, მოდალობისა და კითხვითობის, პირობითობის, და ასევე მტკიცება-უარყოფისა და კომუნიკაციური პერსპექტივის გამოხატვისას. ჩვენ შევეცდებით გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, რადგანაც მოდალობაზე საუბრისას აუცილებელია ყველა მათგანის გათვალისწინება.

ვინოგრადოვი გამოხატვადა გავრცელებულ თვალსაზრისს პრედიკაციის კატეგორიასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც „პრედიკაციის კატეგორიის ზოგადი მნიშვნელობა და ფუნქცია, რომელიც ახდენს წინადადების ფორმირებას, გამოიხატება რეალობასთან წინადადების შინაარსის მისადაგებაში“ და „გამოიხატება დროისა და პირის მოდალობის სინტაქსური კატეგორიებით“. ამრიგად, პრედიკატული კატეგორია თავისი მოცულობით უფრო ფართოა, ვიდრე მოდალობის კატეგორია. თუმცა შესაძლებლობა ენაში ისეთი მნიშვნელობის გამოხატვისა, რომელშიც არა დროისა და პირის კატეგორია, არამედ მხოლოდ მოდალური მნიშვნელობაა აქტუალიზებული (მაგალითად „ძილი კარგი იქნებოდა!“), გვაძლევს საშუალებას აუცილებელ თვისებად ჩავთვალოთ წინადადების არა მარტო პრედიკატულობა, არამედ მოდალობაც და ეს

უკანასკნელი შევაფასოთ, როგორც უფრო ფართო კატეგორია, ვიდრე პრედიკატი (შაპირო 1958: 23).

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, საჭირო იყო დაეცალკავებინათ პრედიკაციისა და მოდალობის ცნებები. შესაბამისად, ისინი ვარაუდობდნენ, რომ „ენობრივ დონეზე პრედიკაცია უნდა განვიხილოთ როგორც ლოგიკურ-სინტაქსური კატეგორია, ხოლო მეტყველების დონეზე მოდალობა - როგორც კომუნიკაციურსინტაქსური კატეგორია“ (პეტროვი 1982: 8).

მოდალობის კატეგორიის სემანტიკური მოცულობის შესახებ სხვადასხვაგვარი აზრი არსებობს. ერთის მხრივ, იგი განიხილება როგორც „ურთიერთობა სუბიექტსა და პრედიკატს შორის“ (პალმერი 1979: 56) თუმცა, მეორეს მხრივ, არსებობს მოდალობის საკმაოდ ვრცელი განმარტება, როდესაც მოდალობა განიხილება, როგორც „მოსაუბრის მიერ რეალურობის მიმართ გრამატიკულად გამოხატული დამოკიდებულება“ (ლიჩი 1980: 29) ე.ი. მისი დამოკიდებულება მეტყველების შინაარსთან, მოლაპარაკესთან, თავის თავთან, მეტყველების ფორმასთან, რაც მთელი რიგი მნიშვნელობების მოყვანის საშუალებას გვაძლევს, ესენია: ემოციური ურთიერთობის გამოხატვა, მოსაუბრის რეაქცია (შიში, მრისხანება, სიბრალული, მორალურ-ეთიკური კვალიფიკაცია), უფლებრივი დამოკიდებულება მოსაუბრებსთან ან საკუთარ თავთან და ა.შ. (პელიდე 1970: 335).

ასეთი ინტერპრეტაციით მოდალობა წარმოგვიდგება, როგორც ყოვლისმომცველი კატეგორია, რომელიც მოიცავს მნიშვნელობების ფართო წრეს, „უზურპაციას“ უწევს ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა კომუნიკაციური ფრაზები, ექსპრესიულ-ემოციური და სტილისტური მნიშვნელობის გამოხატვა. არ არსებობს აუცილებლობა, რომ თავისი ხასიათით ამრიგად განსხვავებული მნიშვნელობები გავაერთიანოთ ერთი დასახელების ქვეშ. თვითონულ მათგანს აქვს თავისი გამოხატვის მეთოდები და საკომუნიკაციო ფუნქცია. ეს კატეგორიები მჭიდროდ ეხება მოდალობის კატეგორიას და მათ შეიძლება ჰქონდეთ მასთან საერთო გადაკვეთის წერტილები და ზონები. უდავოა, მოდალობასთან მიზნობრივი კატეგორიის მჭიდრო კავშირი მოსაუბრის მიერ ინფორმაციის გადაცემისას ან მიღებისას, რომელიც გამოხატულია კითხვითი და თხრობითი წინადადებებით. ძირითადი ნაწილი კითხვითი წინადადებებისა მოდალურად ნეიტრალურია: როდის ჩამოვა ის? რატომ მოვიდა ის? როგორ მოვიდა თეატრთან? და ა.შ. თუმცა ზოგიერთი კითხვითი გამოთქმის ტიპმა

შეიძლება მიიღოს მოდალური ელფერი. მაგალითად, ზოგადი ხასიათის კითხვები მოსაუბრის მხრიდან მოითხოვენ კითხვის დადასტურებას ან უარყოფას: ის ჩამოვა? კატეგორიული „დიახ“ და „არას“ გარდა, შეიძლება წარმოადგენდეს ეპისტემური შეფასების მთელ გამას, ვარაუდიდან დარწმუნებამდე: ის ჩამოვა? შესაძლებელია (რა თქმა უნდა), ალბათ არა (შეიძლება), მე ვეჭვობ, (ასევე) ვალდებულია და ა.შ. ეპისტემური მოდალობის ელემენტები შეიძლება ჩართული იქნეს კითხვა-დისკუსიის ასპექტში, რომელიც მიუთითებს რეალობასთან დაკავშირებული ობიექტისა და თვისების წინასწარ შეფასებაზე. "ის ალბათ მოვა (He might come)".

ინგლისურ ენაში, სადაც კითხვის დასმის კატეგორია ფორმალურად გამოიხატება ქვემდებარის წინ დამხმარე ზმნის გადმოტანით (1) Did he see you? არსებობს ზოგადი კითხვის სალაპარაკო ფორმა სიტყვათა პირდაპირი წყობით, მაგრამ კითხვითი ინტონაციით (2) He saw you? (2) გამოოქმაში დასაშვებია სისტემატური მოდალური მოდიფიკატორების გამოყენება (He probably saw you?) რაც შეუძლებელია (1) კითხვაში. ინგლისურ ენაში ასევე გამოიყოფა მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებული შეკითხვის სპეციალური ფორმა, რომელიც, დაღმავალ ინტონაციასთან ერთად, აღნიშნავს არა შეკითხვას ინფორმაციის მიღების მიზნით, არამედ უფრო მეტად, მოსაუბრის დაურწმუნებლობას: He's ill, isn't he?

ზოგიერთი კითხვითი წინადადების ტიპი განსაზღვრულ კონტექტში გამოხატავს არა ინფორმაციის მისაღებად დასმულ შეკითხვას, არამედ მოსაუბრის მიერ სიტუაციის ემოციურ შეფასებას. წინადადებაში: "რამდენჯერ უნდა ითქვას ერთი და იგივე?" - აქტუალიზდება აღშფოთების ემოციური ფუნქცია, ხოლო წინადადებაში "რამდენჯერ უნდა დავდოთ ფსონი?" – მსგავსი სტრუქტურის ფარგლებში, გარდა აღშფოთებისა, შეიძლება აქტუალიზდეს ინფორმაციის მოთხოვნა.

კითხვითმა წინადადებამ შეიძლება გამოხატოს შეთავაზება, მოწვევა: ჩაიხომ არ დაგველია? შეგიძლია წინ და უკან არ იარო, როგორც მომართულმა? What about going to the zoo? Must you smoke so much?

ნათელია, რომ კითხვის კატეგორია გადაპვეთს მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას და შეადგენს ზოგიერთი მისი მიკროველის პერიფერიას: შეძახილს, ვარაუდს, რაც, რასაკვირველია, არ არომევს კითხვითობას დამოუკიდებლად არსებობის უფლებას.

რაც შექება ემოციურ-ექსპრესიულ შეფასებას, მისი მიზანდასახულობა განიხილება როგორც დამოუკიდებელი კატეგორია, რომელიც მოდალობის კატეგორიიდან რაციონალური შეფასებით განსხვავდება. ეს გვაძლევს საშუალებას თავიდან ავიცილოთ მოცულობის ზედმეტად გაფართოება და ყურადღება გადავიტანოთ სემანტიკის შესწავლის თავისებურებებზე და გამოხატვის საშუალებებზე, რადგანაც მათ აქვთ შეხების წერტილები, კერძოდ, ორთავე გამოხატავს მოლაპარაკის პოზიციას გამონათქვამისადმი, მაგრამ განსხვავდება მათი გამოხატვის ხასიათი და საფუძველი.

მოდალობის სემანტიკური მოცულობის განსაზღვრის დროს ყველაზე დასაბუთებულად მიაჩნიათ თვალსაზრისი, რომელიც მოდალობის ურთიერთობას სამი ტიპის ფარგლებში წარმოაჩენს, (ერმოლაევა 1964: 121; ზვერევა 1983: 25; პანფილოვი 1977, 39). ეს ურთიერთობებია: 1) გამონათქვამის შინაარსის მიმართება სინამდვილესთან რეალობა/ირეალობის პლანში, ნებელობის ჩართვით; 2) მოსაუბრის მიმართება გამონათქვამისადმი, რეალობის ობიექტსა და მის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას შორის შესაძლებლობის, აუცილებლობისა და სასურველობის პლანში და ასევე, 3) მისი ჭეშმარიტების/არაჭეშმარიტების თვალსაზრისით. მოდალობის ეს ტიპები განსხვავებულად კლასიფიცირდება: როგორც შიდა და გარე, როგორც ობიექტური და სუბიექტური, როგორც შიდასინტაქსური და გარესინტაქსური. არსებობს მოდალურ ურთიერთობათა გამოხატვისა და ინტერპრეტაციის სხვა მიღგომებიც.

ბოლო დროს მრავალი შრომა მიეძღვნა პირობითობასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. ჩვენი აზრით საინტერესოა მათი განხილვაც. მაგალითად გორდონი და ლეიკოფი (გორდონი ... 1971, 63) კამათობენ რომ ჭეშმარიტი თხოვნა "პირობითად" მოიცავს შემდეგს:

- ა) მოსაუბრეს სურს შესრულდეს მოქმედება,
- ბ) მსმენელს შეუძლია ამის გაკეთება,
- გ) მსმენელს სურს ამის გაკეთება,
- დ) მსმენელი, ვიდრე არ თხოვენ არ შეასრულებს ამ მოქმედებას.

ყოველივე ეს შემდეგი წინადადებების საშუალებით შეიძლება იქნეს გადმოცემული:

- a) I want you to take the book to the library.
- b) Can you take the book to the library?
- c) Are you willing to take the book to the library?

d) Will you take the book to the library?

შეიძლება გამოყოფილი იქნეს კავშირი ამ წინადადებებსა და პრინციპებს შორის, სადაც წინადადება (a) ეფუძნება მოსაუბრის გულწრფელობას. ყოველივე ამის შედეგად შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე: თხოვნა შეიძლება რეალიზებული იქნეს 1) მტკიცებულებით - დაფუძნებული მოსაუბერის გულწრფელობაზე და 2) შეკითხვით - დაფუძნებული მსმენელის გულწრფელობაზე.

პრობლემა იქმნება (d) ტიპის წინადადებებში, სადაც პირობა უარყოფითია მიუხედავად იმისა, რომ დადებითი ფორმის კითხვაა დასმული. გამოსავალი შეიძლება ადვილად მოიძებნოს. Will არ გულისხმობს კეთებას, ასე რომ იყოს, რომ იქნებოდა მისი განმარტება და ასევე, ჩვეულებრივ, ვერ ვიტყოდით: Are you going to take the book to the library? ეს უფრო შეხსენებაა, ვიდრე თხოვნა, will აქ უფრო სურვილის გამოსახატავად არის გამოყენებული, ვიდრე მომავლისა. ანუ ამ შემთხვევაში, ამ კონკრეტული მნიშვნელობის გამოსახატავად ჩვენ, არც უარყოფითი ფორმა გვჭირდება და არც სხვა რაიმე დამატებითი ფრაზა.

რ. ლეიკოფი განიხილავს რამდენიმე წინადადებას (ლეიკოფი 1972ბ: 47):

You must have some of this cake.

You should have some of this cake.

You may have some of this cake.

ამ მაგალითებში დიასახლისი სტუმრებს თავის გამომცხარ ნამცხვარს სთავაზობს. ლეიკოფი აღნიშნავს, რომ ეს წინადადებები თავაზიანობის გამოხატვის თვალსაზრისით თანმიმდევრობით არის მოცემული და მიიჩნევს, რომ პირველი ყველაზე ზრდილობიანი ფორმა ემსგავსება სხვა ენებში. მოკრძალებულობის გამომხატველ წინადადებებს.

გაურკვეველია, თუ რომელი მოდალური ზმნის გამოყენება უფრო თავაზიანი იქნებოდა- must-ისა თუ may-ს. რატომ არის უფრო თავაზიანი ვალდებულების გამოხატვა, ვიდრე რჩევის მიცემა ან ნების დართვა? ლეიკოფი დასძენს, რომ ჩვენ ვიყენებთ ვალდებულებას იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი სხვაგვარად არ შეასრულებს და არ გაითვალისწინებს მოცემულ პირობას.

ვერ ვიტყოთ, რომ არ არის კავშირი მნიშვნელობასა და წინადადებას თუ კონტექსტს შორის ან მნიშვნელობა გაუგებარი იყოს კონტექსტიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში must-ის გამოიყენება უნდა

მივიჩნიოთ თავაზიან საშუალებად სტუმრისათვის საკვების შეთავაზების დროს. მაგრამ ამისათვის ლინგვისტური ახსნა არ გვჭირდება, ამ შემთხვევაში საქმე უფრო მეტად ეხება ექსტრალინგვისტურ საკითხებს, ვიდრე ლინგვისტიკას.

წინადადებებს, რომლებსაც განვიხილავდით აქვთ ორი დამახასიათებელი თვისება. ერთის მხრივ, ისინი არიან ექსპლიციტური (მნიშვნელობა პირდაპირ არის მოცემული), მეორეს მხრივ კი მათი მნიშვნელობა შეიძლება იგულისხმებოდეს (ნაკარნახებია კონტექსტის საშუალებით).

არსებობს ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც შეიძლება აქტუალიზდებოდეს ზემოთმოყვანილ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი. მაგალითად How do you do? არის სრულიად პირობითი ფორმა, მაგრამ როული იქნებოდა მისი მნიშვნელობის გარდაქმნა სიტყვათა უფრო ლიტერატურული მნიშვნელობიდან. მაგალითად შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა თქვას It's hot in here იმისათვის რომ ვინმეს გააღებინოს ფანჯარა. მსგავსად, იდენტური პრაგმატული ეფექტი შეიძლება იქნეს მიღწეული შემდეგი წინადადებების საშუალებით:

Here, June, can you give me a hand with this harness?

This harness is too heavy for me to move.

განსხვავება ამ ორი ტიპის გამონათქვამს შორის სრულიად ნათელია:

წინადადებათა ფორმა, რომლებიც პირობითი იმპლიკაციით შეიძლება იქნეს გამოყენებული, შეზღუდულია (Can you . . . ? Will you . . . ? Would you . . . ?). შეზღუდული არ არის ამავე აზრის გამომხატველი სხვა ფორმები, ფანჯრის გასაღებად შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა თქვას It's stuffy in here, I'm hot, There's not much air და ა.შ.

პირობითობის ლინგვისტური გამოხატვა ყველა ენაში განსხვავებულია, მაგრამ ნებისმიერ ენაში ზემოთ მოყვანილ მაგალითს შეიძლება მოსდევს ფანჯრის გაღება (მიუხედავად იმისა, რომ რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს ხელისშემსლელი ან პირიქით ხელშემწყობი პირობები).

დავუბრუნდეთ ჩვენს შესასწავლ საკითხს - მოდალობას. ჩვენი გაგებით მოდალობა - ეს არის ენობრივი კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოლაპარაკის აზრს რეალობის რაიმე ობიექტსა და მის რაიმე თვისებას შორის კავშირის შესახებ. მოდალობას საფუძვლად უდევს საერთო შეფასების კატეგორია, თუმცა ეს შეფასება შეიძლება იყოს არა ემოციური, არამედ ინტელექტუალურ-მენტალური, რაც, ჩვნი აზრით, არ გვაძლევს უფლებას მოდალობის სფეროში ჩავრთოთ ემოციურ-ეთიკური და სხვა სახის შეფასებანი. ანუ მოდალობა წარმოგვიდგება,

როგორც გრამატიკული მნიშვნელობის სისტემა, რომელიც ენის სხვადასხვა დონეზე მუდავნდება. ამ ენობრივი საშუალებების გამოხატვის თავისებურება განსაზღვრავს სხვადასხვა ენაში მოცემული კატეგორიის ეროვნულ სპეციფიკას, კონფიგურაციას და მისი ქვესისტემის სემანტიკურ დაყოფას. (ბელიაშვა 1979: 19)

როგორც აღმოჩნდა, ინგლისურში მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკურ ველს აქვს რთული სტრუქტურა. მოდალობის მთელი კატეგორია შეიძლება დაგყორო რო მიკროველად: რეალობის ველი და არარეალობის ველი. არარეალობის მიკროველი, თავის მხრივ, იშლება რიგ ველებად: ირეალობა, საგნობრივი მოდალობის ველი (ანუ პოტენციალურობა), სურვილის გამოხატვის ველი და „ასევე, ეპისტემური მოდალობის ველი. რეალობისა და ირეალობის მნიშვნელობები ქმნიან კომპოზიციას, რომლებიც გამოხატულია ბრძანებითი და თხრობითი კილოს ფორმებით, დანარჩენი მოდალური მნიშვნელობები იმყოფებიან არაოპოზიციურ ურთიერთობაში, რადგანაც მათ არა აქვთ დაყოფის ერთიანი საფუძველი.

რეალობის ველს, რომელიც გამოხატავს რეალურ ურთიერთობას ობიექტსა და ნიშანს შორის, ახასიათებს მკაფიო მორფოლოგიური დომინანტი - ბრძანებითი კილო, რომელიც ინგლისურ ენაში სხვადასხვა ფორმებით გამოიხატება. ველის პერიფერიაზე განლაგებულია ის ლექსიკური და გრამატიკული საშუალებები, რომლებიც აღნიშნავს რეალობის მნიშვნელობას. ინგლისურ ენაში, ისეთი მოდალური სიტყვების გარდა როგორიცაა - really, indeed, actually, positively, ამ მნიშვნელობების გადმოსაცემად გვეხმარება შემდეგი ფორმები: ინტონაცია დამხმარე ზმნის დროის ანალიტიკურ ფორმებთან ერთად, ნაწილობრივი ინვერსია (was she beatiful!) და ეგრეთშოდებული „ფუნქციური, ემფატური do"-ს გამოყენება (He did come yesterday).

ირეალობის ველში თავმოყრილია ობიექტსა და ნიშანს შორის პიპოთეზური კავშირის გამოხატვის საშუალებები. ველის დომინანტს შეადგენს თხრობითი კილოს მორფოლოგიური ფორმები, პერიფერიის ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებანი, კავშირები, სინტაქსური კონსტრუქციები. მაგალითად, ინგლისურ ენაში პერიფერიაზე განლაგებულია თხრობითი კილოს ზმნები, კავშირებითი as if, as though, supposing that ახლანდელი დროის კონიუქტივის ფორმები და აგრეთვე ნახევრადგრამატიკული მოდალური ზმნის შეთანხმება should ინფინიტივთან და ზოგიერთი გრამატიკული და იდიომატიკური გამოთქმები ზმნასთან may, might.

ნებართვის გამომატველი ველი ორი მიკროველისაგან შედგება: ოპტატური და დირექტული მოდალობის ველი, რომელთა მნიშვნელობები განსხვავდება ადრესატობის/არაადრესატობის სურვილის გამოხატვის ნიშნით. ველის სემანტიკური ინვარიანტია - სურვილის განსხვავებული ხარისხის გამოხატვა, რომელიც რეალიზდება მისი სურვილის განსახორციელებლად ობიექტსა და მის ნიშანს შორის კაგშირის მეშვეობით. დირექტული მოდალობა გამოხატავს მოლაპარაკის სწარფვას გაამხნევოს და წაახალისოს ადრესატი, რათა მან შეასრულოს რაიმე მოქმედება ან შეცვალოს რაიმე მდგომარეობა. ოპტატური მოდალობა გამოხატავს მოსაუბრის არამყარ სურვილს, განახორციელოს კაშირი რაიმე ობიექტსა და თვისებას შორის. ამ მიკროველს გააჩნია რთული სემანტიკური სტრუქტურა და შეიცავს გამოხატვის მრავალფეროვან საშუალებებს.

ეპისტემური მოდალობის ველის სემანტიკურ საფუძველს წარმოადგენს ობიექტსა და ნიშანს შორის ურთიერთობის დროს მოსაუბრის ცოდნის ხარისხის შეფასება. მოდალურ ლოგიკაში ეპისტემური მოდალობა გამოიყოფა როგორც მოდალური ცოდნა და ეს ტერმინი გამოიყენება ლინგვისტიკაში მოდალური შეფასების აღსანიშნავად, რომელიც ასახავს მოსაუბრის „ცოდნის“ ხარისხს რეალობასთან მიმართებაში. ტერმინი „ეპისტემური“, ჩემი აზრით, ადეკვატურად ასახავს ამ მოდალობის ტიპის არსეს, მიუთითებს რა სუბიექტური მოდალობის შეფასების ხასიათზე, რომელიც გამოხატულია გამონათქვამებში.

შეფასების ხასიათიდან გამომდინარე, ამ ველში გამოიყოფა დარწმუნების, ეჭვის, ლოგიკური შესაძლებლობის და ლოგიკური აუცილებლობის მიკროველები. მოცემულ ველში გამოხატვის ძირითად საშუალებად ჩანს მოდალურ ზმნებთან ერთად ლექსიკური ერთეულები და ლექსიკურ-გრამატიკული კონსტრუქციები.

საგნობრივი მოდალობა (ტერმინი შემოტანა ი. პეტემ) არის კატეგორია, რომელიც გამოხატავს ობიექტსა და მის რაიმე თვისებას შორის კაგშირის შეფასებას, რომელიც წარმოქმნება თვით შეფასების პროცესში. ეს მოცემული კავშირი არ არის რეალობის ფაქტი, არამედ მოსუბრე მას უყურებს როგორც შესაძლებელს, აუცილებელს ან სასურველს. შესაბამისად, საგნობრივი მოდალობის ველი შეიძლება დაიყოს შესაძლებლობის, იძულების და სურვილის მიკროველებად (ვიზგინა 1973: 3).

ენის როგორც სისტემის სრული და ადექვატური აღწერა შეუძლებელია მისი საკომუნიკაციო ასპექტის გამოკვლევის გარეშე. ენის კომუნიკაციურ ასპექტში ჩვენ ვგულისხმობთ ენობრივი სისტემის გამოყენების პირობებს, მის ერთეულებს და ქვესისტემების ურთიერთობებს კონკრეტულ მეტყვლების აქტებში, ენობრივი ერთეულების გამოყენებას და მათ არჩევას კომუნიკაციის პროცესში. შესაძლებელია ვისაუბროთ კომუნიკაციურ ლინგვიტიკაზე, ანუ დისკურსის კვლევაზე როგორც ენის აღწერის მოდელზე, რომელიც გულისხმობს „კერძო ენობრივი კატეგორიების კვლევას, რომელიც გამოიყენება საკომუნიკაციო ფუნქციების შესასრულებლად“. კომუნიკაციური მიღგომისას ყურადღების ცენტრში გახვდება კონკრეტულ მეტყველების აქტებში ენის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე საკითხები, რომლებიც უკავშირდება ენობრივი და მეტყველების მოვლენების ვარიანტულობას, არჩევანის დამოკიდებულებას და ენობრივი ერთეულების დამოკიდებულებას ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე.

საკომუნიკაციო ასპექტი წარმოადგენს ფუნქციურ-სემანტიკური მოდელის აუცილებელ დანამატს, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ენის სხვადასხვა დონის საშუალებებისაგან. ენობრივი კატეგორიების ფუნქციონირებისათვის სალაპარაკო ასპექტის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავაღრმავოთ ჩვენი წარმოგენა ენის განვითარებაზე. შეიძლება გამოვყოთ რიგი საკითხებისა, რომელიც, კერძოდ, ეხება მოდალობის კატეგორიას, რომელთა გადაწყვეტაც გაგვიძნელდება, თუ არ მივმართავთ კომუნიკაციის აქტს, ან, უფრო ზუსტად, მეტყველების აქტების თეორიას.

უპირველეს ყოვლისა, ენობრივი კატეგორიების შესწავლისას კომუნიკაციური მიღგომა გვაძლევს საშუალებას მნიშვნელობათა პირდაპირი, (კონვენციული) საშუალებებით გამოხატვის გარდა, ჩავრთოთ სემანტიკური და არაკონვენციური საშუალებები, რომლებიც იმავე კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებდნენ. მაგალითად ზოგიერთი მოდალური მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს ენობრივი საშუალებებით. მეორეს მხრივ, რიგ შემთხვევებში, თუ არ მივმართეთ საკომუნიკაციო ასპექტს, შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ სემანტიკური განსხვავება იმ მოდალურ ერთეულებს შორის, რომელთაც მსგავსი მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად: განსხვავება მოდალურ ზმნებს must და should-ს შორის. (must გამოხატავს მოქმედების ლოგიკურ აუცილებლობას. should კი ვარაუდს მოვლენების შემდგომ განვითარებაზე). (ნიუმენი 1976: 284) ასეთი

განსხვავება არსებობს may (ნების დართვის მნიშვნელობით) და მის ეპიფალენტს be allowed შორის. კერძოდ, May მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედება სანქციონულია თვით მოსაუბრის მიერ, ხოლო, როცა გამოიყენება კონსტრუქცია be allowed თვით მოლაპარაკის დამოკიდებულება არ არის გამოხატული, უფრო მეტიც, იგი შეიძლება უარყოფითიც კი იყოს (ლეიკოფი 1972ბ: 240).

კომუნიკაციური სიტუაციის თავისებურებანი განსაზღვრავს კომუნიკაციის პროცესში ენობრივი ფორმების არჩევის პირობებს. მაგალითად, ინგლისურ ენაში თხოვნის გამოხატვის სტრუქტურული ვარიანტის არჩევა დამოკიდებულია მოლაპარაკის მოთხოვნის კატეგორიულობაზე, ადრესატის შესაძლებლობაზე, ურთიერთობაზე და მათ შორის კავშირის სიახლოვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ხასიათზე.

სიტუაციური ანალიზი საშუალებას გვაძლევს სემანტიკურად განვასხვავოთ ისეთი სახის ელემენტები, როგორიცა რჩევა, თხოვნა, ბრძანება, მოწვევა და სხვა. არ შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ფაქტები არასოდეს ხვდებოდა მკვლევართა მხედველობის არეში. კომუნიკაციური აქტი შეისწავლება სხვადასხვამეცნიერებების მიერ: ფსიქოლინგვისტიკაში, მეტყველების კომუნიკაციის თეორიაში, მეტყველების აქტების თეორიაში, მიკროსოციალურ ლინგვისტიკაში. ეს საკითხები მუშავდება პრაგმატიკაშიც, რომლის ამოცანაა შექმნას მეტყველების ნიმუშთა ინტერპრეტაციის თეორია, გამოვლენილი ამა თუ იმ საკომუნიკაციო კონტექსტში". თუმცა პრაგმატიკის საზღვრები გარკვეულწილად აფერხებდა პრაგმატიკაში ამ მიმართულების საგნისა და სტატუსის განსაზღვრას. (სერლი 1969: 58).

დღესდღეობით პრაგმატიკის ფარგლებში გამოიყოფა სულ მცირე სამი სხვადასხვა მიმდინარეობა დაკაგშირებული ფორმალურ ლოგიკასთან, ლინგვისტურ სემანტიკასთან და ენის ფილოსოფიასთან. პირველი მიმართულება წარმოდგენილია ჩ. მორისის და რ. კარნაპის მიმდევართა მიერ და კონტექსტუალური ინდექსთა გამოყენებით განსაზღვრავს მოცემულ გამოთქმაში გამოყენებული სამეტყველო აქტის სახეს. მეორე მიმართულება ორიენტირებულია პრაგმატიკისა და სემანტიკის განსხვავების საკითხებზე (კათზი 1977: 74).

პრაგმატიკის საგნად აქ ითვლება კონტექსტის შესწავლა დაფუძნებული კონტექსტის აქტუალურ მნიშვნელობებზე, რომელიც ეხმარება მოლაპარაკეს და

მსმენელს განვსაზღვროთ აქტუალური მნიშვნელობა, იმ დროს, როდესაც სემანტიკას ენიჭება კონტექსტური შესწავლის ფუნქცია (ლიჩი 1980: 5), ანუ, სემანტიკა უნდა მოქმედებდეს წესებით, რომელიც ბგერებსა და დენოტატს შორის ურთიერთობას ხსნის, პრაგმატიკა კი ხსნის სწორი სამეტყველო ქცევის წესებსა და პრინციპებს. და ბოლოს, მესამე მიმართულება პრაგმატიკაში წარმოდგენილია გ. გრაისის, დ. სერლისა და სხვათა მიერ. ხშირად სემანტიკას და პრაგმატიკას ცალკე არ ყოფენ, მიაჩნიათ, რა, რომ ენა იმყოფება პრაგმატიკის კომპეტენციაში, რომლის შემადგენელ ნაწილს კომუნიკაციურად ორიენტირებული ლინგვისტიკის თეორიაში წარმოადგენს მასთან დაკავშირებული მეტყველების აქტის ცნება (მეტყველების ...1980: 9).

ამ თეორიის თანახმად, გამონათქვამი წარმოადგენს რთულ აქტს, რომელშიც გამოიყოფა სამი ასპექტი: 1) ლოკუცია, 2) პერლოკუცია, 3) ილოკუცია, ე.ო. დარწმუნება, დაპირება, თხოვნა, მადლობის გამოხატვა და სხვა. ილოკუციური გამონათქვამის ძალა და კატეგორიულობა შეიძლება იქნეს გამოხატული პერფორმატული ზმნის სახით, მაგალითად: მე ვამტკიცებ, რომ; მე გთხოვ; მე გიბრძანებთ და ა.შ. გამონათქვამის ილოკუციური ძალა ორი მეთოდით გამოიხატება: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი სამეტყველო აქტი ხორციელდება კონვენციური ენობრივი ფორმებით, მაგ: ბრძანებითი კილო ბრძანების გამოსახატვად, კითხვითი წინადადაბები ინფორმაციის მისაღებად, თხრობითი კილო რეალობის დასადასტურებლად. ირიბი მეტყველების აქტისას გამონათქვამი იქნეს ილოკუციურ ძალას. მაგალითად, შესაძლებლობის გამოხატვა კითხვითი წინადადებით მოდალურ ზმნასთან ერთად: Can yet pass me the salt?

პრაგმატიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიმდინარეობას, რომელიც შეისწავლის სამეტყველო ურთიერთობის სტრატეგიასა და ტაქტიკას, და დიალოგის კოჰეზიის პრაგმატულ ასპექტებს (გრაისი 1975: 49).

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსმენელის პოზიციის მექანიზმი, მისი შესაძლებლობები გამოიცნოს ირიბი მეტყველების აქტებში გადმოცემული მოსაუბრის კომუნიკაციური განზრახვა. გ. გრაისი, მირითად პრინციპად კოოპერაციის პრინციპს თვლიდა. ამ პრინციპს აქვს სხვადასხვა რაცურსი მოლაპარაკისა და მსმენელისათვის; მოლაპარაკისაგან ის მოითხოვს თავისი წვლილი შეიტანოს დისკურსში, რათა არ დაირდვევს კოოპერაციის პრინციპი, კომუნიკაციურ პოსტულატებს გ. გრაისი ყოფს ოთხ ჯგუფად რომელთაგან თითეოულში განსაზღვრულია მოსაუბრის ქცევა საუბრისას (გრაისი 1978, 3).

- 1) რაოდენობის პოსტულატები რომელიც არეგულირებს გამოთქმის ინფორმაციულ დონეს – შეიტანე შენი წვლილი დიალოგში საკმაოდ ინფორმაციულად; არ შეიტანო ის უფრო მეტად ინფორმაციულად, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.
- 2) ხარისხის პოსტულატები, რომელიც განსაზღვრავს გამონათქვამის ჰერმარიტების დონეს: არ თქვა ის, რაც მცდარად მიგაჩნია. არ თქვა ის რისი საკმარისი დადასტურებაც არ გაქვს.
- 3) მართებულობის (შესაბამისობის) პოსტულატი: იყავი რელევანტური ე.ი. თქვი ის რაც საქმეს შეეფერება.
- 4) მანერათა პოსტულატები: მოერიდე გამონათვქამის ბუნდოვანებას, მოერიდე ორაზროვნებას, იყავი მოკლე და დალაგებულად გადმოეცი აზრები.

კოოპერაციის პრინციპი და მისი პოსტულატები უნდა დაეხმაროს მსმენელს ნათქვამიდან გამოიტანოს ექსპლიციტური და იმპლიციტური მნიშვნელობა, რასაც გ. გრაისი იმპლიკაციას უწოდებდა. იმპლიკაცია წარმოგვიდგება, როგორც ინფორმაციის კომპონენტი. ხოლო კომუნიკაციური იმპლიკაცია საკმაოდ მარტივად გამოიყოფა წარმოთქმულის შინაარსიდან.

გრაისის იმპლიკაცია ნაწილობრივ, ემთხვევა სერლის ილოკუციური ძალის ცნებას (გრაისი 1975: 51). მათ შორის განსხვავება შემდეგშია: ილოკუციური ძალა ძევს ყოველ გამონათვამში, ყოველ მეტყველების აქტში, მაშინ როცა იმპლიკაციური დისკურსი დამახასიათებელია მხოლოდ ირიბი მეტყველების აქტისთვის. კომუნიკაციური განზრახვის გამოხატვის მოცემული შემთხვევები წარმოადგენს გამოხატვის არაკონვენციურ ხერხებს და კონკრეტული გამოყენებისას საჭიროებს კონკრეტულ ახსნა-განმარტებას. კომუნიკაციური საქმიანობა - ეს არის ინფორმაციის გადაცემის პროცესი. ზეპირი კომუნიკაცია ხორციელდება მეტყველების აქტების სახით: გამონაქვამი ორი ხერხით ატარებს და გადმოსცემს ინფორმაციას: კონვენციური და არაკონვენციური გზით. ინფორმაციის კონვენციური ფორმა წარმოიქმნება პირდაპირი მეტყველების

აქტებში ენობრივი ფორმების მეშვეობით მათი სისტემური სემანტიკის ხარჯზე. არაკონვენციური ინფორმაციის გადმოცემა ხდება ირიბ სამეტყველო აქტებში და გამომდინარეობს 1) წინადადების პირდაპირი სემანტიკური შინაარსიდან 2) ლინგვისტური და სამეტყველო კონტექსტიდან და 3) ცოდნის დონიდან, იმის გათვალისწინებით, რომ კომუნიკაციის მონაწილეთ აქვთ საერთო მიზანი ურთიერთგაბების მისაღწევად.

ენის სტილისტური დახასიათება წარმოადგენს ენობრივ ერთეულთა შიგასტრუქტურულ მარკირებას, მაშინ როცა რეგისტრის არსი ექსტრალინგვისტური ცნებაა. თუმცა მოცემული პარამეტრის რელატიურობა საუბრის საზღვრების განსაზღვრისას გარდაუგალია. მაგალითად, მოდალური ურთიერთობების გამოხატვის ბევრი ფორმა განისაზღვრება იმ პირობების ერთიანობით, რომლებიც კომუნიკაციის რეგისტრს შეადგენენ. ყოველივე ეს საჭიროა კომუნიკაციური ასპექტის მოდალობის ქვესისტემის შესწავლისას.

ყოველი ზემოთთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფუნქციურ-სემანტიკური გელი არის შედარებისას კვლევის საიმედო ბაზა, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ სხვადასხვა ტიპის ენაში ამათუ იმ საერთო მნიშვნელობის გამოხატვის საშუალებათა თავისებურება და გავაკეთოთ დასკვნა მათი მსგავსებისა და განსხვავების შესახებ.

ინგლისურ ენაში მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკურ ველს აქვს რთული სტრუქტურა. მოდალობა წარმოგვიდგება, როგორც გრამატიკული მნიშვნელობის სისტემა, რომელიც ენის სხვადასხვა დონეზე მუდავნდება. ამ ენობრივი საშუალებების გამოხატვის თავისებურება განსაზღვრავს სხვადასხვა ენაში მოცემული კატეგორიის ეროვნულ სპეციფიკას, კონფიგურაციას და მისი ქვესისტემის სემანტიკური დანაწილების სახეს .

## თავი II

### მოდალობის ტიპები ინგლისურ და ქართულ ენებში

#### §1. მოდალობის ტიპები ინგლისურ ენაში

როგორც აღვნიშნეთ, მოდალობის მრავალი განსაზღვრება არსებობს. ეს განსაზღვრებები ითვალისწინებს მოლაპარაკის დამოკიდებულებას სამეტყველო აქტების, სუბიექტურობის, არაფაქტუალობის, შესაძლებლობის და აუცილებლობის მიმართ. ზოგადად, ენათმეცნიერებაში მოდალობის რამდენიმე სახე გამოიყოფა, მაგრამ სხვადასხვა მეცნიერთან ეს განსხვავებულ კრიტერიუმზე დაყრდნობით ხდება.

საინტერესოა რ. პადლეტონის, ჯ. ლაიონზისა და ფ. პალმერის აზრი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ განსხვავება კილოსა (გრამატიკულ კატეგორიას) და მოდალობას (სემანტიკურ კატეგორიას) შორის ანალოგიურია ზმნის დროთა (tense) და ასტრონომიურ დროს (time). შორის არსებული განსხვავებისა. ნათელია, რომ მოდალობის კატეგორია სცილდება ლინგვისტური სემანტიკის ფარგლებს და ლოგიკის, საერთოდ, აზროვნების ფილოსოფიის სფეროში იჭრება (ჭანტურია 1998: 104).

ფონ ვრაიომა მიზნად დაისახა მოდალობის სახეობებისა და სისტემების გამოკვლევა, რომლებიც, მისი აზრით, აშკარად ამოიცნობა ენაში. ფონ ვრაიომა თავის ნაშრომში, რომელიც ეძღვნება მოდალურ ლოგიკას, გამოყო თთხი სახის მოდალობა: (ფონ ვრაიო 1951: 28)

- 1) ალეგორი ანუ ჭეშმარიტების მოდალობა
- 2) ეპისტემური ანუ ცოდნის მოდალობა
- 3) დეონტური ანუ ვალდებულების მოდალობა
- 4) ეგზისტენციალური ანუ არსებობის მოდალობა

ჯ. ლაიონზი, თავის მხრივ, მოდალობის სამ შეალას გვაძლევს. ესენია: „სურვილი, დაპირება“ (wish, intention), „აუცილებლობა“, „ვალდებულება, (necessity, obligation) და „დარწმუნებულობა“, „შესაძლებლობა“ (certainty, possibility) (პალმერი 1976: 2).

სხვა მეცნიერებისაგან განსხვავებით, ფ. პალმერმა თავდაპირველად, განსხვავებულად დაჟყო მოდალობის კატეგორია. მან განასხვავა: ეპისტემური, ქვემდებარებული ორიენტირებული და დისკურსზე ორიენტირებული მოდალური ელემენტები. ასე მაგალითად, can და will, მისი აზრით, ქვემდებარებული ორიენტირებული მოდალებია, ხოლო may, shall და must დისკურსზე ორიენტირებული. ამ ორ მოდალობას შორის სემანტიკურ განსხვავებას ფ. პალმერი შემდეგნაირად სინის: ქვემდებარებული ორიენტირებული მოდალური ზმნები მიუთითებენ წინადაღების ქვემდებარის შესაძლებლობასა და სურვილზე კონკრეტული მოქმედების მიმართ, და სწორედ ამით ახორციელებენ კავშირს მოქმედებასთან. დისკურსზე ორიენტირებული მოდალები უკავშირდებიან მოსაუბრის მოქმედებას, იძლევიან რაიმეს უფლებას, პირობას ან რაიმე ვალდებულებას აკისრებენ ობიექტს.

პალმერი მიიჩნევს, რომ ტერმინ „მოსაუბრებელი“ ორიენტირებულის" ნაცვლად უმჯობესია ვიხმაროთ ტერმინი „დისკურსზე ორიენტირებული“, იმიტომ, რომ კონკრეტულ კონტექსტში შეიძლება როგორც რაიმე ნებართვის მიცემა, ისე ნებართვის თხოვნაც. მაგალითად May I come in? - წინადადებაში შემოსვლისას ნების დართვა მსმენელის და არა მოსაუბრის პრეროგატივაა.

საგულისხმოა, რომ მოგვიანებით ფ. პალმერი უარყოფს თავის აზრს მოდალობის ამ კლასიფიკაციის შესახებ, მიიჩნევს მას არაზუსტად და შემოაქვს მოდალობის განსხვავებული სამი ძირითადი სახე. ამჯერად, ის ამჯობინებს ფონ ვრაითის მიერ შემოდებულ ტერმინებს: ეპისტემური, დეონტური და დინამიური.

- 1) ეპისტემური მოდალობის დამახასიათებელია „შესაძლებლობის“ აღმნიშვნელი may და „აუცილებლობის“ must.

2) დეონტური მოდალობა, მოკლედ ომ ვთქვათ, ნაჩვენებია „უფლების“ აღმნიშვნელი მოდალური ზმნით may და „გალდებულების“ აღმნიშვნელით must.

3) დინამიურ მოდალობაში გამოიყოფა ორი ჯგუფი. პირველი, ნეიტრალური, გამოხატული ზმნების can და must მნიშვნელობებით „შესაძლებელი“ (possible) და „აუცილებელი“ (necessary), ხოლო მეორე – ქვემდებარებები თრიექტირებული ქვეჯგუფი, გამოხატული მოდალით can – „შესაძლებლობის“ მნიშვნელობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონ ვრაითი მოდალურ ლოგიკაში გამოყოფს მოდალობის ოთხ სახეს, რომელთაგან ბოლო ტიპის მოდალობა (ეგზისტენციური) კვანტიფიკაციის თეორიას განეკუთვნება, და ამიტომ, ხშირად არც არის მიჩნეული მოდალობის ერთ-ერთ ქვეტიპად, თუმცა, ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ არსებობს მსგავსება ამ და სხვა მოდალობის სახეებს შორის. განსჯის შემდეგ ავტორი მოდალობის შემდეგ სქემას იძლევა:

Alethic	Epistemic	Deontic	Existential
Necessary	verified	obligatory	universal
possible		permitted	existing
contingent	undecided	indifferent	_____
impossible	falsified	forbidden	empty

მოდალური ზმების may და must-ის გამოყენებისას და მათ შორის მნიშვნელობათა განსხვავების აღსანიშნად ლინგვისტები ხშირად იყენებენ ტერმინ „ეპისტემურს“ მაგალითად, He may be there, He must be there. ფონ ვრაითი აღნიშნავს, რომ სიტყვა „შესაძლებელი“ ჩვეულებრივად ენაში გამოიყენება ეპისტემური გაგებით. მის სიტყვაში „შესაძლებელი“ ეკუთვნის მოდალობის ალეთურ ქვეტიპს და ტერმინი „ეპისტემური“ გამოყენებისას "განუსაზღვრელია" (ფონ ვრაიტი 1951: 25).

დეონტურ მოდალობას განსაზღვრული ადგილი უჭირავს ჩვეულებრივ მეტყველებაში. მაგრამ ეპისტემურ მოდალობის მსგავსად, ის, ჩვეულებრივ, სუბიექტურია. ფონ ვრაითისთვის მოდალობა აბსოლუტურია, მაგრამ, ავტორის აზრით, ის შეიძლება იყოს რელატიურიც. დეონტური მოდალობა კი, ჩვეულებრივ, პერფორმატულია (ოსტინის გაგებით).

მოდალობის ეგზისტენციური სახე, როგორც ფონ ვრაითი აღნიშნავს, არის რაოდენობრივი ლოგიკის შესასწავლი საკითხი. ერთის მხრივ can გამოიყენება ეგზისტენციური გაგებით „some"-ის მნიშვნელობით Lions can be dangerous. მეორეს მხრივ კი - ლოგიკური ეპოვალებნების წესი უარყოფასთან ერთად ეგზისტენციურ მოდალობაში მსგავსია სხვა მოდალებისა, განსაკუთრებით კი ეპისტემურისა.

ჯ. ლაიონზი საუბრობს „კილოსა" და „მოდალობას" შორის სხვაობაზე. ამ დიქტომიაში კილო გრამატიკული კატეგორიაა. ის იძლევა მოდალობის სამ კატეგორიზაციას: 1) „სურვილი" (wish) და „განზრახვა" (intention), 2) „აუცილებლობა" (necessity) და „ვალდებულება" (obligation) და 3) „სინამდვილე" (certainty) და „შესაძლებლობა" (possibility). ლაიონზის მოქრ გამოყოფილ ბოლო ორ წყვილს ფონ ვრაითი „დეონტურ" და „ეპისტემურ" მოდალობას უწოდებს, შესაძლებლობასა და აუცილებლობას უკავშირებს „ფაქტობრივს" (factive), „კონტრა-ფაქტობრივსა" (contra-factive) და „არა ფაქტობრივს" (non-factive). ძირითადი განსხვავება ნათელია: „კილო" არის გრამატიკული ტერმინი, მაშინ როდესაც „მოდალობა" - სემანტიკური ტერმინია დაკავშირებული მნიშვნელობასთან, რომელიც, ჩვეულებრივ, კილოსთან ასოცირდება (ლაიონზი 1968: 307).

ლაიონზი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია დრო განვიხილოთ, როგორც მოდალობა და დროის ლოგიკა ჩავრთოთ მოდალობის ლოგიკაში. აქ უნდა ვახსენოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ ფილოსოფოსების დიდი ხნის დავის საგანია, შეიძლება თუ არა მომავალი მივიჩნიოთ ფაქტუალურად, რადგანაც არ ვიციოთ ზუსტად თუ რა მოხდება მომავალში (ლაიონზი 1979: 214).

ლიჩს თავისებური მიდგომა აქვს მოდალობისადმი. იგი გვთავაზობს მის „სტრუქტურულ და კომპონენტურ აღწერას". ეს მოიცავს შვიდ სისტემას:

მიზეზობრიობა (causation) - "causes"; "is caused by"

რეალობა (actuality) - "actual, real"; non-actual, unreal, hypothetical"

იძულება (constraint) - "weak" (e.g. permission), "strong" (e.s. obligation)

ძალაუფლება (authority) - "has permission/is obliged to"; "converse"

სურვილი (volition) - "wishes", "is wished by"

შესაძლებლობა (ability) - "is able to"; converse

ალბათობა (probability) - "probable"; "improbable" (პალმერი 1976: 13)

ლებრენის განსხვავება „ფიზიკური შესაძლებლობის", „მორალური შესაძლებლობის" და „ლოგიკური შესაძლებლობის" აქტუალურ კვლევაში უფრო შესაფერისია, ვიდრე ლიჩის კატეგორიები. პალმერის აზრით უველაზე დიდი სისუსტე ამ ანალიზისა არის ის, რომ ის უფრო კლასიფიციური ხასიათისაა, ვიდრე ახსნითი (პალმერი 1976: 14).

მოდალობის ტიპებზე საუბრისას ასევე საინტერესოა გავითვალისწინოთ ლენგვაჟის მოსაზრება. ის მოდალობის ოთხ საფეხურს გვთავაზობს, სადაც მოდალობის გამომხატველ საშუალებათა ფორმა და მნიშვნელობა შერწყმულია (პარისი 2008: 1). ეს კლასიფიკაცია მოდალობის რამდენიმე ტიპს იძლევა: ობიექტურ, ეგზისტენციალურ, ეპისტემურ და ძირულ (ანუ დეონტურ) ფენებს.

ტრანსფორმაციულ გარმატიკაში რაიმე მოვლენის თუ ობიექტის აღწერის ფორმულირებისას პირველი ნაბიჯი არის ძირითადი კომპონენტებისა და სიღრმისეული სტრუქტურის განხილვა. მაგალითად, როდესაც მოსაუბრე მიუთითებს სკამზე, სიღრმისეული სტრუქტურა, რომელიც ამ ერთეულს თან სდევს შემდეგია: “სკამი + ეხლა + არსებობს.” თუ როგორ აღვიქვამო ამ ინფორმაციას, ფსიქოლოგ ომროდის აზრით დაფუძნებულია “ცოდნის გონებრივ ერთეულზე რომელიც წარმოადგენს მსგავს საგანთა და შემთხვევათა ჯგუფს” (პარისი ... 2008: 2). მეცნიერი ამ ერთეულს უწოდებს სქემას, რომელიც განსხვავდება ინდივიდუალური კულტურისა და ხალხის მიხედვით. სკამის სქემა შეიძლება ეყრდნობოდეს გარკვეულ გარაულებს, როგორიცაა: მას აქვს დასაჯდომი, ადგილი, აქვს ოთხი ფეხი, არის საკლასო ოთახებსა და ოფისებში, ვერ ვნახავთ ფეხბურთის მოედანზე და ა. შ.

როგორც ლენგვაჟის დასძენს “ცოდნის ეგზისტენციალური დონე გვპარნახობს სიტუაციის არსებობას” (პარისი, 2008: 1). მოსაუბრის სუბიექტურობა მოითხოვს ლოგიკურ შესაძლებლობასა და გარკვეული სირთულეების დაძლევას, რათა მოხდეს მნიშვნელობის ფორმირება სამყაროში. შედეგები თავისათავადია და დგინდება ურთიერთმოქმედების საფუძველზე. ეს ურთიერთქმედება აყალიბებს გარკვეულ აზრს მოსაუბრესა და ობიექტს/პიროვნებას ან მოქმედებას შორის.

ინგლისურ ენაში მნიშვნელობის დაძლევა მოიცავს ეპისტემური მოდალობის გამოყენებას. მოსაუბრე მნიშვნელობას განავითარებს ეპისტემურ დონეზე მოდალების გამოყენებით რაიმე მოქმედების შესაძლებლობის ან აუცილებლობის დროს და შეთავაზებაზე დათანხმების ან უარყოფის შემთხვევაში. (კვირკი 1985: 85)

ბერძოლის მოსაზრებით “სუბიექტურობა არის მოდალობის ძირითადი კრიტერიუმი, რადგანაც ის არის მოსაუბრის განზრახვისა და აზრის გრამატიკული ჩამოყალიბება” (ბერძოლი 1984, 22). თუ მოვიყვანო ორ მაგალითს: That might be a chair და That must be a chair due to these reasons... ჩანს რომ might be

გამოიყენება შესაძლებლობის გამოსახატავად და must be პი ლოგიკური აუცილებლობისა.

მოდალობის ძირეული (ანუ დეონტური) საფეხური განსხვავდება ეპისტემურისა და ეგზისტენციალურისაგან. ძირეული მოდალები გამოიყენება მდგომარეობის გაკონტროლების, ნებართვის, ვალდებულებისა და სურვილის გამოხატვისას. სოციალური მდგომარეობა გარკვეულ როლს თამაშობს. მოსაუბრეთა სტატუსის მიხედვით ხდება სათანადო მოდალური ელემენტების შერჩევა. მაგალითად, ბავშვმა მშობელს შეიძლება სთხოვოს “May I go to see the trapeze artists?”. May გამოიყენება ნებართვის მისაღებად რადგანაც ამ სიტუაციას მშობლები აკონტროლებენ. იმ შემთხვევაში, თუ პასუხად მშობლები იტყვიან: “No, you should find your sister first.” აქ should ვალდებულებას გამოხატავს.

განზრახვა, წადილი და დაჟინება გამოიყენება წინადადებაში სურვილის გადმოსაცემად. სურვილის გამომხატველია შემდეგი წინადადებები:

The baker said the clowns will be here at one o'clock. (გამოიხატება განზრახვა)

We will go to see elephants first if you want. (გამოიხატება სურვილი)

The monkeys will keep screaming if we do not feed them. (გამოიხატება დაჟინება)

განხილული მაგალითები მოდალების კატეგორიებად დაყოფას გულისხმობენ. ძირეული მოდალობა ფუნქციონირებს მაშინ, როდესაც ადამიანი აკონტროლებს კონკრეტულ ობიექტსა თუ მოქმედებას, და მოდალების შერჩევა ხდება შემდეგ სოციალურ გარემოებათა მიხედვით.

ჩვენ ამჯერად ზოგადად დავახასიათებთ მოდალობის სამ ტიპს, რადგანაც სამი სახის მოდალობის (ეპისტემიური, დინამიური, დეონტური) გათვალისწინება აუცილებელია ინგლისური მოდალური ზმნებით ან მოდალური სიტყვებით გამოხატული მნიშვნლობების სწორად ინტერპრეტირებისათვის.

ტერმინი ეპისტემური ბერძნული „ეპისტემე“- დან წარმოიშვა და „ცოდნას“ ნიშნავს, ამდენად ეპისტემური მოდალობა ჭეშმარიტების სტატუსს ანიჭებს გამონათქმას მოლაპარაკის ცოდნის ფონზე (გოქსაძე ... 1988: 124).

ეპისტემური მოდალობა სუბიექტურია და გულისხმობს: „ეს ასეა, რამდენადაც მე ვიცი“ (და არა როგორც ცნობილია).

ეპისტემური მოდალობა პროპოზიციას აძლევს აუცილებლობის სტატუსს. გამონათვამი, რომელიც ეპისტემურ მოდალობას შეიცავს, პროპოზიციას წარმოაჩენს როგორც ყალბს ან ჭეშმარიტს.

განარჩევენ ეპისტემური მოდალობის ორ სახეს: ეპისტემური შესაძლებლობა, ვარაუდი (Epistemic possibility) და ეპისტემური აუცილებლობა, გარდაუვალობა (Epistemic necessity).

ეპისტემური ვარაუდის შემთხვევაში ხაზგასმულია პროპოზიციის ჭეშმარიტება, ეპისტემური აუცილებლობისას კი, მოლაპარაკეს, მის მიერ შეძენილი ცოდნის საფუძველზე მიაჩინა, რომ ვარაუდი რაიმე გამონათქვამის შესახებ ჭეშმარიტია და პროპოზიციის ჭეშმარიტება არ შეიძლება ეჭვის ქვეშ იყოს დაუენებული.

ეპისტემური ვარაუდი, უმთავრესად, may მოდალური ზმნით გადმოიცემა, მაგალითად: I may have a temperature, I feel nasty. ამ წინადადების ზუსტი პერეფრაზი ასეთია: It is possible that I have a temperature, because I feel nasty. ამ შემთხვევაში ალბათობა იმისა, რომ მე სიცხე მაქვს, დიდია, რადგან მე ვიცი, რომ როცა თავს ასე ცუდად ვგრძნობ, სიცხე მაქვს ხოლმე.

ვარაუდი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა დონისაა და ხარისხისაა, რაც კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში: წარმოვიდგინოთ, რომ ყუთში ოთხი გასაღებია, ამათგან მხოლოდ ერთი აღებს კარს. პირველი გასაღების ამოღების დროს ვიტყვით - შეიძლება (ეგებ) ამან გააღოს - this may be (=perhaps this is) the key. თუ ასე განვაგრძობთ, მეოთხე უკვე ის გასაღები იქნება, რომელიც ნამდვილად გააღებს კარს, რასაც ინგლისურში must შეესატყვისება (ქართულში - ნამდვილად) this must be the key. ვფიქრობთ, ნათელია, რომ ამ მაგალითში ვარაუდი თანდათანობით აუცილებლობაში გადადის. ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ this must be the key წინადადების იმპლიკაცია არის - It is necessary that it is the key, მაგრამ ამ და სხვა მისი მსგავსი წინადადებების ზუსტი იმპლიკაცია შემდეგია: შეუძლებელია, რომ ეს ასე არ იყოს, რადგან გამოცდილებით მიღებული ცოდნის საფუძველზე ამ ლოგიკურ დასკვნამდე მივედით.

ეპისტემური აუცილებლობა გარკვეული დოზით მაინც შეიცავს ვარაუდს, უფრო ზუსტად, იგი შეუძლებლობის უარყოფას წარმოადგენს და ამდენად, პროპოზიციას წარმოგვიჩენს როგორც თითქმის უეჭველს: If Fred left here at four o'clock he must be home now - ფრედის სახლში ყოფნის ალბათობა ძალიან დიდია. თითქმის შეუძლებელია, რომ ფრედი სახლში არ იყოს, მაგრამ რაღაცა ეჭვი მაინც რჩება (ანუ შეიძლება ის, რომ ფრედი შეიძლება გზაში რაიმე მიზეზით შეეოვნდა ან სადმე გაიარა).

ეპისტემური აუცილებლობა მსჯელობის შედეგია, რაც კარგად ჩანს შემდეგ  
მაგალითში:

Mrs. Green was fairly advanced in years when I was a boy; now she must be eighty if she's  
a day (ოთხმოცის ნამდვილად იქნება);

A:Pam has a house in London, a flat in Paris and a bungalow in Italy;

B: She must be very rich

შევადაროთ ორი მაგალითი: I ache all over, it may rain tomorrow (ალბათ  
იწვიმებს) და there is not a bit of blue sky between the clouds, we don't expect sunny skies for  
the next two days, it must rain again tomorrow (ნამდვილად იწვიმებს).  
დარწმუნებულობის ხარისხი პირველ წინადაღებაში შედარებით მცირეა,  
მოლაპარაკე მსმენელს მხოლოდ გარკვეულ გარაუდს უზიარებს. მეორე  
წინადაღებაში, გარდავული ობიექტური მიზეზების საფუძველზე, მოლაპარაკეს  
მიაჩნია, რომ ეს უთუოდ ასე იქნება. იგი დარწმუნებულია თავისი გარაუდის  
სისწორეში და ამას მსმენელს ატყობინებს.

ვარაუდს may-ს მსგავსად, might მოდალიც გადმოსცემს. ხშირად ისინი  
ურთიერთჩანაცვლებადნი არიან, This may (might) be the key; He may (might) be ill.  
Might მსგავს შემთხვევებში დარწმუნებულობის ოდნავ ნაკლებ ხარისხს  
გადმოსცემს, ვიდრე may.

ასევე ურთიერთჩანაცვლებადია ეპისტემური აუცილებლობის გამომხატველი  
must და should, იმ განსხვავებით, რომ should ოდნავ უფრო მორიდებული,  
თავაზიანი ფორმაა და მისი ხმარება თანამედროვე ინგლისურში უფრო ხშირია.  
მაგალითად:

A coat like that must cost about fifty dollars.

A coat like that should cost about fifty dollars.

ეპისტემური ვარაუდი ხშირად will მოდალით გადმოიცემა:

Tell him Prof. Rayfield has translated this poem, he will know Prof. Rayfield.

(მას უთუოდ ეცოდინება პროფესორი რეიფილდი) ამ შემთხვეაშიც დარწმუნებულობის ხარისხი საკმაოდ მაღალია.

მოყვანილი ანალიზის შედეგად, ვფიქრობთ, უმართებულო არ იქნება  
შემდეგი დასკვნის გამოტანა: ეპისტემური მოდალობა მხოლოდ ვარაუდის  
მოდალობაა. ეს ვარაუდი კი საფეხურებრივი, გრადუალური ხასიათისაა,  
რომლის უმდაბლეს საფეხურზე გვაქვს დიდი უჭვი და ამის შესაბამისად

დაურწმუნებულობის მაღალი ხარისხი, ხოლო მომდევნო საფეხურზე გჭვი თანდათანობით ძირდება დარწმუნებულობის მაქსიმალურად გაზრდის ხარჯზე.

ტერმინი დეონტურიც ბერძნულიდან მომდინარეობს და „რაღაც ვალდებულებით დაბმას, მიჯაჭვას“ ნიშნავს. დეონტური მოდალობა, ეპისტემურის მსგავსად, სუბიექტურია, მაგრამ სუბიექტურობა დეონტურ მოდალობაში იმაში ვლინდება, რომ სუბიექტი რაიმე მოქმედების გარდაუვლად, აუცილებლად შესრულებას ავალებს მსმენელს (გოქსაძე ... 1988: 125).

შესაძლებლობა - ვარაუდი დეონტურ მოდალობაში ხახს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოქმედება შესრულდება, რადგან ამის პოტენციური შესაძლებლობა არსებობს.

დეონტური მოდალობის შემთხვევაში ასევე ხაზგასმულია ქმედება, კერძოდ ის, რომ მსმენელმა რაღაც უნდა მოიმოქმედოს, რადგან ამის პოტენციური შესაძლებლობა არსებობს. დეონტურ მოდალობაშიც განარჩევენ დეონტურ შესაძლებლობას და დეონტურ აუცილებლობას - გარდაუვალობას.

დეონტური შესაძლებლობა, უმთავრესად, ნებართვას მოიცავს და may და can ზმნებით გადმოიცემა. თანამედროვე სასაუბრო ინგლისურში ამ მნიშვნელობით can-ის ხმარების არე იმდენად გაიზარდა, რომ მან თითქმის განდევნა may.

ნებართვის მნიშვნელობით may უფრო ხშირია კითხვით, ხოლო შესაძლებლობის მნიშვნელობით – მტკიცებით წინადადებებში.

ზოგჯერ ნებართვისა და შესაძლებლობის მნიშვნელობა გრაფიკულად იდენტურ გამოხატვას პოულობს და საქმე გვაქვს ორაზროვან წინადადებასთან: He may leave tomorrow - შეიძლება ორგვარად გავიგოთ:

- ა) შეუძლია წავიდეს ხვალ (ანუ ნებას ვრთავ),
- ბ) შეიძლება (ეგებ) ხვალ წავიდეს (არის ამის ალბათობაც და შესაძლებლობაც).

განსხვავება ,რაღა თქმა უნდა, კონტექსტში დგინდება.

დეონტური აუცილებლობის მნიშვნელობით ერთიანდება must, need და ought to, მაგრამ ეს ელემენტები ინტენსიურობის ხარისხის ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

You must get a hair-cut (ომა აუცილებლად უნდა შეიჭრა) - მეტად პატეგორიულია. აქ მოლაპარაკის ავტორიტეტია კატეგორიულადაა წინ წამოწეული, You need to get a hair-cut ნაკლებ კატეგორიულია და გულისხმობს, რომ მოლაპარაკის თვალსაზრისით, მსმენელს ჩვეულებრიგზე უფრო გრძელი

თმა აქვს ამჟამად და მის ვარცხნილობას მოწესრიგება სჭირდება. აქ, წინა მაგალითისგან განსხვავებით, მსმენელი და მისი თმის ვარცხნილობაა წინ წამო-წეული; You ought to get a hair-cut - უკელაზე ნაკლებ კატეგორიულია და ტაქტიან რჩევას გამოხატავს.

საგულისხმოა, რომ ought to ხშირად ისეთ ვალდებულებას გამოხატავს, რომელიც არ შესრულდება.

I ought to see John tonight.

(ამაღამ ჯონი უნდა ვნახო) გულისხმობს - უნდა ვნახო, მაგრამ ალბათ საამისოდ არ მეცლება.

He ought to pay for the broken window.

(მას ევალება ჩამტგრული ფანჯრის საფასურის გადახდა, მაგრამ ალბათ თავს დაიძვრებს და არ გადაიხდის).

დინამიური მოდალობის ეტიმოლოგიაც ბერძნულს უკავშირდება და ნიშნავს „შემიძლია, რადგან ძლიერი ვარ, ძალა მაქვს“. John can speak ten languages ნიშნავს, რომ ჯონს დიდი მიდრეკილება აქვს ენებისადმი, ადვილად შეუძლია მათი დაუფლება, დინამიური მოდალობა ხაზს უსვამს მოლაპარაკის განწყობა-მიდრეკილებას. იგი, გარდა ამისა, აუცილებლობა-გარდაუვალობასაც გამოხატავს, მაგრამ დეონტურისაგან განსხვავებით, ეს ისეთი აუცილებლობა-გარდაუვალობაა, რომელიც იქმნება სიტუაციით, სუბიექტის განწყობით ან მისი ნება-სურვილით.

დინამიური მოდალობა, ისევე როგორც დეონტური მოდალობა, ქმედების მოდალობაა (modality of events) და არსებითად განსხვავდება ეპისტემურისაგან, რომელიც პროპოზიციის მოდალობას წარმოადგენს.

ჯ. ლაიონზი დეონტურ მოდალობას განსაზღვრავს, როგორც: „მოდალობას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მორალურად პასუხისმგებელი ადამიანის მიერ შესრულებული მოქმედების „აუცილებლობა“ და „შესაძლებლობა“. ეპისტემურისაგან განსხავებით, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ჭეშმარიტება, ცოდნა, რწმენა და სხვა, დეონტურისათვის მთავარია მოქმედება, სხვების მიერ თუ თვით მოსაუბრის მიერ შესრულებული (ლაიონზი 1968: 310).

ადსანიშნავია, რომ ტერმინი „დეონტურის“ ნაცვლად რ. კვერკი ხმარობს ტერმინს "intrinsic" („შინაგანად დამახასიათებელი“), ხოლო ეპისტემურის ნაცვლად "extrinsic" („გარეგანი“) გარდა ამისა, დეონტურს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ასევე „ძირეულ“ ("root") მოდალობასაც უწოდებენ (პალმერი 1976: 58).

ფონ ვრაითის მიერ დადგენილი ტერმინი „დეონტური”, პალმერის აზრით, ტერმინოლოგიური სიმარტივისათვის იხმარება. ჩანს, პალმერი ორჭოფობს ტერმინების არჩევაში. მას ზოგჯერ „სუბიექტზე” და „დისკურსზე” ორიენტირებული მოდალობა უფრო ზუსტად მიაჩნია, ვიდრე დეონტური და ეპისტემური. ჩვენი აზრით, არ უნდა ხდებოდეს მოდალობის ამგვარი გამიჯვნა, რადგანაც, ლაიონზის კვალდაკვალ ვფიქრობთ, რომ ეპისტემური მოდალობა სუბიექტზეა ორიენტირებული, დეონტური კი - დისკურსზე (ლაიონზი 1968: 59).

დეონტური მოდალობა პერფორმატულია. კონკრეტული მოდალის ხმარებით კონტექსტში მოსაუბრეს შეუძლია მსმენელს მისცეს უფლება (may, can), პირობა, დაუმუქროს (shall) ან კიდევ დააკისროს რაიმე ვალდებულება (must).

პერფორმატულობა დეონტური მოდალობის მთავარი დამახასიათებელი კრიტერიუმია. ეს მოდალები, როგორც მტკიცებით, ისე უარყოფით ფორმაში, იმ შემთხვევაში, სადაც მოქმედებაა უარყოფილი და არა მოდალობა, პერფორმატულებად რჩებიან. დეონტურ მოდალებს, ჩვეულებრივ, წარსულის არც ერთი ფორმა არ გააჩნიათ, სწორედ იმ მიზეზით, რომ პერფორმატივები (პერფორმატივების ბუნების გათვალისწინებით) ვერც იქნებიან წარსულ დროში, რადგან მოქმედება საუბრის მომენტში ხდება.

არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მოდალების ნებისმიერ კლასიფიკაციას თან სდევს გარკვეული გაურკვევლობა. მოდალობის სხვა ტიპებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ეპისტემური მოდალობაა ნათლად გამოკვეთილი, როგორც სემანტიკური ასევე სინტაქსური თვალსაზრისით. მიუხედავად ამ ფაქტისა, ზოგჯერ, დასაშვებია, კონტექსტის გათვალისწინებით შეუძლებელი გახდეს ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ეპისტემური და დეონტური მოდალობა. არის შემთხვევები, სადაც არ არის ნათელი განსხვავება ამ ორ ტიპს შორის, მაშინ როდესაც ზოგიერთი მაგალითი შეიძლება ექუთვნოდეს ერთ სახეს, ზოგიერთი მეორეს და ზოგიერთი სადღაც მათ შორის აღმოჩნდება. ეს პრობლემა შეიძლება სამ ეტაპად იქნეს განხილული:

1. "შესაძლებლობის" გამოხატვის შემთხვევაში, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ნათლად განვასხვავოთ ნეიტრალური, დინამიური და სუბიექტზე ორიენტირებულ მოდალობა ("ability"). მოდალურმა ზრდამ სუბიექტება გამოხატოს, თუ რა არის შესაძლებელი ან რისი გაკეთების შესაძლებლობა აქვს სუბიექტს და განსხვავებას

ექნება სინტაქსური საფუძველი, მაგრამ მაინც, ზოგჯერ რთულია განსხვავების პოვნა.

2. "აუცილებლობის" მოდალობის დროს, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ერთმანეთისაგან განვასხვავოთ დეონტური და დინამიური მოდალური ზმნა must, მაშინ როდესაც have (got) to გამოყენება უარყოფის შემთხვევაში განსხვავებას უფრო ნათელს ხდის, უარყოფით ფორმაში ეს ფორმა არასოდეს არის დეონტური. ყოველივე ამის საპირისპიროდ, ნაკლებ რთულია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ დეონტური და დინამიური შესაძლებლობა.
3. ასევე ყოველთვის არ არის შესაძლებელი ერთმანეთისაგან განვასხვაოთ will სურვილის გამომხატველია თუ მომავლისა.

თავდაპირველად შევეცადოთ, ჩავწერეთ დეონტური მოდალობის გამომხატველ თითოეულ საშუალებას. დავიწყოთ დეონტური „შესაძლებლობით“, რომელიც, არსებითად, მხოლოდ უფლების გაცემას ნიშნავს. ამ მნიშვნელობით მოდალურ ზმნა can-ს დღეს უფრო ფართო გამოყენება აქვს, ვიდრე მოდალს may.

მოდალური ზმნა can, ჩვეულებრივ, სასაუბრო ენაში იხმარება ნების დასართავად. ამ მოდალმა, ბოლო წლებში, წერილობითი ინგლისურის ბევრ ფორმაშიც დაიმკვიდრა ადგილი და მისაღები გახდა. და მაინც, ძალიან ოფიციალური გამოყენებისას, მაგალითად რაიმე ოფიციალური ინსტრუქციების დასაწერად, მოდალურ ზმნა can როგორც წესი, მოდალური ზმნა may ცვლის. მაგ:

Persons under 14 unaccompanied by an adult may not enter.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დეონტური may ნაკლებად გამოიყენება და უფრო მეტად ოფიციალურ ინგლისურში გვხვდება, ვიდრე დეონტური მოდალი can, რომელიც თითქმის ყველა შემთხვევაში შეიძლება ჩაენაცვლოს may-ს. ეს შეუძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გვაქვს თავაზიანი ფორმა "If I may" („თუ შეიძლება").

მაგ.: If I may continue, I should like to show some more slides.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოდალური ზმნის may ნების დართვის მნიშვნელობით გამოყენებისას, უფლებას მოსაუბრე მხარე იძლევა. მაგალითად რ. კვერკს შემდეგი ორი წინადადება მოჰყავს თვალსაჩინოებისათვის:

1) You may leave when you like.

2) You can leave when you like.

პირველი გაიშიფრება შემდეგნაირად: მე გაძლევ უფლებას, როცა გინდა მაშინ წახვიდე (I permit you) მაშინ როდესაც მეორეში ამის უფლება საერთოდ გვაქვს მოცემული.

იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ნებართვის გაცემის მნიშვნელობით ზმნა can უკვე უფრო ხშირია ოფიციალურ წერით ინგლისურშიც, ვიდრე მოდალური ზმნა may, ბრიტანულ გაზეთში "გარდიენში" ათი სტატიის განხილვის შემდეგ დეონტური may-ს გამოყენების შეოლოდ თრი მაგალითი შეგვხვდა, ხოლო can-ის ოცდახუთი მაგალითი. ეს გვიბიძგებს დავეთანხმოთ დასკვნას, რომ can ბევრად უფრო გავრცელებული და ხმარებული გახდა, ვიდრე ეს ადრე იყო, ამ მხრივ, ჩვენი დაკვირვება ეთანხება დოლგოპოლოვას გამოცდილებას (დოლგოპოლოვა 1961: 38 ).

საყურადღებოა, რომ მოდალური ზმნა can შეიძლება იხმარებოდეს ნაკლებად თავაზიანი მნიშვნელობით.

მაგ: You needn't take this down and you can scrub that out of this.

ზოგ შემთხვევაში, უფლების მიცემას თან ახლავს პირობითი მინიშნება იმაზე, რომ პიროვნებამ, რომელსაც მიმართავენ უნდა, ან სჯობს, რომ შეასრულოს მოქმედება.

მაგ: You can sit here until I get back, if you like.

ან You can have a piece of cake if you eat your vegetables.

რაც შეეხება მოდალურ ზმნას must, პალმერს მოყვანილი აქვს must-ის გამოყენების ის შემთხვევები, რომლებშიც მოსაუბრე ვალდებულებას იღებს, აიძულოს მსმენელი შეასრულოს რაიმე მოქმედება.

მაგ: I've been telling Peter, as I've been telling several people, you must get into permanent jobs and I've been urging Peter to get back to school teaching or something, where he's very, very good.

ამ მაგალითში მოსაუბრე გადმოგვცემს, რომ ის არწმუნებს ვიდაცას ან ცდილობს დაიყოლიოს იგი, დაუბრუნდეს სკოლას.

რასაკვირველია, მოსაუბრემ შეიძლება ირიბი მეტყველებითაც გადმოგვცეს ის, რასაც სხვა, კონტექსტში ჩართული პიროვნება დეონტურად მოითხოვს.

მაგ: The university is saying: "These people must be expelled if they disrupt lectures".

უწვეულოდ შეიძლება მოგვეჩენოს, მაგრამ must ზოგჯერ შეთავაზებას აღნიშნავს, თუმცა მას ემფატური ელფერი დაჰკრავს.

მაგ: Well, you must say what you want for a present.

You must come and stay with us for the weekend.

ორიგე შემთხვევაში ქვემდებარე არის you. მაგრამ მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ის არის, რომ, ჩვეულებრივ, დეონტური აუცილებლობა გულისხმობს მოსაუბრის მიერ ბრძანების გაცემასა თუ მსმენელის დაგალდებულებას. ამიტომაც, შეთავაზებაში უცნაური იქნებოდა რაიმეს თხოვნა თუ დაჟინება. ლოგიკურად, თავაზიანად ითვლება მხოლოდ ისეთი რაიმეს დაჟინებით მოთხოვნა, რაც მსმენელისათვის სასარგებლოა. ე.ი. მოდალური ზმნა must გამოყენებით თავისუფლად შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ გვითხრან, თუ (1) რა საჩუქრის მიღება სურთ ან (2) რომ გვესტურონ. აქედან გამომდინარე, არაფერია უცნაური must-ის ამ კონტენტული შეთავაზების მნიშვნელობით ხმარებაში. ეს მხოლოდ სოციალური პირობითობაა.

მოდალური must ხშირად უფრო „სუსტი“, ნაკლებად კატეგორიული მნიშვნელობით გამოიყენება შეზღუდული რაოდენობის ზმნებთან, რომელთანაც ყველა კონტენტულ სამეტყველო აქტს უკავშირდება. მაგ: I must say /admit/ be honest /ask you/ confess /mention/concede/ და you must remember /admit/ realize/understand და სხვა მისთ.

ამ მაგალითებში, ჩვენი აზრით, კვლავ ჩანს დისკურსზე ორიენტაციის ელემენტი. მოსაუბრე ან თავის თავზე იდებს ვალდებულებას, ან ამით ასრულებს მოქმედებას, (მაგ: I must admit=I do admit) ან სთხოვს თავის მსმენელს მის მსგავსადვე მოიქცეს. მაგ:

I must say, I didn't know what to do.

I think, I must make a confession here.

რაც შეეხება shall მოდალური ზმნის ხმარებას, აქ მოლაპარაკე იძლევა გარანტიას ან პასუხისმგებლობას იდებს თავის თავზე იმის თაობაზე, რომ მოქმედება ნამდვილად შესრულდება. ამ შერივ shall მოდალური ზმნა must-ზე უფრო ძლიერიც კი არის, ვინაიდან ის არა მხოლოდ იდებს პასუხისმგებლობას

რაღაც ქმედების შესრულებაზე, არამედ, სინამდვილეში, ამ მოქმედების შესრულების გარანტიასაც იძლევა:

You shall go to the ball, Cinderella.

I'm determined that she shall not be allowed to suffer.

He shall be there by six o'clock.

მოდალური ზმნა shall თითქმის ფორმულის სახითაც იხმარება გარკვეული წესების გადმოსაცემად. შესაბამისად, იგი ხშირად გვხვდება შინაგანაწესის ან პონტიური დრეოს:

The school rules state that no child shall be allowed out of school during the day unless accompanied by an adult.

The vendor shall maintain the equipment in good repair.

ამ მაგალითებში shall უახლოვდება მნიშვნელობით must-ს.

ზოგჯერ მოდალური ზმნა shall ბრძანების გაცემის მნიშვნელობითაც შეიძლება შეგვხდეს. მაგ:

You shall do exactly as I say.

He shall be punished if he disobeys.

ან კიდევ მუქარის სახით:

You shall suffer for this.

ამ შემთხვევაში მოსაუბრის მტკიცე გადაწყვეტილება ჩანს.

საგულისხმოა, რომ დეონტური მოდალები can, may, must და shall შეუთავსებელია პირველი პირის ნაცვალსახელებთან I/we. ეს ბუნებრივიცაა, რადგან როგორც ნებართვის მიცემა, ისე ვალდებულება მიმართულია ვინმე სხვის მიმართ და არა საკუთარი თავის მიმართ. გამონაკლისია must-ის პირველი ნაცვალსახელთან გამოყენების რამდენიმე შემთხვევა, სადაც მოსაუბრე თითქოს თავის თავს აკონტროლებს და თავს ახსენებს მოვალეობას. მაგალითად:

I must remember to write to aunt Ann.

I'm afraid I must go now, I promised to be home at ten.

ან კიდევ ფიქსირებული ფრაზა I must say („უნდა ვთქვა“), რომელშიც ვალდებულება მეტად შესუსტებულია და must უფრო ემფაზისათვის იხმარება.

მაგ: You are looking very well, I must say.

ასეთივე გამონაკლისს წარმოადგენს ფრაზა I shall apologize, სადაც მომავლის მნიშვნელობა ჭარბობს სხვა რაიმე ნიუანსს.

დეონტური მოდალების რამდენიმე მკაცრი შეზღუდვა არსებობს. დეონტური მოდალობა, პალმერის აზრით, გრამატიკული საშუალებებით გამოიხატება. ეს კარგად ჩანს უარყოფაში, სადაც როგორც მოდალობის, ისე მოქმედების უარყოფა ხდება. შესაძლებელია, ვინმემ გასცეს ბრძანება ან მისცეს უფლება რაიმე მოქმედების არშესრულებაზე, ან კიდევ, პირიქით, უარი თქვას, დაბლოკოს მოქმედების შესრულება. მაგალითად, საინტერესოა, რომ may not და can not უარყოფენ მოდალობას, ე.ი. ისინი უარს ამბობენ უფლების გაცემაზე, მაშინ როცა must not და shall not უარყოფენ მოქმედებას, ე.ი. ისინი პასუხისმგებლობას იღებენ იმაზე, რომ მოქმედება არ შესრულდება (პალმერი 1976: 63).

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სიტუაცია საკმაოდ რთულია:

მოდალობის უარსაყოფად, ერთნაირად იხმარება როგორც may, ისე can.

მაგ: You may not/can not leave now.

"Mustn't come" ტიპის შემთხვევებში წამყვანია ელემენტთა დაქვემდებარების უარყოფა, ხოლო ვალდებულება დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. mustn't-ს არ შესწევს „აუცილებლობის" გამოხატვის უნარი. ეს ფუნქცია აკისრია needn't. მაგალითად:

You needn't take this down.

აღსანიშნავია, რომ მოდალობის უარსაყოფად არ ხდება shall მოდალური ზმნის გამოყენება. ჩვენ shall-ის გამოყენებით პასუხისმგებლობის აღებაზე ვერ ვიტყვით უარს. სამაგიეროდ, შეიძლება ვიხმაროთ, მაგალითად I don't promise („ვერ შეგპირდები") ან I don't guarantee („ვერ მოგცემ გარანტიას"). მაგრამ უარყოფის ფორმა shan't უარყოფს მოქმედებას, ანუ ის იძლევა გარანტიას, რომ მოქმედება არ შესრულდება. მაგალითად:

You shan't go there tomorrow.

He shan't come in.

დეონტური მოდალები (არაპერფორმატულად, რასაკვირველია) შეიძლება კითხვით წინადადებაშიც გამოიყენებოდნენ იმისათვის, რომ დააფიქსირონ შეგითხვა მოსაუბრის მიმართ, აძლევს თუ არა იგი რაიმე უფლებას, აკისრებს თუ არა ვალდებულებას და ა. შ. რაც შეეხება may, can და shall მოდალებს აქ მდგომარეობა საკმაოდ მარტივია. მაგ:

May/can I leave now?

Shall I receive it tomorrow?

იგივე ზმნები კითხვით იმ წინადაღებაშიც გვხვდება, რომლებზეც  
მოსალოდნელია დადებითი პასუხი. მაგ:

May I not/can I go now?

Shan't I have it tomorrow?

უარყოფით პროპოზიციაზე კითხვის დასმისას ემფატური not შეიძლება  
გამოიყენებოდეს. მაგ:

Can I/ May I not go now?

Shall I not have it tomorrow?

აუცილებლობის გამომხატველ მოდალებთან მდგომარეობა უფრო რთულია,  
რადგან ზმნა need გამოიყენება მოდალობის უარსაყოფად, შესაძლებელია მისი  
კითხვით წინადაღებაში გამოყენებაც:

Need I come tomorrow?

მაგრამ აღსანიშნავია, რომ need-ის ხმარებისას, დისკურსზე ორიენტაცია  
თითქმის არ ჩანს. თუ ადამიანს, რომელსაც მივმართავთ, ხელეწიფება  
ძალაუფლება დააკისროს ვინმეს რაიმე ვალდებულება, მაშინ ასეთ შემთხვევაში  
must უნდა იხმარებოდეს. მაგალითად:

Must I sing this? No, you needn't.

პალმერის აზრით, უფრო მეტად may და უფრო ნაკლებად can გამოიყენება,  
რასაც თვითონვე „უწოდებს „პირობითად იმპლიციტურ“ მნიშვნელობას.  
მაგალითად:

May I leave my phone number?

Can I get you a drink?

ამ წინადაღებებში მოსაუბრე ნებართვას ითხოვს, მაგრამ ამ შემთხვევაში  
ნებართვის თხოვნა თავაზიანობის მაჩვენებელია. ასეთ შემთხვევაში უფლების  
თხოვნა შეიძლება გულისხმობდეს, რომ პიროვნებამ, ვისაც მივმართავთ, თვითონ  
უნდა იმოქმედოს, რათა შესაფერისი მოქმედება შესრულდეს. ყველასათვის  
ნაცნობი მაგალითია:

May I/Can I have salt please?

ამ შემთხვევაში ადამიანმა, ვისაც მივმართავთ, არა მხოლოდ უნდა მოგვცეს  
უფლება, არამედ უნდა იმოქმედოს კიდეც და მიაწოდოს მარილი მოსაუბრეს.

ასევე საინტერესო მაგალითი აქვს მოყვანილი პალმერს: "May I finish, please?"  
აქ მსმენელს თხოვენ არ გააწყვეტინოს სიტყვა და შესაძლებლობა მისცეს  
მოსაუბრეს, დაასრულოს სათქმელი. ასეთი სახის თხოვნისას საუბარში ორივე

მოდალი can და may იხმარება და ამასთან, მათი ხმარება ოფიციალურ სტილს აღარ მიეკუთვნება.

კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა may-ს გამოყენებით. ეს არის ფრაზა "may I ask", რომლითაც მოსაუბრე თავაზიანად გამოხატავს თავის უკმაყოფილებას რაიმეს მიმართ. მაგ:

What, may I ask, has the point of repeating the tests?

ცხადია, კონტექსტი ამ მაგალითმა შეიძლება სარკაზმული ხასიათი მიიღოს.

იმპლიციტური თხოვნისას შესაძლებელია შეგვხვდეს if. მაგ:

I'd like to come back again in the afternoon if I may.

მსგავსად გამოიყენება მოდალური ზმნა shall:

Shall I have a cup of coffee?

ან

Here's our coffee, shall I pour?

ყველა ზემოთმოყვანილ მაგალითში მოსაბურე ეკითხება მსმენელს, სურს თუ არა მას იმოქმედოს. იგი აკისრებს მსმენელს პასუხისმგებლობას გადაწყვიტოს, მოქმედება მოხდეს თუ არა. მაგრამ, ამასთან ერთად, მსმენელი დაინტერესებული არ არის მხოლოდ ინფორმაციის მიღებით, არამედ მას უფრო მეტად მოქმედება აინტერესებს.

როგორც ცნობილია, დეონტურ მოდალებს არ შეუძლიათ წარსული დროის წარმოება. არც მოდალობაში და არც მოქმედებაში წარსული დროის მინიჭნებაც კი არ შეიძლება იყოს, რადგან საუბრისას ვერ შევძლებოთ ვინმესთვის ნებართვის მიცემას, თუ ვინმეზე რაიმე ვალდებულების დაკისრებისას წარსულში. თუმცა, წარსული დროის ფორმა შეიძლება გამოჩნდეს ირიბ თქმაში. მაგ:

He said that, if he wanted to call the doctor, he might do so.

He said, that I should have it the next day.

მოდალურ ზმნას can წარსულის ფორმა აქვს - could. მოდალს must კი წარსულის ფორმა არა აქვს. ზოგჯერ მიჩნეულია, რომ მისი წარსული გამოიხატება დამხმარე ფორმით had to, მაგრამ აშკარაა, რომ იგი have to-ს წარსულის ფორმას წარმოადგენს, რომელიც არასოდეს გამოიყენება დეონტური მნიშვნელობით. სწორედ წარსულის ფორმის არქონით მტკიცდება კიდევ, რომ must წმინდად დეონტური მოდალია.

იმავე მიზეზით ვერ ხერხდება დეონტური მომავალი დროის გამოხატვა. თუმცა შესაძლებელია მომავალ დროში შემდეგი სამეტყველო აქტებით – უფლების მიცემა, ვალდებულების მინიჭება–გამოხატვა სრულმნიშვნელოვანი ზრდების გამოყენებით, მაგ: I shall permit you..., I promise you... მოქმედება, რასაკვირველია, ყოველთვის მომავალშია, რადგან უფლების გაცემისას ის მხოლოდ საუბრის შემდეგ მოხდება.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

- 1) მოდალური ზმნა can „ნებართვის“ მნიშვნელობით უპვე უფრო ფართოდ იხმარება, ვიდრე მოდალური may ოფიციალურ წერით ინგლისურშიც კი.
- 2) მოდალური ზმნა may-ს ხმარებისას კონტექსტის მიხედვით სასურველ უფლებას მოსაუბრე გვაძლევს, ხოლო can-ის ხმარებისას კონკრეტული კონტექსტური უფლება საზოგადოდ გვაქვს მოცემული.
- 3) მოდალური ზმნა must შეიძლება იხმარებოდეს რაიმეს შეთავაზებისას, სოციალური პირობითობის ელფერით.
- 4) დეონტური მოდალები can, may, must, shall არ უთავსდება პირველი პირის ნაცვალსახელებს I/we, თუმცა შეიძლება იყოს რამდენიმე გამონაკლისი.
- 5) უარყოფისას, may not და can not უარყოფებ მოდალობას, ხოლო must not უარყოფს მოქმედებას.
- 6) მოდალური ზმნა may, can ხშირად გამოიყენება ე.წ. „პიობითი იმპლიციტური“ მნიშვნელობით თავაზიანი ნებართვის სათხოვნელად.
- 7) დეონტურ მოდალებს არ შეუძლიათ წარსული და მომავალი დროის წარმოება, რადგან ისინი ბუნებით პერფორმატივებს წარმოადგენენ.

## §2. ეპისტემური და დეონტური მოდალობა

ჩვენი თემის ძირითადი მიზანია გამოვიკვლიოთ ეპისტემური მოდალობა. იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ყოველივე ეს, ვფიქრობთ, აუცილებელია მოდალობის სხვადასხვა ტიპის შეპირისპირება. ამ თვალსაზრისით ერთმანეთს შევუპირისპირეთ ეპისტემური და დეონტური მოდალობა, რადგანაც ორივე მათგანი სუბიექტურია.

ეპისტემური მოდალობა ჭეშმარიტების სტატუსს ანიჭებს გამონათქვამს მოლაპარაკის ცოდნის ფონზე. ის სუბიექტურია და გულისხმობს "ეს ასეა, რამდენადაც მე ვიცი". ეპისტემური მოდალობის შემთხვევაში ხაზგასმულია პროპოზიციის ჭეშმარიტება, ეპისტემური აუცილებლობისას კი მოლაპარაკეს მის მიერ შეძენილი ცოდნის საფუძველზე მიაჩნია, რომ ვარაუდი რაიმე გამონათქვამის შესახებ აუცილებლად სწორია და რომ პროპოზიციის ჭეშმარიტება არ შეიძლება ეჭვის ქვეშ იყოს დაუენებული.

დეონტური კი "რაღაც ვალდებულებით დაბმას, მიჯაჭვას" ნიშნავს. სუბიექტურობა დეონტურ მოდალობაში იმაში ვლინდება, რომ სუბიექტი რაიმე მოქმედების გარდაუვალად, აუცილებლად შესრულებას ავალებს მსმენელს. დეონტური მოდალობა ძირითადად ქმედითია, პერფორმატულია, იგი მოითხოვს მსმენელისაგან აუცილებლად შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. დეონტურ მოდალობაში ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ მოქმედება შესრულდება, რადგან ამის პოტენციური შესაძლებლობა არსებობს.

მოდალურ გამოთქმებს „ძირეულ“ (ანუ დეონტურ) და „ეპისტემურ“ მნიშვნელობას შორის ორაზროვნება და გარკვეულწილად დამთხვევა დიდი ხნის წინ იქნა შენიშნული. ლინგვისტები ძირეულს უწოდებენ ისეთ მნიშვნელობებს, რომელიც რეალური სამყაროს მიმართ ვალდებულებას გამოხატავს. მას ასევე შეუძლია გამოხატოს ნებართვა ან შესაძლებლობა (როგორც 1 მაგალითშია), ხოლო ეპისტემურს უწოდებენ ისეთ მოდალობას, რომელიც გამოხატავს აუცილებლობას, მოსალოდნელობას და შესაძლებლობას გარკვეული დასაბუთებით (2 მაგალითი).

1) John must be home by ten, mother won't let him stay out any later.

2) John must be home already. I see his coat.

ბევრი არამონათესავე ენა ერთმანეთს ემსგავსება იმით, რომ ამ ენებში არსებობს ისეთი მოდალები, რომელთაც აქვთ, როგორც ძირეული, ასევე ეპისტემური მოდალური მნიშვნელობები, თუნდაც მსგავსად ინგლისური მოდალური ზმნებისა. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში აქტუალიზდედა პრედიკატთა მორფოსინტაქსურად განსაზღვრული და მომცრო ჯგუფით.

არსებობს ძლიერი ისტორიული, სოციოლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური საფუძველი იმისა, რომ მოდალთა ეპისტემური გამოყენება მივიჩნიოთ, როგორც გარკვეული "გავრცელება", გაფართოება მასზე უფრო ძირითადი, ძირეული მნიშვნელობისა, ან ორივე ტიპის მოდალობა ვალიაროთ, როგორც ქვეყნის უფრო ძირითადი ზოგადი სუპერორდინალური გაგებისა. ისტორიულად ინგლისურმა მოდალებმა გაიარეს განვითარების გზა არა-მოდალური მნიშვნელობებიდან (მაგ. როგორიცაა ფიზიკური ძალის გამომხატველი O.E. magan "be strong, be able") დეონტურ მოდალურ მნიშვნელობამდე, მოგვიანებით ეს არეალი უფრო გაფართოვდა და მოიცვა ეპისტემური გაგებაც. ბავშვების ენის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბავშვები მოდალურ ზმნების დეონტურ გაგებას უფრო ადრე იძენენ, ვიდრე ეპისტემურს (სვიტერი 1997: 50).

თანამედროვე სპეციალური ლიტერატურა ამტკიცებს, რომ მოდალურ ზმნებს არა აქვთ ამ ორი სახის მოდალების განსხვავებული, ერთმანეთთან დაშორებული გაგება, ისინი, უფრო მეტად, გვიჩვენებს ძირეული მნიშვნელობის გავრცობას ეპისტემურამდე. თანამედროვე ლინგვისტური მიდგომა ინგლისურ მოდალურ ზმნებს განიხილავს, ძირითადად, როგორც ომონიმის შემთხვევას და არა პოლისემიას, რაც გულისხმობს, რომ ეპისტემური და ძირეული მოდალები სინქრონულად დაუკავშირებელია (ლეიკოფი 1972ა: 103).

ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლება მოდალობის „გაერთიანებული“ გაგებისა არის ის, რომ სემანტიკური ანალიზი ძირეული მოდალობისა სისტემატურად არ უკავშირდება ლოგიკურ აუცილებლობას ან შესაძლებლობას. ასე რომ, ძირეული მოდალობის ანალიზს სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, თუ არ გვსურს მისი ეპისტემურ მოდალობაში არევა. ტალმი ვარაუდობს, რომ ძირეული მოდალობის სემანტიკა საუკეთესოდ გაიგება დინამიური მამოძრავებელი ძალების ტერმინებით (Force dynamic) რომელიც ლინგვისტური გაგებით, რაიმე დაბრკოლებას აღნიშნავს. მაგალითად, ნების დართვა (may, let და allow) შეიძლება განიხილოს, როგორც პოტენციური ბარიერის გადალახვის მაგალითი.

Let-ისა და allow-ს შემთხვევაში ბარიერი შეიძლება იყოს ფიზიკური (მაგალითი 3) ან სოციალური (4); may, თავისი სოციოფიზიკური გამოყენებით, თანამედროვე ინგლისურში უფრო შეზღუდულია იმ კონტექსტებში, რომლებიც იმ სოციალური ნებართვის მიღებას გულისხმობს (სვიტსერი 1997: 52).

3) The crack in the stone let the water flow through.

4) I begged Mary to let me have another cookie.

ორივე შემთხვევაში გამოყენებულია let. ტალმი must-ს განიხილავს როგორც ბარიერს, რომელიც ზღუდავს მოქმედების სფეროს განსაზღვრული ქმედებისას. მაგრამ must-ის გამოყენებით მოსაუბრებ შეიძლება უბრძანოს მსმენელს რაიმეს გაპეთება. როდესაც ვამბობთ "You must be home by ten", ჩვენ ვაიძულებთ მოსაუბრებ დაემორჩილოს ჩვენ სურვილს (ან, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ ამას), და ჩვენ ამას ვაკეთებთ სხვა რაიმე ალტერნატივის, ნებართვის გარეშე.

როგორც ჩანს, can-თან მიმართებაში შეზღუდვა უფრო რთულია, ვიდრე may-სთან და must-თან. Can შეიძლება გავაანალიზოთ, როგორც სტრუქტურით may-ის მსგავსი, მაგრამ შედარებით ნაკლებ კატეგორიული. ამით აიხსნება can-ისა და may-ის ხმარების სფეროების ხშირი ადრევა. Can გამოხატავს დადებით შესაძლებლობას შემსრულებლის მხრიდან (ანუ, ასე ვთქვათ, შიგნიდან), may კი მცირე აკრძალვას გარედან.

Ought to, have to და need to - must-ის მსგავსია ვალდებულებისა და აუცილებლობის გამოხატვის მიმართებებით, განსხვავება კი ვალდებულების ხარისხშია. Ought to ნაკლებ ძლიერია, სხვა, მსგავს მოდალებთან შედარებით, ასევე იგი ნაკლებ გამოხატავს სოციალურად შეთანხმებულ ვალდებულებას. როგორც ცნობილია, have to-ს უფრო მეტად აქვს ზემოდან, გარედან თავსმოხვეული წესისადმი დამორჩილების მნიშვნელობა. need გამოხატავს, რომ ვალდებულება მიმართულია შემსრულებელზე "შიგნიდან".

5) I have  
I need } to stay home, or Mom will get mad at me.

6) I have  
You need } to stay home, because I say so.

7) I need  
I have } to stay home tonight to study for the test.

Need ან have to შეიძლება გამოვიყენოთ (7) წინადადებაში, რადგანაც აქ გალდებულება "გარეგანია" ერთი გაგებით, და "შინაგანი" მეორეთი (სტუდენტმა შეიძლება არც იმეცადინოს, მიუხედავად ტესტში ჩაჭრის რისკისა).

Have to და need to-ს აქვს წარსულის ფორმები, მაგრამ მსგავსად ყველა ულდებადი ინგლისური ზმნისა, მათი წარსულის ფორმა არ არის პირობითი წინადადებაში. საბოლოოდ would გამოხატავს დისტალურ ფორმას ორივე-მომავლისა და ძალდატანების გამომხატველი will-ისა. საერთოდ, ყოველი მოდალური ზმნის აწმყო ფორმა გამოხატავს გარკვეულ ძალდატანებას ან აღმართავს გარკვეული მოქმედების შესრულების ბარიერს, ზმნის დისტალური ფორმა კი გამოხატავს ამასვე პირობითად (საერთოდ) ან წარსულ დროში.

ჩვენი აზრით, ლაიონზის იდეა უფრო მართებული საწყისი წერტილია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ანალიზი, რომელიც ვარაუდობს სუპერორდინალური მოდალობის არსებობას დეონტურ და ეპისტემურ ქვე-ჯგუფებში:

საბოლოოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეპისტემური მოდალობის სემანტიკაში ფიგურირებს გარკვეული ვარაუდი, რომ must-ს შეიძლება ჰქონდეს ორი მნიშვნელობა, რომელიც შემდეგ მაგალითებშია გაანალიზებული:

You must come home. (deontic)

სახლში უნდა მოხვიდე.

You must have been home last night. (epistemic)

გუშინ სახლში უნდა ყოფილიყვავი.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ეპისტემური მოდალობა გვაძლევს დასკვნას, რის გამოც იგი "აიძულებს" მოსაუბრეს დაემორჩილოს მას, მაშინ როდესაც დეონტური მოდალობა აიძულებს ქვემდებარეს შეასრულოს პროპოზიციის მიერ გამოხატული მოქმედება.

თუ ძირეული მოდალობას მივიჩნევთ ნებართვის მიცემის ან სოციალური გალდებულების გამოხატვის საშუალებად, მაშინ მცირე არსენალიდა რჩება ასეთი ანალიზის ეპისტემურ ანალიზად გასავრცობად. პალმერი მართებულად დასძენს, რომ აბსტრაქტული აუცილებლობისა და შესაძლებლობის გამომხატველი ალევთური მოდალები უმნიშვნელო როლს თამაშობენ ბუნებრივი ენის სემანტიკაში. ავტორი ასევე მართებულად აღნიშნავს, რომ ინგლისური მოდალები თავისი ეპისტემური გაგებით ფართოდ გამოხატავენ მოსაუბრის აზრს (პალმერი 1979: 58).

ორივე, სოციოფიზიკურ, ანუ რეალურ და ეპისტემურ სამყაროში ცხადია, რომ რამე ცელილების შემთხვევაში შეიძლება რადაცამ შეაფერხოს მოვლენათა ჯაჭვი. მაგალითად, ნებართვა ან სხვა სოციოფიზიკური პირობები შეიძლება შეიცვალოს და დამატებითმა წინაპირობამ შეიძლება წარმოშვას განსხვავებული შედეგი.

ეპისტემურ სფეროში შეიძლება დიფერენციაცია მოვახდინოთ ძალაუფლებისა და ვალდებულების გამომხატველ აქტებს შორის; should და ought არ შეიძლება ეხებოდეს მორალურ ძალაუფლებას იმ სამყაროში, სადაც მორალი არ არსებობს (as opposed to authority or threats, for example). ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში კონტრასტი მოცემულია მოდალობის გამოყენებისას რეალური სამყაროს აღქმისას (a) და მისი შესაბამისი გამოყენებისას ეპისტემურ სამყაროში (b).

May

(a) John may go.

"John is not barred by (me or some other) authority from going".

ჯონი არ არის შეზღუდული (ჩემს ან სხვა პიროვნების მიერ), მას შეუძლია წავიდეს.

(b) John may be there.

"I'm not barred by my premises from the conclusion that he is there".

გარკვეული წინაპირობა საშუალებას მაძლევს დავასკვნა, რომ ჯონი იქ არის.

Must

(a) You must come here by ten. (Mom said so)

"The direct force (of mom's authority) compels you to come home by ten.

პირდაპირი ძალაუფლება (ამ შემთხვევაში დედის ავტორიტეტი) გაიძულებს, რომ ათისთვის სახლში იყო.

(b) You must have been home last night.

"The available (direct) evidence compels me to the conclusion that you were home".

არსებული მტკიცე საფუძველი საშუალებას მაძლევს დავასკვნა, რომ სახლში იყავი.

ასეთი კონტრასტი ბუნებრივი შედეგია რეალურ და ეპისტემურ სამყაროს შორის სხვაობისას.

Can

(a) I can lift fifty kilos.

"Some potentiality enables me to lift 50 kilos."

გარკვეული შესაძლებლობა საშუალებას მაძლევს ავწიო 50 კილო (ანუ შემიძლია, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში გავაკეთო ეს).

(b) You can't have lifted fifty kilos.

"Some set of permises dis-enables me from concluding that you lifted 50 kilos."

გარკვეული წინაპირობა არ მაძლევს საშუალებას დავასკვნა, რომ 50 კოლო აწიე.

Can მოდალური ზმნის დადებითი ფორმა ყოვლად გამოუყენებელია ეპისტემური გაგებისას. მაგრამ მისი კითხვითი და უარყოფითი ფორმები სავსებით მისადებია და გამოხატავს მოსაუბრის მიერ კითხვით ან უარყოფით ეპისტემურ შესაძლებლობას.

Ought to

(a) You ought to go.

"Certain forces (or moral obligation) influence you towards going".

რადაც ძალა (მაგალითად, მორალური გალდებულება) გიბიძგებს წასვლისაკენ.

(b) That ought to be the right answer.

"The available set of premises (mental obligations or forces) influence me to conclude that that is the right answer".

მოქლი რიგი წინაპირობები, (მაგალითად: მენტალური ან ლოგიკური) გიბიძგებს, რომ დავასკვნათ, რომ ეს არის სწორი პასუხი.

Have to

(a) He has to be home by ten.

"Some force of authority compels him to be home by ten".

გარკვეული ძალა ან ავტორიტეტი აიძულებს მას სახლში იყოს ათი საათისათვის.

(b) He has to be a new Yorker, with that accent.

"The available premises, including his accent, compel me to conclude he's from New York".

არსებული მდგომარეობა, მისი აქცენტის ჩათვლით, მიბიძებს დავასკვნა, რომ ის ნიუ-იორკიდან არის.

Need to

(a) He needs to get to the grocery store.

"Some internal forces (e.g. wanting to eat tonight) compel him to get to the store".

რაღაც შინაგანმა ძალამ (მაგალითად, შიმშილის გრძნობამ) აიძულა ის მაღაზიაში წასულიყო.

(b) No, he needn't be a New Yorker - he could just have lived there a long time, or imitate accents well.

"The available premises do not force me to conclude that he's a New Yorker - they could also lead to other conclusions".

გარკვეული წინაპირობა არ მაძლევს საშუალებას დავასკნა, რომ ის ნიუიორკელია – წინაპირობამ შეიძლება სხვა დასკვნამდევ მიმიკანოს.

ეს ანალიზი კვლავ გვიჩვენებს მსგავსებას მოდალობის ძირეულ და ეპისტემურ გამოყენებას შორის. სოციოფიზიკური ძალები, რომლებიც მოქმედებენ ქვემდებარებები, ანალოგიურია კონკრეტულად მოქმედების შეფერხების ლოგიკური „ძალისა”, რომელიც მოქმედებს აზროვნების პროცესზე. უნდა აღინიშნოს, რომ need (ისევე როგორც can) ეპისტემურია მხოლოდ მისი უარყოფითი და კითხვითი ფორმების გამოყენების შემთხვევაში.

Will (shall არ არის ეპისტემური)

(a) John will come.

"The present state of affairs will proceed to the future event of John's arrival".

მოქმედებათა განვითარება გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ის მოვა.

(b) (hearing phone ring) That will be John.

"My present theory that that is John will proceed to future verification/confirmation".

დისტალური ფორმები გამოხატავენ წარსულს ან პირობით (სათუო) ეპისტემურ მოდალობას.

Might

(a) he might go. (conditional)

"If some conditions were fulfilled, then my premises would not bar me from concluding that he will go".

თუ რადაც პირობა შესრულდა, მაშინ ვერაფერი შემიშლის ხელს, რომ გავაკეთო დასკვნა, რომ იგი წავა.

(b) I thought he might go. (past or conditional)

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წარსულთან, ხოლო (a) მაგალითში პირობითი (ეპისტემური) მნიშვნელობაა მოცემული.

Would

(a) The folks you saw with John would be his parents. (condit).

"If some conditions (like having full data) were fulfilled, my theory that they were his parents would proceed to future verification".

თუ გარკვეული პირობა (მაგალითად, სრული მონაცემების არსებობა) შესრულდება, ჩემი თეორია მის მშობლებთან დაკავშირებით დადასტურდება.

(b) When that phone rang, it would (certainly) be John.

I was sure of it. (past)

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ნამდვილად ჯონი რეკავდა.

Could

(a) That could be the right choice for the living - room curtains. (conditional)

"If some unspecified conditions were fulfilled, the available data would enable me to conclude that that's the right choice for the curtains".

თუ რაიმე დაუკონკრეტებელი პირობა შესრულდება, არსებული მონაცემები საშუალებას მომცემს გავაკეთო დასკვნა, რომ ეს სწორი არჩევანია.

(b) I was dumbfounded: it simply couldn't be true.

Should - John should be easy to talk to.

აქ ნახსენები should არის დისტალური ფორმა და, უბრალოდ, პირობითი გამოხატვაა ეპისტემური ვალდებულებისა.

მოდალებს have to, need to, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქვთ წარსული, მაგრამ არა აქვთ დამოუკიდებელი პირობითი ფორმები.

როგორც ვთქვით, ძირეული მოდალური მნიშვნელობა მეტამორფულად შეიძლება გავრცობილი იქნეს „რეალური“ (სოციოფიზიკური) სამყაროდან ეპისტემურ სამყაროზე. რეალურ სამყაროში, must ისეთ წინადადებაში

როგორიცაა "John must go to all the department parties" გამოიყენება, როგორც რეალური სამყაროს ძალის გამომხატველი მოსაუბრის მიერ ფორმირებული (და/ან სხვა წარმომადგენლის მიერ), რომელიც აიძულებს წინადადების ქვემდებარეს შეასრულოს წინადადებაში გამოხატული მოქმედება. ეპისტემურ სამყაროში ამ წინადადებას შეიძლება შემდეგი მნიშვნელობა ქონდეს "I must conclude that it is John's habit to go to the department parties (because I see his name on the sign-up sheet every time, and he is always out on those nights)". (მე ვასკვნი, რომ ჯონს ჩვევად აქვს ასეთ წვეულებებზე სიარული, იგი ყოველთვის ეწერება სტუმრების სიაში და არცერთ სადამოს არ არის შინ.)

ნებისმიერი წინადადება შეიძლება აღქმული იქნეს ორი ასაექტიდან გამომდინარე; ანუ ორ დონეზე, ერთი, როგორც რეალური სამყაროს სიტუაციის ან შემთხვევის აღწერა, და მეორე, როგორც ჩვენი რწმენის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რაიმე დასკვნა ან დაპირება. პირველ შემთხვევაში, წინადადება აღწერს რეალური სამყაროს ფაქტებს და წინასწარგანუსაზღვრელ პირობებს, რომლებსაც ამ ფაქტებთან მივყავართ; როგორც დასკვნა, ისინი აღიქმება როგორც შედეგი ეპისტემური ძალისა, რომელსაც, გარკვეულ დასკვნამდე მივყავართ. მოდალობა არის წინადადების ძალის დინამიკური გარემოს სპეციფიკაცია ამ ორ სამყაროში ცალ-ცალკე და ასევე მათ შორის.

ძირეული/ეპისტემური კონტრასტი შეიძლება განხილული იქნეს როგორც პოლისემია. თუ მოდალური ზმნა მარტივად გამოხატავს რომელიმე გარკვეულ მოდალობას წინადადებაში კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით, პრაგმატიკული კონტექსტური ფაქტორი განსაზღვრავს, თუ რა კონკრეტული მომენტი აღიქმება როგორც მოდალობის კონკრეტული აქტუალიზაცია და რა არის მისი მექანიზმი. ძირეული მოდალობის შემთხვევაში მოსაუბრე „აიძულებს“ მსმენელს ჩაიდინოს რაიმე მოქმედება და მეორე შემთხვევაში, რადაც სხვა კონტექსტში იგივე ფაქტორი არის მოდალობის წყარო. მაგალითად: "You must be home by ten" ამის თქმის დროს მშობელმა შეიძლება გვაჩვენოს ძალაუფლება შვილზე.

იმ წინადადების ინტერპრეტირების დროს, რომელიც ინგლისურ მოდალურ ზმნას შეიცავს, პრაგმატიკის ფაქტორი, რომელიც გამოიყენება მოდალობის წყაროსა და მოქმედი ძალით აღჭურვილი სუბიექტის იდენტიფიკაციისას, აქტუალიზებს მთელ ჩვენს ცოდნას მოდალობის შესახებ. მაგალითად, პრაგმატიკული ფაქტორი სხნის, თუ რატომ შეიძლება მოდალობა გამოყენებული

იქნეს რეალური სამყაროს მოდალობის აღსაწერად, როდესაც ზოგადად მხოლოდ ეპისტემური მოდალობის აღწერაა შესაძლებელი. სოციოფიზიკური მოდალობა შეიძლება გულისხმობდეს მოსაუბრის მიერ გარკვეულ ზემოქმედებას რაიმეზე, ხოლო ეპისტემური ვალდებულება და ძალა არ შეიძლება თავს მოხვეული იქნეს გარკვეული წინაპირობის გარეშე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პერფორმატული გამოყენება სოციოფიზიკური მოდალობისა, ბუნებრივია, მაშინ როცა ეპისტემური მოდალობა ასეთი გზით არ გამოიყენება. ეპისტემური მოდალობის შემცველ წინადადებებს აკლიათ ორაზროვნება რეალური სამყაროს მოდალობის გრამატიკული ინტერპრეტაციისას.

სვიტსერი ასაბუთებს, თუ რატომ პგონია, რომ ძირეული/ეპისტემური კონტრასტი არ განიხილება როგორც ერთი სემანტიკის ორი სრულიად პრაგმატიკულად შეპირობებული ინტერპრეტაცია, არამედ უფრო განიხილება როგორც მოტივირებული პოლისემური ურთიერთობა. ეს ეფუძნება ინგლისური ენის სემანტიკას, ეს ლექსიკური ერთეულები ატარებენ ორ ამ ურთიერთდაკავშირებულ აზრს (სვიტსერი 1997: 63).

ნებისმიერი "ჩვეულებრივი" წინადადება უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ეპისტემური რეაქცია რაიმეს მოქმედების შესახებ; ეს არის მეტყველების აქტი მიღწეული გამოთქმათა საშუალებით. მოდალური ზმნების გამოყენება, როგორც (1) და (2) წინადადებაშია, არ აკმაყოფილებს ძირეულ/ეპისტემური დოქოტორის სტანდარტს:

- 1) He may be a university professor, but he sure is dumb.
  - 2) There may be a six-pack in the fridge, but we have work to do.
- ამ წინადადებათა გაგება კონტრასტულია (3) და (4) წინადადებების გაგებისა, სადაც მოდალ may-ის აქვს დამახასიათებელი ეპისტემური გაგება:
- 3) He may be a unveristy professor, but I doubt it because he's so dumb.
  - 4) There may be a six-pack in the fridge, but I'm not sure because Joe had friends over last night.

ამ წინადადებაში may-ს პერეფრაზი არის "It is possible that..." ან "I am not bored from concluding that..." (1) და (2) წინადადებები კი შემდეგნაირად შეიძლება იქნეს პერეფრაზირებული:

- 1) I do not bar form our (joint) conversational world the statement that he is a university professor, but...

2) I do not bar form our conversational world your offer of beer, but...

(1) წინადაღების პერეფრაზირება ასევე შეგვიძლია შემდეგნაირად "I'll allow (that/as now) he's a professor, but..." ისეთი ზმნები როგორიცაა admit და allow არ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მეტყველების აქტის ვარაუდის გამომხატველი საშუალება. იურიდიული ენა შეიძლება მოყვანილი იქნეს როგორც სამხილი admit/allow შესაძლებელი ფართო გამოყენებისა, როგორც "we can't admit that statement as evidence" ან "I must (dis)allow Mr Jone's plea" მაგალითებშია.

(1) და (2) მაგალითში მოდალური ზმნა may არ მიუთითებს არც რეალური სამყაროს ბარიერის არსებობაზე, არც ეპისტემური ბარიერისა, იგი უფრო მეტად გულისხმობს ბარიერის არყოფნას კონკრეტულ კონტექსტში. როგორიც (1) და (2) წინადაღებების პარალელური მნიშვნელობების პოვნა სხვა მოდალური ზმნის გამოყენებით, გარდა may-სა; მაგრამ საუბრისას შეიძლება სხვა მოდალური ზმნებიც იქნეს გამოყენებული. ვნახოთ შემდეგი მაგალითები:

1) Mondale advisor giving directions to speech writer (მრჩევები დირექტივებს აძლევს რევერენტს):

"Reagan must be a nice guy (as far as the content of the speech is concerned) even if we criticize his policies".

2) Editor to journalist (რედაქტორისა და ჟურნალისტის დიალოგიდან):

"O.K. Pekin can be Beijing, but you can't use 'Praha' for Prague".

3) To smoker of long a cigarette, from speaker who recognizes that 'cigar' dialectally signifies "long cigarette"(მოსაუბრის მიმართვა პირისადმი, რომელიც სიგარეტს ეწევა):

"In New Orleans, you would be smoking a cigar right now".

4) Lawyer to plaintiff (ადვოკატის მიმართვა მოსარჩლევს):

"Remember, the mobsters can be as guilty as you like, but you mustn't suggest the police are implicated, or the jury will stop being sympathetic".

მეორე ნაწილი (2) და (4) წინადაღებებისა შეიცავს სათანადო განმარტებებს პირველი ნაწილის მოდალობისათვის:

2') OK. You can refer to Pekin as Beijing...

4') Remember, you can say that the mobsters are as guilty as you like...

მსგავსი პერეფრაზირება ექნება (1) და (3) წინადაღებებსაც;

1') The speech will/must talk about Reagan as if he were a nice guy...

3') In New Orleans, one would say that you're smoking a cigar.

უველა ამ მაგალითში მოდალობა ეხება თვით მეტყველების აქტს.

მეტყველების აქტში მოდალური ზმნების გამოყენება უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს. მაგრამ ნათელია, რომ მოდალური ზმნა შეიძლება ინტერპეტირებული იქნეს ისე, რომ ეხებოდეს სათანადო კონტექსტუალურ მოდალობას.

### §3. მოდალობის ტიპები ქართულ ენაში

სხვადასხვა ენას მოდალობის კატეგორიის გამოხატვის სხვდასხვა საშუალება აქვს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში მოდალობის მაკროველისა და მის კონსტიტუციურობა საკითხი არ არის ისე ღრმად შესწავლილი, როგორც ამ შემთხვევაში მისი შესაპირის-პირებული ენისა. ეს კი თავის მხრივ ართულებს მოდალობის კატეგორიის ზოგად დახასიათებას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტიც, რომ ქართულ ენას შესწევს უნარი სათანადოდ წარმოაჩინოს მოდალობის ესა თუ ის უმცირესი ნიუანსიც კი სხვადასხვა მოდალურ მნიშვნელობათა გამომხატველ ფორმათა მრავალფეროვან არსენალზე დაყრდნობით.

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ენაში მოდალობის სრული კლასიფიკაცია ჯერ არ არსებობს. შესაბამისად, შევეცადეთ ქართულ ენაში მოდალობისადმი მიძღვნილ ლიტერატურაზე დაყრდნობით და მეორეს მხრივ განხილული მაგალითების საშუალებით შეგვექმნა ეპისტემური მოდალობის გამომხატველი საშუალებების გარკვეული სისტემა. ინგლისურში მოდალობის ველს ქმნის ისეთი ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები, როგორიცაა: მოდალური სიტყვები, მოდალური ზმნები, და კავშირებითი კილოს ფორმები. ერთი შეხედვით ქართულშიც მოდალობის ველი თითქმის იმავე კომპონენტებით აიგება, მაგრამ საგულისხმოა როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. განსხვავებულია აღნიშნულ ველებში შემავალი კომპონენტების დისტრიბუცია და ხელდროითი წონა.

კილოს კატეგორია, როგორც ინგლისურში, ისე ქართულში, მოდალობის ველის გრამატიკის, კერძოდ სინტაქსის სფეროს ქმნის. მოდალური სიტყვები, ნაწილაკები, მოდალური ზმნები და მათ მიერ შექმნილი შესიტყვებები კი სემანტიკის სფეროს განეკუთვნება.

ნათქვამის მიზანი სხვადასხვაგვარია: იგი გადმოგვცემს რაიმე ცნობას გარემომცველი სინამდვილიდან, ან მიზნად ისახავს თანამოსაუბრისაგან გაიგოს რაიმე, ან კიდევ გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილს, რომლის შესრულებასაც მოითხოვის ის, მაშასადამე, წინადადებაში ჩანს მთქმელის დამოკიდებულება თქმულის შინაარსისადმი (კვაჭაძე 1988: 31).

ქართულ ენაშიც, ისევე როგორც სხვა ენებში, მოდალობის ანუ რაგვარობის მიხედვით განასხვავებენ წინადადების სამ ტიპს: თხრობითს, კითხვისა და ბრძანებობის. თვითეულს შეიძლება ახლდეს ესა თუ ის ემოციური იერი, ან გამოხატავდეს საკუთრივ მთქმელის ძლიერ გრძნობას. ამის მიხედვით დამატებით გამოიყოფა ძახილისა და კითხვა-ძახილის წინადადებები.

მოდალობა ანუ რაგვარობა გულისხმობს ნათქვამის მიმართებას სინამდვილისადმი, რაც წინადადებაში სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა. ამ მხრივ გამოიყოფა სხვდასხვა ტიპის წინადადება, რომელიც:

- a) გამოხატავს უეჭველობას, უტყუარობას, რისიმე დადასტურებას: გუშინ მთელ დღეებს წიმდა. სინამდვილის თვალსაზრისით, თქმულის შინაარსი შეიძლება არ იყოს ნამდვილი, მაგრამ მთავარია ის, რომ მთქმელს გადმოცემული აქვს როგორც ნამდვილი, უტყუარი ფაქტი. ამ ტიპის წინადადება მოდალობის მიხედვით ძირითადია.
- b) გადმოგცემს მთქმელის ვარაუდს, შესაძლებლობას, არარეალურობას, სასურველობს: ალბათ წავიდა, ეს ამბავი იმას იქნება არც კი გაუგია.
- c) გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილს, ჩვეულებრივ მეორე პირისადმი მიმართებს, რომ მან იმოქმედოს ამ ნება-სუვრილის შესაბამისად. ასეთი წინადადება კი არ გადმოგცემს სინამდვილის რაიმე ფაქტს, არამედ ბრძანებას, რომელიც უნდა შესრულდეს მისამართი პირის მიერ.

მოდალური სიტყვები და სიტყვათა შეკავშირება წინადადების მოდალობის გამოხატვის ლექსიკური საშუალებაა. მაგალითად, ერთმანეთს რომ შევადაროთ „ბავშვი წყალში ჩავარდა“ და „ბავშვი კინადამ წყალში ჩავარდა“, შევნიშნავთ, რომ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: პირველში მოქმედება სრულდება, მეორეში - არა. განსხვავებას ქმნის „კინადამ“, რომელიც წინადადებას განსხვავებულ მოდალურ ელფერს აძლევს. ასევე განსხვავებულია

ერთმანეთისაგან „ბავშვი სოფელში წავიდა“ და „ბავშვი იქნებ სოფელში წავიდა“. აქ განსხვავებას ზმნური წარმომავლობის ნაწილაკი (იქნებ) ქმნის.

„მოქმედს აქვს შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა გრამატიკული და ლექსიკური განსაკუთრებული საშუალებებით გამოამჟღავნოს დამოკიდებულება ნათქვამის სინამდვილისადმი. მეტყველების ასეთ ხერხს მოდალობა ეწოდება“ (ახმანოვა 1966: 54).

არსებობს აზრი, რომ მოდალური საშუალებები წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკაშირებელი ელემენტებია (გვენცაძე 1974: 77). ცხადია, მათ გრამატიკის კურსში არ უნდა ჰქონდეს ადგილი, არამედ სტილისტიკის ობიექტი უნდა გახდნენ. „წინადადების წევრებს გარდა, მოიპოვება სიტყვები და გამოოქმები, რომელთაც განკერძოებული ადგილი უჭირავს. ესენია განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, დანართი, მიმართვა, ჩართული, მიგებითი ნაწილაკი და შორისდებული. ამათგან ზოგიერი წინადადების წევრის განკერძოებას წარმოადგენს: ზოგი კი გრამატიკულად არ უკავშირდება რომელიმე წევრს და არც თვითონაა წინადადების წევრი“ (შანიძე 1962: 74).

რადგან ითვლება, რომ ჩართული ქართულ წინადადებაში ქმნის მოდალურ ელფერს, გადავწყვიტეთ ვრცლად გვესაუბრა ქართულ ენაში ამ თვალსაზრისით არსებულ გარემოებებზე. ზოგიერთი განკერძოებული სახისათის ასეთი განმარტება არსებობს: ჩართული ჰქვია წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვას თუ სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც გადმოგვცემს, როგორ უყურებს მქონელი წინადადებაში გამოხატულ აზრს ან თვით გამოოქმის ფორმას, ან კიდევ მიუთითებს წყაროს და სხვა (კვაჭაძე 1988: 295).

ჩართული სიტყვები და გამოოქმები მათი თანამედროვე სახით წარმოადგენენ ქართული ენის გრამატიკული წყობის ცვლილება-განვითარების შედეგს. ისინი თავიანი ლექსიკური შემადგენლობით, ეტიმოლოგიური ბუნებით, წინადადების წევრებთან დამოკიდებულებითა და წინადადებაში ადგილისა და ფუნქციის მიხედვით მეტად ჭრელ სურათს გვიჩვენებენ.

ჩართულთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ თუ რა კავშირი აქვს ჩართულს იმ წინადადებასთან, რომელშიც იგი შედის და რა ურთიერთობაშია იგი წინადადების წევრებთან. ამ საკითხზე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გაპვრითი შენიშვნები მოგვეპოვება; ა. შანიძე წერს: „წინადადების წევრებს გარდა, მოიპოვება სიტყვები და

გამოთქმები, რომლებიც წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენენ და განკერძოებული ადგილი უჭირავთ. ესენია: განკერძოებული განსაზღვრება... ჩართული" (შანიძე 1962: 71). ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ჩართული წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენს და ამდენად მისი წევრი არ არის.

რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში ყველაზე მეტ დავას სწორედ ჩართულის გრამატიკული ბუნების საკითხი იწვევს. მრავალი ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული ამ საკითხზე.

მკვლევართა უმრავლესობა ჩართულს თვლის წინადადების გარეშე მდგომ სიტყვად იმ საბუთით, რომ იგი არ შედის გრამატიკულ კავშირში წინადადების დანარჩენ წევრებთან, მას არც ეთანხმება, არც იმართვის და არც მიერთვის. ამის დასამტკიცებელ საბუთად მოჰყავთ ის, რომ ჩართული, როგორც წესი, არ მიუთითებს ლოგიკურ კითხვაზე (ახვლედიანი 1998: 30, კვაჭაძე 1988: 31, კვანტალიანი 1990: 65).

ის შეხედულებები, რომლებიც ჩართულის გრამატიკული ბუნების საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა, შეიძლება პირობითად სამ ჯგუფად დავყოთ:

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჩართული არაა დაკავშირებული წინადადების წევრებთან და ამის გამო არცაა წინადადების წევრი; მეორენი ფიქრობენ, რომ ჩართულსა და წინადადების დანარჩენ ნაწილებს შორის ადგილი აქვს თავისებურ კავშირს, რომელსაც უწოდებენ შეფარდებას. სხვების აზრით კი, ჩართული წინადადების წევრია.

ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულია მკვლევართა პირველი შეხედულება „რუსული ენის გრამატიკაში“, სადაც ვკითხულობთ: „ჩართულად იწოდება წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები და შესიტყვებები, რომლებიც გამოხატავენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას ნათვებისადმი, გადმოცემული აზრის შეფასებას, ან მიუთითებენ ამ აზრის წყაროზე. აღნიშნავთ კავშირს სხვა წინადადებასთან ან მეტყველების უფრო ვრცელ კონტექსტთან“ (ვინოგრადოვი 1950: 71). „ჩართული სიტყვები წინადადების წევრებს არ წარმოადგენენ“ (ბარხუდაროვი 1973: 60). მეშჩანვის აზრით ჩართული სინტაქსური დამოკიდებულების სახეებით არ უკავშირდება წინადადების წევრებს. იგი ეკუთვნის წინადადებას მთლიანად (მეშჩანვი 1945: 187).

მეორე შეხედულების თანახმად ჩართულ სიტყვებსა და წინადაღების დანარჩენ ნაწილებს შორის ჩვენ გვაქვს სპეციალური ხასიათის დამოკიდებულება, რომელიც თავისებურად ასახავს წინადაღების ელემენტებს შორის ურთიერთკავშირს. ამ კავშირს, - წერს ა. რუდნევი, - ჩვენ ვუწოდებთ „შეფარდებას“, „შეფარდების კავშირს“ ("Соотношение" или "соотносительная связь"). მაშასადამე, - ასკვნის ავტორი, - ტერმინის „შეფარდების“ ქვეშ ჩვენ გვესმის წინადაღებაში გრამატიკული კავშირის განსაკუთრებული ტიპი.

მესამე შეხედულებით, ჩართული წევრია წინადაღებისა: „ჩვენ გვგონია, რომ მოდალურ-ჩართული სიტყვებიც, რომლებიც თუმცა არ შედიან წინადაღების ნაწილთა იმ რიცხვში, რომლისგანაც შედგება მისი ძირითადი შემადგენლობა, ხვდებიან რა მასში, მაინც წარმოადგენენ წინადაღების წევრებს“.

ჩართული სიტყვები ერთგვარად ამატებენ, აზუსტებენ წინადაღების აზრს. ეს კი მიუთითებს ჩართულსა და წინადაღების ნაწილებს შორის სემანტიკურ კავშირზე. ამიტომ თითქოს გაუმართლებელი ჩანს ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს ჩართულის ამოღებით წინადაღების აზრი არ ირღვეოდეს (შახმატოვი 1941: 365). სინამდვილეში კი ჩართულის გამოტოვებით წინადაღების აღნაგობა უცვლელი რჩება, მაგრამ სამაგიეროდ, ზიანდება სემანტიკური მხარე. სემანტიკის შეცვლა, კონსტრუქციის უცვლელობა, - აი, რა ახასიათებს ჩართულგამოტოვებულ წინადაღებას. ეს ფაქტი კი თავისთავად სემანტიკისა და გრამატიკის მჭიდრო კავშირზე მიგვითითებს.

მაშასადამე, ჩართული სინტაქსურად არ უკავშირდება წინადაღების დანარჩენ წევრებს. მისი კავშირი წინადაღებასთან სემანტიკურ ხასიათს ატარებს. თავისი ფუნქციით, გამოსახვის საშუალებითა და სხვა სიტყვებთან სინტაქსური კავშირის უქონლობით ჩართული სიტყვები და გამოთქმები არსებითად განსხვავდება წინადაღების წევრებისაგან.

ჩართულის ყველა ამ თავისებურებამ თავისი ასხავა უნდა იპოვოს მის რაობაში.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ჩართული განსაზღვრულია სემანტიკურად. საჭიროა განვიხილოთ მისი გრამატიკული მხარეც. ამის მიხედვით, ეგებ მისაღები იყოს ჩართულის ასეთი განსაზღვრა: ჩართული ჰქვა წინადაღების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვას ან გამოთქმას, რომელიც გვიჩვენებს მთქმელის დამოკიდებულებას წინადაღებაში გამოთქმული აზრისადმი.

ჩართული სიტყვა და სიტყვათა შეკავშირება მნიშვნელობის მიხედვით მრავალგვარია. ერთ-ერთი მათგანი შემდეგია:

ჩართული სიტყვა და გამოთქმა გამოხატავს მოდალობას, ე.ი. იმას, თუ როგორ უცემრის მთქმელი თქმულის შინაარსს, როგორც ფაქტს თუ როგორც შესაძლებელ სავარაუდოს (კვაჭაძე 1988: 297). ამის შესაბამისად ამ ჯგუფში ჩართულ სიტყვა-გამოთქმათა ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) ჩართული გამოხატავს, რომ მთქმელი დარწმუნებულია თქმულის უმჭველობა-უტყუარობაში: ცხადია, თავისთავად ცხადია, რა თქმა უნდა, უგჭველია, რასაკვირველია, უთუოდ, აშკარად, მართლაც და სხვა. მაგალითად: სასამართლოში გაირჩევა და იქ, ცხადია, ჩგენ მოვიგებთ.

რადა თქმა უნდა, არც ამ სახლის პატრონი იჯდა გულხელდაკრეფილი.

ავადმყოფს, უმჭველია, რადაცა აწუხებდა.

იმათ, რასაკვირველია, ზრდილობიანად მიგვიღეს.

ბ) გამოხატავს მთქმელის ვარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საჭკვოდ მიჩნევას: მგონია, ვგონებ, შესაძლებელია, ალბათ, როგორც ეტყობოდა, ვიმედოვნებ და სხვა. მაგალითად:

მამათქვენი, მგონია, მაშინ მიცვალებული იყო.

იქიდამ, ალბათ, მტერს მოელის.

თადა, ეტყობოდა, ფიქრში იყო გართული.

ჩართულად გამოყენებული ზმნის პირიანი ფორმებია: ჩანს, ეტყობა, მგონი, მგონია, შეიძლება, ვფიქრობ, ვიცი, და შედგენილი შემადგენლის ფორმის მქონე ჩართულებია: ცხადია, რასაკვირველია, უგჭველია, მართალია. ყოველივე ეს დასახელებული სიტყვები განხილულ მაგალითებში მოდალური მნიშვნელობით გვხვდება.

ჩართული სიტყვა-გამოთქმები იმდენად მრავალფეროვანია, რომ დასახელებული შემთხვევები ამ მრავალფეროვნებას ვერ ამოწურავს, იგი მრავალფეროვანია გადმოცემის საშუალებათა მიხედვითაც, ასე, მაგალითად, როგორც ეს ზემოთ წარმოდგენილი მასალიდანაც კარგად ჩანს, ჩართულის გადმოსაცემად გამოყენებულია სახელები (არსებითი, რიცხვითი), ზმნიზედები, ზმნები და სრულმნიშვნელოვან სიტყვათა შეკავშირება, ხშირად მთელი წინადადებაც. ამით აიხსნება, რომ ერთი და იგივე სიტყვა თუ გამოთქმა ერთ შემთხვევაში წინადადების წევრია, მეორე შემთხვევაში - ჩართული.

ნაწილაკების ჩართულად გამოყენების თვალსაზრისით საინტერესოა ალბათ ზმინისართზე დაკვირვება, რომელსაც ზმინისართი დღეს ალბათ პირობითად უნდა გუშვიდოთ. იგი უკვე ნაწილაკად არის ქცეული და, ნებისმიერ სიტყვაზე დართვისას, სიტყვის სემანტიკის გაძლიერებას ან დაზუსტებას უწყობს ხელს. ვფიქრობთ, უდავოდ ჩანს ეს ისეთ წინადადებებში, რომლებშიც ალბათ უშუალო მეზობლობაშია შემასმენელთან - წინა თუ მომდევნო პოზიციაში. მაგალითად:

გარედან, **ალბათ**, ასე ჩანს. (რ. მიშველაძე)

მოსწყინდათ, **ალბათ**, ჩემთან. (თ. ჭილაძე)

ისიც ეგონათ, **ალბათ**, ჩირიკმა აჯობა ჩეუბში. (გ. ლეონიძე)

მოყვანილ წინადადებაში **ალბათ** ნაწილაკია და არ უნდა გამოიყოს მძიმეებით.

შემასმენლისა და ნაწილაკის ინტონაციური მთლიანობა თითქოს ირდვევა შემასმენელთან დისტანციურ პოზიციაში. მაგალითად:

...მამების ანაბარა რომ დასტოვო ქვეყნიერება, ალბათ, თვალსა და ხელს შუა დაეფუშებათ ყველაფერი... (რ. ინანიშვილი).

**ალბათ** ნაწილაკის დამოუკიდებლობა ამ შემთხვევაში მაინც ნაკლებ საგრძნობია. მეტ დამოუკიდებლობას იჩენს ნაწილაკი, როცა წინადადება ვრცელია და ზმინა-შემასმენლისაგანაც ნაწილაკი მეტადაა დაშორებული (ახვლედიანი 1999: 13). მაგალითად:

ელისაბედს, ალბათ, იქამდისაც სძულდა ქმარი, მაგრამ ითმენდა. (თ. ჭილაძე)

რამდენი ნაბიჯი კიდევ, და ნაგაზი, ალბათ, ბადეში გაეხვეოდა. (ა. სულაკაური)

მაგრამ ასეთ შემთხვევაში ალბათ ფუნქციურად არის ჩართულთან ახლოს, ფორმობრივად კი - ისევ ნაწილაკთან. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, „იგი ჩართულისაგან განსხვავებით, მძიმეებით გამოყოფას არ ითხოვს, რაკი გაქვავებულია (არაფერს უპირისპირდება) და არც ერთ სიტყვასთან უხერხელ შეთანხმებაში არ მოხვდება“ (ცქიტიშვილი 1988: 35).

ზმინის პირიან ფორმათა ნაწილი ნაწილაკადაა ქცეული, მნიშვნელობადაკარგული, „გაცვეთილი“ ფორმები კი გარკვეულ პოზიციაში ჩართულის როლს ასრულებენ. ამ ფორმათა ფუნქციის განმსაზღვრელი, გარდა სიტყვათგანლაგებისა, ზოგჯერ არის ფორმაც, კერძოდ: თუ ზმინის პირიან ფორმა (ჩანს, ეტყობა, შესაძლოა, მგონი...), წინადადების შუაშია და ზმინა-

შემასმენელთან დისტანციურ პოზიციაზე, მაშინ ჩართულის როლს ასრულებს. მაგალითად:

მერმე, **ეტყობა**, მზემ გააბრუა და წათვლიმა... (ა. სულაკაური)

ნინოს, **ჩანს**, რომ სიმშვიდე დაუბრუნდა. (ჭ. ამირეჯიბი)

შავტენტიანი, **შესაძლოა**, ერთადერთი ადგილობრივი ავტომობილიც ჩაიქროლებს ღმულით. (რ. ჭეიშვილი)

ძირითად ზმნა-შემასმენელთან კონტაქტზე პოზიციაში იგივე ზმნები მოდალური ნაწილაკის როლს ასრულებენ. მაგალითად:

მამის სიკვდილზედ პირველში ბევრი ინადგლა და, **ძვონი**, იტირა კიდეც (ილია).

უფრო მჭიდროა ამ ფორმების კავშირი ზმნა-შემასმენელთან იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი ზმნა-შემასმენელი კავშირებითი კილოს ფორმაა, ხოლო რომელიმე ზემოთადნიშნული ფორმა (რომელიც დამხმარე ზმნის როლს ასრულებს) აწმუო დროშია (შეიძლება უწყვეტლის მწკრივშიც). როდესაც ირლევა ეს „კანონი“, განსაკუთრებით კი მაშინ - როცა იცვლება „დამხმარე ზმნის“ (ანუ ნაწილაკად ქცეული პირიანი ფორმის) დრო (ნაკვეთი), მაშინ იგი განკერძოვდება და ჩართულის ფუნქციას შეასრულებს, აქვე შევნიშნავთ, რომ „დამხმარე ზმნები“ ძირითადად მესამე პირის ფორმებია, გარდა **მგონი** ზმნისა.

როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, განხილული წინადადებები მსგავსებას ავლენენ ე.წ. ინფინიტიურ კონსტრუქციასთან (**გთხოვთ გამათავისუფლოთ ტიპისა**). ისინი „აგებულებით... პიპოტაქსური კონსტრუქციისანი არიან, მაგრამ აქვთ მარტივი წინადადების სემანტიკა“ (ახვლედიანი 1999: 13).

როგორც ვხედავთ, ჩართული სიტყვების ნაწილი მრავალფუნქციურია: ამათუ იმ სიტყვამ განსაზღვრულ სინტაქსურ პირობებში შეიძლება შეასრულოს სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია, მათ შორის - ჩართულისა. განმსაზღვრული პირობა ძირითადად სიტყვათგანლაგებაა.

ჩართული სიტყვების ძირითადი ბირთვის გამოყოფა ძნელდება კიდეც. ამათუ იმ სიტყვის ჩართულად ქცევა თითქოს ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს. ალბათ ამიტომაც რუსული ლიტერატურის მიხედვით, ჩართული სიტყვები და გამოთქმები წარმოადგენენ „ადვილად შევსებად“ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს.

საინტერესოა, რომ 90-ინი წლების ონამედროვე რუსული ენის გრამატიკში ხაზგასმულადაა აღნიშნული, რომ ტერმინები „მოდალური სიტყვები“ და

„ჩართული სიტყვები“ არ წარმოადგენენ სინონიმებს; „მოდალური სიტყვები“ წარმოადგენენ მორფოლოგიურ ერთეულებს, „ჩართული სიტყვები“ კი - სემანტიკურ ერთეულებს; „ჩართულობა“ შეიძლება გამოხატულ იქნეს სხვადასხვა დონის ერთეულებით.

დროის კატეგორიას მჭიდროდ უკავშირდება კილო. კილო ქართულ ენაში ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. „კილო არის ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდებელი, ან კიდევ როგორც შესასრულებელი“. (შანიძე 1953: 208)

კილო სამია ქართულში: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი.

თხრობითი კილო გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება ნამდვილად ხდება ახლა, ნამდვილად ხდებოდა, მოხდა ან მომხდარა წარსულში, ნამდვილად მოხდება მომავალში.

თხრობითი კილო ყველა დროის ზმნას გააჩნია. ამდენად თხრობითი კილოს ზმნა შეიძლება იყოს ახლანდელის, წარსულისა და მომავლის დროისა (ვწერ, ვწერდი, დავწერ, დავწერ). - მეტყველებაში თხრობითი კილო ყველაზე უფრო ხშირადაა გამოყენებული.

კავშირებითია კილო, რომელიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას წარმოგვიდგენს ისე, როგორც შესაძლებელს, სავარაუდოს. ამ კილოს ფორმებიც ყველა დროისა შეიძლება იყოს (ვიცვამდე, ჩავიცვამდე, ჩავიცვა, ჩაძეცვა).

კავშირებითისა და თხრობითი კილოს განსხვავებას დრო ან ზმნის სხვა რომელიმე კატეგორია კი არ წარმოშობს, არამედ შინაარსობრივი მხარე: მოქმედება ფაქტია, უეჭველია, თუ შესაძლებელი, დასაშებელი (თალაპვაძე 1975: 78).

ბრძანებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც შესაძლებელს. ბრძანებითი კილოს ფორმაში მოუბრის სურვილი, ბრძანება, თხოვნა, ხვეწნა-მუდარა უნდა შესრულდეს. ბრძანებითის ფორმა მოუწოდებს სუბიექტს მოქმედებისაკენ. ბრძნებითი ინტონაციურად ხაზგასმულია.

ამგვარად, „კილოს კატეგორია ისეთი გრამატიკული კატეგორიაა ზმნის სისტემაში, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების მოდალობას, ე.ი. აღნიშნავს მოქმედების სინამდვილისადმი მიმართებას, რომელიც მყარდება მოლაპარაკე პირის მიერ“ (ვინოგრადოვი 1950: 81).

მოქმედებისადმი მოუბრის დამოკიდებულების მიხედვით კილო სხვადასხვანაირია. თუ მოქმედება ფაქტია, ნამდვილია, ზმნის კილო თხრობითია; თუ მოქმედება არაა ფაქტი, არამედ შესაძლებელი, სასურველი, მაშინ კილო კავშირებითია, ხოლო თუ ზმნის ფორმა მიგვითითებს ისეთ მოქმედებაზე, რომლის შესრულება სავალდებულოა სუბიექტისათვის, მაშინ კილო ბრძანებითია.

ზოგადად, მოდალობა არის კატეგორია, რომელიც გამოხატავს გამონათქვამისა და მიმართების სახეებს. ეს მიმართება შეიძლება გამოიხატოს გარმატიკული, ლექსიკური და ინტონაციური საშუალებებით. ლექსიკური საშუალებით გადმოცემულ მოდალობას ხშირად „მოდალურ ზმნებს, მოდალურ პრედიკატივებს“ უწოდებენ და ამგარად გამოხატული შინაარსი ძირითადად შემდეგია: შესაძლებლობისა, სასურველობისა, კალდებულებისა, იძულებისა, მოხალოდნელობისა, მზაობისა და სხვა.

ქართულში გამოიყოფა რამდენიმე მოდალური ელემენტი, რომლებიც ზმნური წარმომავლობისა არიან: ეგებ/ეგება, იქნებ/იქნება, ეტყობა, ჩანს, ლამის, უნდა, ვინდა/ვინდ, თუგინდ/თუნდა... ზოგი მათგანი (ეგებ/ეგება, ლამის...) მხოლოდ მოდალური ელემენტის სტატუსით რჩება თანამედროვე ქართულში, სხვანი გამოიყენებიან, როგორც მოდალური დანიშნულებით, ასევე საკუთრივ ზმნის ფუნქციით (ჯორბენაძე 1993: 266).

ეგება/ეგებ ფორმა ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო როგორც ეგების; ესაა ე-პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბის მქონე ზმნა, რომლის ფუნქცია (ძირია) -გ-: ე-გ-ებ-ი-ს.

ზმნას „ეგების“ იმთავითვე ჰქონდა ერთგვარი მოდალური მნიშვნელობა. (შარაშენიძე 1999ა: 143) ამაზე უნდა მიუთითებდეს შემდეგი თავისებურებანი:

სემანტიკა - რამდენადაც „ეგების“ ფორმა გადმოსცემს ზოგადად შესაძლებლობის შინაარსს.

„ეგების“ ზმნური ფორმა უნდა მიესადაგებოდეს მოდალობის ამ ყალიბს, რადგან იგი, მართლაც, გადმოსცემს შესაძლებლობის შინაარსს:

მეწყინა, მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა. (ილია)

სანოვაგის გატაცება არ ეგებოდა. (ვ. ბარნოვი)

აღნიშნულმა ფორმამ დროთა განმავლობაში ზმნური ნიშნები დაკარგა და საბოლოოდ მოდალობის გამომხატველ ნაწილად ანუ მოდალურ ელემენტად იქცა.

2) „ეგების“ ზმნის მოდალურ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს ამ ზმნური ფორმის სინტაქსურ-სემანტიკური კონსტრუქცია, რაც ამ ზმნის შემცველი წინადაღების გაანალიზებამ გამოავლინა: კონტაქსტობრუნველებაში „ეგების“ ზმნა შინაარსობრივად უკავშირდებოდა ან საწყისს (მარტივ წინადაღებაში) ან ზმნას ძირითადად რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში) და ფაქტობრივად, ამგვარად აღნიშნული მოქმედების შესრულების შესაძლებლობა-შეუძლებლობას გვიჩვენებს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ეგების“ ზმნური ფორმა ამომწურავ ინფორმაციას ვერ იძლევა (შარაშენიძე 1999ა: 144). წინადაღებაში იგი გვიჩვენებს, რომ საწყისით ან ზმნით გამოხატული მოქმედება შეიძლება (ან არ შეიძლება), უნდა (ან არ უნდა) შესრულდეს:

მოსვლა უბრანა, - ეამა, თქმა არ ეგების ენითა (ვეფხ.).

იმავე შინაარსს - შეძლებას, ჯერ არსებობას გამოხატავს „ეგების“ ზმნური ფორმა იმ შემთხვევაშიც, როცა იგი უშუალოდ არ მიემართება და არ განსაზღვრავს საწყისს ან ზმნას და ამდენად ერთადერთი ზმნური ფორმაა წინადაღებაში. ამგვარი შემთხვევები არც თუ მრავლადაა და იგი ამ ზმნის თავისებურებების გამოკვეთაში წინააღმდეგობას არ ქმნის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარ კონტაქსტებში მაინც ივარაუდება რაღაც ზმნური ან სახელ-ზმნური, რომელსაც „ეგების“ ფორმა შინაარსობრივად გულისხმობს:

„რასა პქვიან ძებნა ჩემი? არ ეგების, დაიჯერე!“ (ვეფხ.)

„ეგებ“ ნაწილაკი თანამედროვე ქართულში საკმაოდ გავრცელებულია. მისი სინონიმია ასევე ზმნური წარმოშობის ნაწილაკი „იქნებ“, რაც იმასვე გამოხატავს, რასაც „ეგებ“ - შესაძლებლობას, დაფარებას, სასურველობას. მისი ადგილი წინადაღებაში განსაზღვრულია - იგი თითქმის ყოველთვის ზმნას მიემართება და გამოხატავს ზმნით აღნიშნული მოქმედების შესრულების შესაძლებლობას. თანამედროვე ქართულში უპირატესობა ენიჭება „ეგებ“ ფორმას, აქტიურად იხმარება „ეგება“, „ეგების“ ფორმებიც.

„ეგების“ ზმნა, როგორც უკვე ვთქვით, შესაძლებლობას აღნიშნავს, რომელსაც უცილობლად ახლავს კატეგორიულობის, შესრულების აუცილებლობის მომენტი, ეს „ეგების“ ზმნის განმარტებაშიც მივანიშნეთ. ლექსიკონებში ამგვარი ვრცელი განმარტება არსად არ გვხვდება: ყველგან მითითებულია მხოლოდ შესაძლებლობა, სათანადობა. მაგრამ ნიმუშთა განხილვამ ეს მომენტი - მოქმედების შესრულების აუცილებლობა და კატეგორიულობა - დაადასტურა, ე.ი. აუცილებლად უნდა შესრულდეს ზმნით ან

საწყისით გამოხატული მოქმედება „ეგები“ ნაწილაკი კი გამოხატავს მოქმედების შესრულების შესაძლებლობას, რომელსაც ახლავს შესრულების სასურველობა, მაგრამ დაეჭვება.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ მოდალური ფორმა „ეგების“ ძველ ქართულში მოდალური ზმნის ფუნქციით გამოიყენებოდა, დროთა განმავლობაში მან დაკარგა ზმნური ნიშნები, დაიცალა პირის გაგებისაგან, რაც, ვფიქრობთ, გამოიწვია ძირითადად იმან, რომ განსაზღვრავდა სახელზმნით ან ზმნით გამოხატულ მოქმედებას. ამასთანავე შერჩა მოქმედების შესაძლებელი შესრულების შინაარსი, მაგრამ დაემატა სასურველობისა და დაეჭვების მომენტი. ასე რომ, მისი ფუნქცია ნაწილაკისას დაემსგავსა და საბოლოოდ თანამედროვე ენაში იგი ნაწილაკთა ჯგუფში აღმოჩნდა.

**იქნება** თანამედროვე ქართულში ორი დანიშნულებით გამოიყენება: საკუთრივ ზმნისა და მოდალური ელემენტისა (ჯორბენაძე 1993: 269).

**ზმნა იქნება** პოლისემურია:

ა) გამოხატავს მყოფობას, უდლივობისას შეენაცვლება არის ზმნას. მაგ.: „ის კაცი ახლა აქ არის“ - „ის კაცი ხვალ აქ იქნება“.

ბ) გამოიყენება შედგენილი შემასმენლის ზმნურ წევრად: „პატარა თუ არ გაიზარდა, დიდი როგორ იქნებაო“.

გ) დადასტურებულია შესაძლებლობის ფუნქციის გამოსახატავად: „ერთხელაც იქნება (=შესაძლოა), მელას მინდორზე გაუთენდებაო“, „თოფის სროლა არ იქნება“ (=არ შეიძლება),

დ) გვხვდება გამოთქმებში: რა//რადა იქნება (იქნა), როგორც იქნება (იქნა), რაც იქნება, ვერ/არ იქნება (ან: ვერა და ვერ იქნა, არა და არ იქნა)... ყველა ამ შემთხვევაში იქნება (იქნა) ი-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმაა. (ჯორბენაძე 1993: 267).

მოდალურ ზმნათა ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურება ისაა, რომ ისინი სემანტიკურად დაკავშირებულნი არიან სხვა ზმნურ ფორმასთან, ანუ წინადადებაში მოდალური ზმნით გამოიხატება მთქმელის დამოკიდებულება იმ მოქმედებისადმი, რასაც წინადადების კონსტრუქციაში მონაწილე მეორე ზმნა გადმოსცემს. მოდალურ ზმნიანი წინადადებების განხილვამ გამოავლინა ერთი თავისებურება - მოდალური ზმნა მიემართება ან საწყისს ან (მასდარული კონსტრუქცია → მოდალური ზმნა + მასდარი სახელობით ბრუნვაში) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების ზმნას. ამდენად, ისინი

წინადაღებაში სრულ ინფორმაციას მხოლოდ სხვა ზმნურ ფორმასთან ერთად იძლევიან. ვფიქრობთ, სწორედ ამან განაპირობა ამ ზმნათათვის ზმნური ნიშნების თანდათანობითი დაკარგვა და სახეცვლილ მოდალურ ნაწილაკებად ქცევა. ზმნური ფორმიდან მოდალურ ნაწილაკად ცვლილების ერთნაირი გზა უნდა გაევლოთ ეგების და იქნების ფორმებს. ისინი ერთმანეთს უახოვდებიან როგორც სემანტიკურად, ასევე ფუნქციურადაც (შარაშენიძე 1999ბ: 88).

ზმნის იქნება მეშველზმნური ფუნქცია უთუოდ განასხვავებს მას სხვა ზმნებისაგან და გარევეულად აახლოებს მას მოდალურ ზმნებთან. გარდა ამისა, მისი სემანტიკა მოდალობით ერთ-ერთ ნიუანსობრივ მახასიათებელს - მზაობას - უკავშირდება. ფორმის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ ფაქტი მომავლისათვის რეალობაა და ამ რეალობას სუბიექტი მზაობით ხვდება, ანუ მის დამოკიდებულებას მომავალში მოსახდენი ფაქტისადმი მზაობით აღიქვამს. ასე რომ, იქნების ზმნა მოდალურ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მისი ნაწილაკად ქცევა მიმანიშნებელია სუბიექტური მოდალობის მახასიათებლის გამოკვეთისა და წინ წამოწევისა, რაც რეალობა უნდა იყოს მომავლისათვის, იგი სასურველია სუბიექტისათვის, ხოლო სასურველობა კი ფაქტის შესაძლებლობას გულისხმობს.

როგორც აღვნიშნეთ, იქნება ფორმის მოდალურ ელემენტად გამოყენებას საფუძვლად დაედო სასურველობის (სურვილობის) სემანტიკა, შემდგომ იგი იფართოებს სემანტიკურ სფეროს და ამჟამად გამოხატავს ვარაუდის მნიშვნელობასაც. იქნება, როგორც დამოუკიდებელი ან მეშველი ზმნის, და იქნება, როგორც მოდალური ელემენტის, გამოყენების სფეროები ენაში მკვეთრად გამიჯნულია: სახელთან იგი მხოლოდ ზმნის ფუნქციით გვხვდება (იქნება ზეიმი, გაკეთებული), ხოლო ზმნასთან - მხოლოდ მოდალური ელემენტის დანიშნულებით (იქნება/იქნებ წერს, წერდა, დაწერა...)

**უნდა** ზმნის ფორმობრივი ცვლილებისა და სინტაქსური კონსტრუქციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა (სარჯგელაძე 1986: 413; კოტინოვი 1986: 37; ჯორბენაძე 1993: 271), მაგრამ მისადმი ინტერესი მეცნიერებაში არ განედებულა და მასთან დაკავშირებით კვლავ არაერთი საკითხი იჩენს თავს. განსაკუთრებულად საინტერესოა ამ ზმნის მოდალური სემანტიკა და ის მრავალმხრივი ფუნქციური განტოტვა, რაც გამოარჩევს ამ ფორმას სხვა ზმნებისაგან და ამ მრავალფეროვნების მიზეზის ახსნასაც ითხოვს.

ეს ზმნა თავისებური და გამორჩეულია ქართულ ენაში იმით, რომ ენის განვითარების დიდ მანძილზე მან არა მარტო სრულად შეინარჩუნა ძირითადი ზმნური მნიშვნელობა და ფუნქცია, არამედ მოგვცა ართმანეთისაგან სემანტიკურად განსხვავებული მოდალური ფორმები, სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციის შემქმნელი და სხვადასხვა ნიუანსობრივი ელემენტის გამომხატველნი.

თანამედროვე ქართულში **უნდა** ზმნა ორი მნიშვნელობით იხმარება

ა) „სურს, სწადია“;

ბ) „ესაჭიროება, საჭიროა მისთვის“.

მეორე მნიშვნელობის გამოხატვისას უნდა ზმნას მხოლოდ ობიექტური წყობა აქვს. ამ მეორე მნიშვნელობისაგან გავნითარდა ის სემანტიკა, რომელსაც მოდალური ელემენტი უნდა გამოხატავდეს: „საჭიროა, აუცილებელია“.

მოდალური ელემენტის სტატუსით აღჭურვილი უნდა თავისი ფორმობრივი ქმედებით პრიციპულად განსხვავდება უნდა ზმნისაგან: „უნდა“ მოდალური ელემენტი ეხამება მხოლოდ კავშირებითის ფორმებს და არ იუდლება.

**უნდა** მოდალური ელემენტი გამორიცხავს უნდა გაკეთებდე ან უნდა გავაკეთო ტიპის სტრუქტურათა გაგებას ჰიპოტაქსურ (რთულ ქვეწყობილ) კონსტრუქციებად (უნდა, რომ ვაკეთებდე/ან უნდა, რომ გავაკეთო ნიშნავს, რომ „მას სურვილი აქვს ვაკეთებდე/გავაკეთო“, და არა ვალდებულებას, რისი გამოხატვაც აკისრია მოდალურ ელემენტს უნდა).

ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში არ განირჩევა თხრობითი და კავშირებითი კილო. საქმე ის არის, რომ უნდა მოდალური ელემენტით გამოიხატება სპეციფიკური - ვალდებულების მნიშვნელობა, რომელიც კავშირებითი კილოს ერთ-ერთ სემანტიკურ ნაირსახეობად უნდა განისაზღვროს. (ჯორბენაძე 1993: 277 )

თავისი სემანტიკით ზმნური ფორმა **ლამის** აშკარად გულისხმობს მოდალობის მახასიათებელს, რადგანაც ის სუბიექტის ნება-სურვილს გამოხატავს. მისი მნიშვნელობაა "სურვილი, ნდომა, ცდა, სწრაფვა, წადილი" (შარაშენიძე 2000: 89). ამ ზმნური ფორმის ცვლილების საფუძველი მისხავე სემანტიკაში დევს. სურვილი ფაქტის აღსრულებისათვის, ნდომის, წადილის შესრულებისათვის და მოვლენის დასრულებისათვის საწყისი მომენტია.

ნაზმნარი ფორმების გამოყენება მოდალური ელემენტების დანიშნულებით ქართულში არცოუ ისე იშვიათი მოვლენაა. ნაზმნარ ფორმებად მიიჩნევა

მაგალითად, *თითქმის* და *თითქოს*. ზმნური წარმომავლობისაა ვინძლო ელემენტიც. მოდალური მნიშვნელობები შეუძენიათ მოდი და აღგა ზმნურ ფორმებსაც. პირველი წაქეზების დანიშნულებით გამოიყენება, მეორე ექსპრესიულობას მატებს ფრაზას.

ქართული ენის მრავალფეროვანი, მდიდარი საშუალებები მოდალობის უმცირესი ნიუანსის გამოხატვასაც კი ახერხებს. ქართულ ენაში მოდალობის ბირთვს ქმნის თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი კილოს ფორმები. ასევე, როგორც განხილულმა მაგალითებმა გვიჩვენა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ენაში მოდალობის გამომხატველ ენობრივ საშუალებათა შორის ძირითადად გამოირჩება ზმნის კილოს მორფოლოგიური კატეგორია, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ენობრივ საშუალებებს, ისინი შემდეგი სახისაა: მოდალური სიტყვები, მაქვემდებარებელი კავშირები, რთული ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურები, ჩართული სიტყვები და ნაწილაკები.

საგულისხმოა ქართულ ენაში ახალი ბივერბალური კონსტრუქციის წარმოქმნა, რომლის კომპონენტთა ფუნქციების მიხედვით კავშირებითი კილოს ფორმა გადმოსცემს ძირითად მოქმედებას, ხოლო მოდალური ზმნა ამ მოქმედებისადმი განწყობა-დამოკიდებულებას, რაც მოდალობის რომელიმე მნიშვნელობის გამოხატვას ემსახურება.

ზემოთ ხსენებულ მორფოლოგიურ, ლექსიკურ, გრამატიკულ საშუალებათა გარდა, მოდალობის მნიშვნელობათა გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება ინტონაცია და დამხმარე კონტექსტური საშუალებები.

ზოგჯერ მოდალობის გამოხატვის ძირითადი საშუალება ინტონაციაა. განსხვავებული ინტონაციით წარმოთქმული ერთი და იგივე წინადადება სხვადასხვა მოდალობის შეიძლება იყოს. მაგალითად:

- ის სკოლაში წავიდა. (თხრობითი)
- ის სკოლაში წავიდა? (კითხვითი)
- ის სკოლაში წავიდა! (ძახილის)

ქართული ენის მრავალფეროვანი, მდიდარი საშუალებები მოდალობის უმცირესი ნიუანსის გამოხატვასაც კი ახერხებს.

ამრიგად, ქართულ ენას ჰეშმარიტად შესწევს მოსაუბრის რეალობისადმი დამოკიდებულების მრავალმხრივად წარმოჩინების უნარი, რაც გამოყენებული მაგალითების საფუძველზე დასტურდება.

### თავი III

## ეპისტემური მოდალობის შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულში

ენაში მოდალური მნიშვნელობების ხასიათისა და რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ლინგვისტების უმრავლესობა აღიარებს მოდალობის არსებობას, რომელიც გამოიხატება მოსაუბრის მიერ გამოთქმული შინაარსის დამოკიდებულებით რეალობასთან, მის ჰეშმარიტებასთან. ეპისტემური მოდალობის ტიპს უწოდებენ სუბიექტურს, კერძოს, დამატებითს, თავისუფალს (პანფილოვი 1977: 39; ერმოლაევა 1964: 121).

კავშირი პრედიკაციის ობიექტსა და მის ნიშან-თვისებას შორის, რომელიც აისახება ეპისტემური მოდალობით, არ არის ობიექტური სინამდვილის გამომხატველი ფაქტორი. მოსაუბრე (სუბიექტი) მხოლოდ ვარაუდობს ამ კავშირის არსებობას, ეს არის მისი აზრობრივი შემოქმედების შედეგი და ამ გაგებით მოდალობა სუბიექტური მოვლენაა. თუმცა ტერმინი „სუბიექტური“ არ ასახავს ამ მოდალური მნიშვნელობის სკეციფიკას, რადგან მოსაუბრის სუბიექტური პოზიცია ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის არსებობაზე გამოიხატება ეჭ-სპლიციტურ გამონათქვამებშიც. ზოგიერთი გამონათქვამი კი არ გამოხატავს რეალურ კავშირს ობიექტსა და მის ნიშანს შორის, არამედ მხოლოდ აფასებს მას როგორც სასურველს. სუბიექტური მოდალობის სახის განსაზღვრისათვის აუცილებელია ხაზი გავუსვათ სუბიექტური შეფასების ხასიათს. ამ ტიპის მოდალობის სემანტიკურ არსეს შეადგენს ის, რომ იგი კი არ აფასებს მოვლენებისა და რეალობის კავშირს, არამედ წარმოადგენს მთელი გამონათქვამის მოდალობას და ეს შეიძლება შეგაფასოთ როგორც შესაძლო, საჭირო ან აუცილებელი ტიპის მოდალობა, ხოლო კონკრეტული შეფასება დამოკიდებულია მოსაუბრის მიერ რეალობის ადქმისა და ცოდნის ხარისხზე.

ეპისტემური მოდალობა გამოხატავს მოსაუბრის რეალობასთან დამოკიდებულებას. ის ყოველთვის სუბიექტურია იმ გაგებით, რომ მისი ჰეშმარიტება დამოკიდებულია მოსაუბრის დასკვნაზე. ეპისტემური მოდალობა - გარესინტერიური კატეგორიაა, რადგან, როგორც წესი, იგი გამოიხატება

ელემენტებით, რომლებიც არიან სინტაქსურ იზოლაციაში (მოდალური სიტყვები, ნაწილაკები, მოდალური ფრაზები) - ეს გამონათქვამთა მოდალობაა და არა მოქმედების გამომხატველი მოდალობა. ის ახასიათებს ყველა მსჯელობას ზოგადად და არ ახასიათებს რეალობის ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშანთვისებას შორის არსებულ კავშირს.

ეპისტემური მოდალობის გამოხატვის საშუალებები (ეპისტემური მოდალური მოდიფიკატორები) შეიძლება დაიყოს ხუთ ქვეჯგუფად: ა) მოდალური სიტყვები, ბ) მოდალური ნაწილაკები, გ). მოდალური ფრაზები „I suppose“ (მე ვვარუდობ“ ტიპისა, დ) მოდალური ზმნები და პრედიკატები და ე) სინატაქსური კონსტრუქციები მოდალური მნიშვნელობებით.

ინგლისურ ენაში ეპისტემური მოდალობის გამოხატვის მთავარი საშუალებაა მოდალური სიტყვები, რომელიც ხშირად წინადადებაში ასრულებს ჩართული წევრის როლს, რომელიც შეადგენს გამოქმის ბირთვს, ან გვხვდება სიტყვა - წინადადების ფუნქციით მაგალითად, "Will you come? By all means". (შენ მოხვალ? - ნამდვილად). როგორც ჩანს, ინგლისურ ენაში, ჩვენი მასალის მიხედვით, მოდალური სიტყვები ძირითად თხრობით წინადადებებში გამოიყენება. მაგალითად ასი განხილული წინადადების 89%-93% თხრობითი წინადადებები შეადგენს. თხრობით წინადადებებში მოდალური სიტყვები შეიძლება გამოიყენებოდეს ნებისმიერ პოზიციაზე (საწყის, მედიალურ და ფინალურზე).

ინგლისურ ენაში თავად საკითხი მოდალური ნაწილაკების ცალკეული ჯგუფების არსებობისა, ხშირად სადაცო ხდება, მ.გ. პოლიაკოვი გამოყოფს ხუთ მოდალურ ნაწილაკს: hardly, scarcely, possibly, necessarily, need. ისინი, ამ ჯგუფის მოდალური ნაწილაკების კვალდაკვალ, განიხილება იმ საფუძველზე, რომ ისინი ხასიათდება ვარაუდის გამომხატველი ისეთივე სემანტიკით, როგორიც მოდალური სიტყვები და მოდალურ შეფასება-შეფერილობას აძლევენ არა გამოთქმას, არამედ მის ცალკეულ ნაწილებს. კერძოდ, ავტორი მოდალურად მხოლოდ ორ ნაწილაკს - hardly, scarcely თვლის, დანარჩენს აკუთვნებს მოდალურ-გამაძლიერებელთა რიგს, რადგან უპანასკნელი კი არ ცვლის, არამედ მხოლოდ აძლიერებს წინადადებაში გამოხატულ მთავარ მოდალურ მნიშვნელობას (პოლიაკოვი 1975: 102).

რაც შეეხება ქართულ ენას, ჩვენს მიერ განხილული მაგალითების მიხედვით, მოდალობის კატეგორიის ძირითად დომინანტად აქ კილოს მორფოლოგიური კატეგორია გვევლინება, ხოლო მოდალური ზმნები, სიტყვები,

მაქვემდებარებელი კავშირები, ჩართული სიტყვები კილოს ფორმით გადმოცემული მოდალური ნიუანსის მნიშვნელობას მხოლოდ აძლიერებენ. ასევე აღსანიშნავია თანამედროვე ქართულ ენაში ბივერბალური ანუ ორზმნიანი სინტაქსური კონსტრუქციის არსებობა, რომლის პირველი კომპონენტი მოდალური ზმნაა, ხოლო მეორე კავშირებითი კილოს ფორმაა, რომელიც ძირითად მოქმედებას გადმოგცემს. თვით მოდალური ზმნა ამ მოქმედებისადმი განწყობადამოკიდებულებას ამჟღავნებს.

ქართულ ენაში მოდალურ ზმნათა ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურება ისაა, რომ ისინი სემანტიკურად დაკავშირებულნი არიან სხვა ზმნურ ფორმასთან, ანუ წინადადებაში მოდალური ზმნით გამოიხატება მთქმელის დამოკიდებულება იმ მოქმედებისადმი, რასაც წინადადების კონსტრუქციაში მონაწილე მეორე ზმნა გადმოსცემს. ისინი წინადადებაში სრულ ინფორმაციას მხოლოდ სხვა ზმნურ ფორმასთან ერთად იძლევიან. სწორედ ამან განაპირობა ამ ზმნათათვის ზმნური ნიშნების თანდათანობითი დაკარგვა და სახეცვლილ მოდალურ ნაწილაკად ქცევა (შარაშენიძე 1999გ: 87).

ეპისტემური მნიშვნელობით ნახმარ მოდალურ ზმნებს არა აქვთ განსაზღვრული დრო, რადგან გამოთქმა, რომელიც გამოხატავს ვარაუდს, ყოველთვის შეფარდებითია მეტყველების მომენტთან. ეპისტემური მნიშვნელობის აქტუალიზაციის დროს გავრცელებული მოდელია მოდალური ზმნა + ზმნა-კავშირი გამოხატული ზედსართავი სახელით, არსებითი სახელით, წინდებულით და წინდებულის გარეშე, ზმნიზედით, რიცხვითი სახელით. მოდალური ზმნის ეპისტემური გამოყენებისათვის დამახასიათებელია უსული არსებით სახელთან შეთანხმება, რომელიც წინადადებაში ქვემდებარის როლს ასრულებს.

ინგლისურ ენაში ეპისტემური მოდალობა სინტაქსურ დონეზე შეიძლება გამოხატული იქნეს Subjective Infinitive – ის (კავშირებითი ინფინიტივის) კონსტრუქციის დახმარებით.

ამ კონსტრუქციაში შედგენილი შემასმენლის პირველ ნაწილს შეადგენს შეთანხმებები be bound, be certain, be likely და ზმნები seem, appear:

The brothers did not seem to notice phenomena, which contributed, nevertheless, to the jauntiness of promenade and conversation. (J. Galsworthy)

მმები შერ ამჩნევდნენ ამ მშვენიერებას, რომელიც ამისდა მიუხედავად ხელს უწყობდა მათ გართობას, სეირნობასა და გულითად საუბარს.

You're sure you're not angry about it? (Th. Dreiser)

— ხომ არ მიჯავრდებით?

ეპისტემური მოდალობა შინაარსის მიხედვით შეიძლება გავყოთ ორ სემანტიკურ ოპოზიციად: ა) დარწმუნებულობა/დაურწმუნებლობა, ბ) ლოგიკური შესაძლებლობა/ლოგიკური აუცილებლობა. თემაში შეპირისპირებას ვახდენთ ინგლისურ და ქართულ ენაში ეპისტემური მოდალობის ამ ოთხი სახის ნათლად გამოსახატავად. ამისათვის განვიხილეთ დაახლოებით 1000-1000 მაგალითი ორივე ენაში. მაგალითების განხილვისა და მათი ორივე ენაში შეპირისპირების შედეგად გამოიკვეთა ეპისტემური მოდალის გამომხატველი საშუალებები ინგლისურ და ქართულ ენებში. შევქმნით სქემები რობლებიც ასახავენ მოდალობის ამ ტიპს ორივე ენაში.

პირველი ოპოზიცია (დარწმუნებულობა/დაურწმუნებლობა) გამოხატავს მოსაუბრის ცოდნის ხარისხს და ობიექტსა და პრედიკატს შორის სავარაუდო კავშირის ხასიათს. მოდალური მნიშვნელობის ლოგიკური შესაძლებლობას გამოხატავს ვარაუდს რეალობის არასრულ, სუბიექტურ ცოდნაზე დაყრდნობით (ლიჩი 1974: 74-75).

ლოგიკური აუცილებლობის მოდალური მნიშვნელობის გამომხატველ გამოთქმებს ახასიათებს რაიმე შეჯამებული დასკვნა მიღებული ფაქტების, დაკირვებების და მტკიცებულებების საფუძველზე. მიკროკონტექსტის ელემენტები მიანიშნებს ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობების რეალიზაციაზე. მაგ:

Let's go in you must be getting cold. (R. Bradbury)

შინ შევიდეთ, ალბათ შეგცივდათ.

ეპისტემური მოდალობის ეჭვის გამომხატველ გამოთქმებში, რომლებშიც გამოხატულია მოსაუბრის ვარაუდი, ჩანს დარწმუნების ხარისხის შესუსტება:

Maybe he was as poor as we are and would understand. (E. Hemingway)

ან იცის, იქნებ ჩვენსავით დარიბი იყო, და ყველათერს მიგვიხვდებოდა.

ეპისტემური მოდალობის დარწმუნებულობის ხარისხი წინადაღებას აძლევს შესაბამის ელფერს და გვიჩვენებს, რომ ოუმცა მოსაუბრეს არა აქვს საკმარისი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ არსებობს კავშირი ობიექტსა და ნიშანს შორის, ის მაინც დარწმუნებულია მათ შესაძლო კავშირში:

Joeves, no doubt, could have dug up a dozen brainy scheems in a couple of minutes, but he was still a loof and chilly. (Th. Peacock)

ეპისტემური დარწმუნებულობისა და დაურწმუნებლობის გამომხატველი მოდალობა ატარებს ირონიულ ელფერს და მოსაუბრის მსჯელობაში გვიჩვენებს გადაჭარბებულ სიფრთხილეს.

ეპისტემურ მოდალობა გრამატიკული მახასიათებლებით განსხვავდება მოდალობის სხვა ტიპებისაგან. ეპისტემური მოდალობის ფუნქციები წარსულ დროსთან მიმართებაში თითქმის მთლიანად ეპისტემური მოდალობის ბუნებიდან არის ნაკარნახევი. კერძოდ:

1) მოდალობა ყოველთვის ახლანდელ დროშია, რადგან აზრი საუბრის დროს გადმოიცემა და ეპისტემური მოდალობა თავისი გაგებით "პერფორმატულია". ჩვეულებრივ, წარსულის გამოხატავად მოდალური ზმნები არ გამოიყენება წარსულ დროში. წარსული დროის ფორმები ჩვეულებრივ სავარაუდოა ახლანდელ დროსთან მიმართებაში. რა თქმა უნდა ჩვენ შეგვიძლია გადმოვცეთ წარსულთან დაკავშირებული გარკვეული მოსაზრება, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ისეთი ზმნები გამოყენება როგორიცაა think, believe და სხვა.

2) პირიქით, პროპოზიცია შეიძლება იყოს წარსულში. ჩვენ შეგვიძლია რაიმე წარსული ქმედების შეფასება. ყოველივე ეს შეიძლება გამოხატული იქნეს ძირითადი ზმნის წინ have დამხმარე ზმნის გამოყენებით.

You may have guessed that it's his handwriting.

ალბათ მიხვდი, რომ ეს მისი ხელწერაა.

She might have been home while you were out.

ალბათ შინ იყო შენი არყოფნის დროს.

He must have been in a hurry.

ალბათ ჩქარობდა.

This would have been about a year ago.

ეს ერთი წლის წინ მოხდებოდა.

მაგალითებში მოცემული მოდალური ზმნების მსგავსად დამხმარე ზმნა have - თან ერთად შეგვიძლია გამოვიყენოთ: will, should, ought to და be bound to. მაგალითად:

Ann *will/should/ought/is bound to* have been there.

ნათელია, რომ მოცემულ ყველა მაგალითში წარსული დრო არის გადმოცემული. მოდალური ზმნები არ უკავშირდებიან პირიან ნამყო სრულ დროს have - ის საშუალებით, რომელიც წარსული დროის საპირისპიროა.

მაგალითად ავიღოთ წინადადება - This would have been about a year ago. ამ მაგალითში უკელავერი ნათელია, რადგანაც გამოყენებულია სიტყვა ago. იგივე წინადადება მოდალური ფორმის გარეშე იქნებოდა: That was a year ago. ხოლო წინადადება That has been a year ago ინგლისურად არ არის გამართული წინადადება, რადგანაც ინგლისურ ენაში შეუძლებელია აწმყო სრულ დროსთან ერთად გამოვიყენოთ წარსული დროის გამომხატველი ზმინზედა.

მაგრამ, მაინც რჩება გარკვეული სირთულე have - ის ორაზროვნებასთან დაკავშირებით წარსულისა და სრული დროის ინტერპრეტირებისას, იმ შემთხვევაშიც კი თუ მას ორივე დროის სემანტიკა ექნება. თეორიულად ჩვენ გვაქვს არა მხოლოდ ორმაგი, არამედ ოთხმხრივი სხვაობა რომალიც მოიცავს სხვაობას "წარსული - წარსული" და "წარსული - სრული დრო", ისევე როგორც წარსულ და სრულ დროს. შევადაროთ შემდეგი წყვილები:

She wrote the letter yesterday. (past)

მან გუშინ წერილი დაწერა.

She must have written the letter yesterday.

მას გუშინ წერილი უნდა დაწერა.

She has written the letter by now. (Present Perfect)

მას ამ დროისთვის წერილი დაწერილი აქვს.

She must have written the letter by now.

მას ამ დროისთვის წერილი დაწერილი უნდა ქონდეს.

She had written the letter before Nick arrived. ("past-past")

მას წერილი ნიკის დაბრუნებამდე უნდა ქონდა დაწერილი.

She must have written the letter before Nick arrived.

მას წერილი ნიკის დაბრუნებამდე უნდა ჰქონდა დაწერილი.

She had written the letter by then. ("past perfect")

მას იმ დროისთვის დაწერილი ქონდა წერილი.

She must have written the letter by then.

მას იმ დროისთვის დაწერილი უნდა ჰქონდა წერილი.

ამ ოთხი სემანტიკური სხვაობის განვიტრალება ხდება ეპისტემური მოდალობით, სადაც, რა თქმა უნდა, ზმინის უპირო ფორმები გამოიყენება. შესაძლოა ასევე ვთქვათ, რომ წარსულთან დაკავშირებულ მოსაზრებების გადმოსაცემად, ფორმალურად მხოლოდ ერთი სახის წარსულია მოცემული.

საინტერესო ორაზროვნებას იწვევს ფორმა *might have*:

I think I might have performed a difficult task.

კვიქრობ, შესაძლოა შევასრულე ძნელი დავალება.

შეიძლება ეს ნიშნავდეს "I think it is possible that I performed a difficult task" (კვიქრობ შესაძლებელია, რომ მე შევასრულე ძნელი დავალება) ან "I think it is possible that I would have performed a difficult task" (კვიქრობ შესაძლებელია, რომ მე ძნელი დავალება შემესრულებინა). როდესაც ქვემდებარე არის I, მაშინ ნათელია, რომ უკანასკნელი ინტერპრეტაცია უფრო შესაფერისია.

შეგვიძლია მოვიყვანოთ ეპისტემური მოდალობის რამდენიმე მაგალითი, სადაც მოდალობა წარსულ დრიოსაკენ მიემართება. მაგალითად:

For all I knew he might have done it.

ზმნა knew - ს წარსული დროის ფორმის გამოყენება საშუალებას გვაძლევს ვიგულისხმოთ, რომ შესაძლებელი იყო, მას ეს გაეკეთებინა. მიუხედავად ამისა, ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ კონტექსტში, სადაც ისინი ისეთი ფრაზებით არის გაძლიერებული, როგორიცაა For all I knew.

პალმერს მოყავს მაგალითი - It had to be there - there was not anywhere else it could have been, სადაც ჩანს, რომ ეპისტემური აუცილებლობა ნამდვილად წარსულშია, ან ნაწილობრივ ემთხვევა წარსულს იმ მნიშვნელობით რომელიც გულისხმობს: "ყველა შემთხვევაში აუცილებელი იყო, რომ . . ." ან "ერთადერთი შესაძლო დასკვნა იყო ის, რომ . . .". თუ ეს მართალია, მაშინ ეს არის მოდალობა, რომელიც წარსულში აქტუალიზდება had to -ს საშუალებით, მაშინ როდესაც, რა თქმა უნდა ის არის პროპოზიცია რომელიც წარსულია must have - ის საშუალებით. (პალმერი 1976: 52)

მსგავს ახსნას უძებნის ჰელიდეი შემდეგ წინადადებას:

They would telephone me just as I was going to sleep.

ჰელიდეი ყოველივე ამას უდგება როგორც ობერტონის ("overtone") მაგალითს, სადაც აქცენტი would - ზე არის გაკეთებული, ნახევარტონით გამოთქმის ("undertone") საპირისპიროდ, რომელიც არის "საცდელი" ფორმა. (ჰელიდეი 1970, 334) ამ მაგალითში ჩვენ არ გვაქვს მოდალობის უბრალოდ მტკიცების ფორმა, და არის განსხვავება ჰელიდეის ამ მაგალითსა და მომდევნოს შორის:

Predictably, this gazebo would be by Wren.

მეორე მაგალითი არის would - ის საცდელი გამოყენება. ის გვთავაზობს თუ რა შეიძლება იყოს კეთილგონივრული დასკვნა. მაგრამ პირველი წინადაღების პერეფრაზი ვერ იქნება "კეთილგონივრული დასკვნა იქნება, რომ . . .", არამედ "ყოველთვის კეთილგონივრული დასკვნა იყო, რომ . . .". თუ ყოველივე ეს ასეა, მაშინ ამ შემთხვევაშიც გვაქვს ეპისტემური მოდალობა წარსულში.

პალმერი უარყოფს მოსაზრებას, რომ ეპისტემური მოდალობა ყოველთვის აწმყოშია და, რომ ყოველთვის პერფორმატულია. ამ მაგალითების საფუძველზე დასძენს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პერფორმატულობა შეიძლება იყოს ეპისტემური მოდალობის ყველაზე დამახასიათებელი ფუნქცია, არ არის აუცილებელი პირობა, რომ ისინი ყოველთვის პერფორმატორები და ყოველთვის აწმყოში იყვნენ. (პალმერი 1976: 29) მაგრამ ამ "წარსული დროის" ეპისტემური გამოყენება ძალიან იშვიათია.

პროპოზიციასთან დაკავშირებული ეპისტემური აზრის გამოსახატავად ახლანდელსა და მომავალში გამოიყენება მოდალური ზმნა may (ორივე ფორმით may და might):

You may not like the idea, but let him do it.

შეიძლება ეს იდეა არ მოგწონდეს, მაგრამ ნება მიეცი ეს გააკეთოს.

I may go there at the end of May.

შეიძლება იქ მაისის ბოლოს წავიდგ.

He might go and live in the village.

შეიძლება წავიდეს და სოფელში იცხოვოს.

მომავალს გამოხატავს ასევე be bound to:

He's bound to go.

ის იძულებულია წავიდეს.

მოდალური ზმნა will ეპისტემური მნიშვნელობით იხმარება ასახოს მომავალი მოქმედების გამოსახატად, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან რთულია მისი განსხვავება will - მომავლის გამომხატველი ხმარებისაგან.

ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ მომავლის გამომხატველი will, ჩვეულებრივგვევლინება როგორც ეპისტემური will და მისი დაპირისპირება სურვილის გამომხატველ will-თან იწვევს კონტრასტს ეპისტემურ და ძირეულ მოდალობებს შორის.

ამ ანალიზის თანახმად ეპისტემურს will - ს უნდა ჰქონდეს წინასწარმეტყველური ხასიათი და არ არის აუცილებელი, ეს იყოს მომავლის

წინასწარმეტყველება, რადგანც ის ასევე ნათლად გამოხატავს აწმუო დროსაც. ჰადლსტონი საუბრობს "აწმუოს წინასწარ განჭვრების" შესახებ და ერთმანეთს ადარებს აწმუოსა და მომავალის ფორმებს, სადაც იყენებს არა მხოლოდ არამოდალურ ფორმებს, არამედ სამ ეპისტემურ მოდალურ ზმნასაც (will, must, may) (ჰადლსტონი 1976ა: 69):

That is the doctor.	The match starts soon.
ის არის ქიმი.	მატჩი მალე იწყება.
That will be the doctor.	The match will start soon.
ის ქიმი იქნება.	მატჩი მალე დაიწყება.
That must be the doctor.	The match must start soon.
ის ქიმი უნდა იყოს.	მატჩი მალე უნდა დაიწყოს.
That may be the doctor.	The match may start soon.
ის შეიძლება ქიმი იყოს.	მატჩი შეიძლება მალე დაიწყოს.

თავისი არგუმენტი აქვე ჯენკინსს, რომელიც აღნიშნავს, რომ თუ პირობითი წინადადების პირობის შემცველი ნაწილი არ იქნება მომავლის გამომხატველი will, მაშინ ეს უფრო მთავარი ფაქტის ნიმუშია - ვერც ერთი ეპისტემური მოდალური ზმნა ვერ იქნება პირობითი წინადადების შემცველი ნაწილი.

მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ will ზოგჯერ გამოიყენება მომავალში აქტუალიზებული დასკვნის გაგებით . მაგალითად:

Ann will go tomorrow, I think.

ვფიქრობ, რომ ანა ხვალ წავა.

ეს მაგალითი გამოხატავს will-ის ეპისტემურ მნიშვნელობას. რა თქმა უნდა ჰქონდება იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხშირად რთულია ერთმანეთისგან განვასხვაოთ ეპისტემური მომავალი და ნამდვილი (ჩვეულებრივი) მომავალი. თუმცა, შესაძლებელია მოიძებნოს ოთხი მიზეზი მაინც, რათა ერთმანეთისგან განვასხვაოთ ეპისტემური will და მომავლის გამომხატველი will.

1. ინგლისურ ენაში ამ განსხვავების დადგენაში გვეხმარება ზმნის განგრძობითი ფორმა. მაგალითად:

Ann will go tomorrow.

Ann will be going tomorrow.

საგარაუდოდ, განგრძობითი ფორმის გამოყენება გულისხმობს სურვილის გამომხატველი will - ის გამოყენებისადმი თავის არიდებას. მაგრამ განგრძობით ფორმას ყოველთვის ეპისტემური ინტერპრეტაცია აქვს.

2. ნაცვალსახელებთან I და we will და shall ფაქტობრივად ურთიერთშენაცვლებადია, მაგრამ მხოლოდ სტილისტური სხვაობით, მომავლის გამოხატვისას, და, ამასთან ერთად, shall არახოდეს არ არის ეპისტემური.

3. მომავლის გამოხატვას სემანტიკურად მცირე საერთო აქვს ისეთ შემთხვევებთან, როგორიცაა They'll be at home, სადაც ეჭვგარეშეა, რომ ეპისტემური დასკვნა მოსაუბრის მიერ არის გაკეთებული. Will (და shall) არ გამოიყენება ისეთ წინადადებებში, სადაც არ არის მოცემული რაიმე ფაქტის ეპისტემური დასკვნა, არამედ იმ შ მთხვევებში, სადაც ტრივიალური მომავალი ფაქტია გადმოცემული. მაგალითად:

I will be thirty on Monday.

4. will -ს ეპისტემური ხმარება მიგუდგებით, მის "პირობითობაზე" მიუთითებს.

ეპისტემურ ვარაუდსა და აუცილებლობაზე საუბრისას განსახილველად წამოიჭრება გარკვეული ლოგიკური საკითხები:

1. ვარაუდის დროს პროპოზიციის უარყოფა ხდება may not -ის საშუალებით ("შესაძლებელია, რომ ... არა ..."), მაშინ როდესაც მოდალობის უარყოფა ხდება can't -ის საშუალებით ("შესაძლებელი არ არის, რომ . . .").

You may not have met her.

მას ვერ შეხვდებოდი.

If he saw a car, it can't have been Tom's car.

თუ მან მანქანანა დაინახა, ეს ტომის მანქანა ვერ იქნებოდა.

თუ ძირითადი ზრდა მოქმედებას გამოხატავს და ასახავს მომავალს, can't უფრო მეტად აღიქმება, როგორც დინამიური და არა როგორც ეპისტემური. მაგალითად:

She can't go to the village tomorrow.

ხვალ სოფელში ვერ წავა.

ეს წინადადება შესაძლოა აღვიქვათ როგორც "It is not possible for her to go to the village tomorrow" (მისთვის არ არის შესაძლებელი ხვალ სოფელში წასვლა) და არა როგორც "It is not possible that she will go to the village tomorrow" (შეუძლებელია, რომ ხვალ ის სოფელში წავიდეს). Can - ის ეპისტემური

გამოყენება არ იწვევს ორაზროვნებას, როდესაც ის განგრძობით ფორმასთან ერთად გამოიყენება:

She can't be going to the village tomorrow.

2. მიუხედავად იმისა რომ mustn't და needn't გვხვდება ეპისტემური მნიშვნელობით, უჩვეულოა მათი გამოყენება ეპისტემური აუცილებლობის უარსაყოფად. ინგლისურ ენაში ლოგიკური თანაფარდობა "Not-possible=Necessary-not" (არა-შესაძლებელი=აუცილებელი-არა) და "Not-necessary=Possible-not" (არა-აუცილებელი=შესაძლებელი-არა) გვაძლევს ალბათობის ფორმების გამოყენების საშუალებას. განსხვავება შესაძლებლობასა და აუცილებლობას შორის არის ის, რომ მოდალობისა და პროპოზიციის უარყოფა რევერსულია. May not უარყოფს მოდალობას ("It is not necessary that . . ." "არ არის აუცილებელი, რომ . . ."), მაშინ როდესაც can't უარყოფს პროპოზიციას ("It is necessary that . . . not . . ." "აუცილებელი, რომ . . . არ . . ."). პალმერი იყენებს სქემას, სადაც ფრჩხილებში ლოგიკური ექვივალენტობის ფორმებს გამოყოფს (პალმერი 1979: 54):

Possible-not	may not
Not-possible	can't
Necessary-not	(can't)
Not-necessary	(may not)

ფორმები mustn't და needn't შეიძლება გამოვიყენოთ აუცილებლობის და არა გარაუდის გამოხატვის დროს. ეს ნიშნავს, რომ mustn't შეიძლება გამოვიყენოთ can't-ის ნაცვლად შემდეგ მაგალითში:

She can't be at school.

ის სკოლაში ვერ იქნება.

She mustn't be at school.

ის სკოლაში ვერ იქნება.

ამ პროპოზიციებს შეესაბამება ახსნა - "ერთადერთი შესაძლო დასკვნა ის არის, რომ ის სკოლაში არ არის" ("The only possible conclusion is that she is not at school"), ვიდრე " ის, რომ იგი სკოლაში არ არის, არ გვევლინება ერთადერთ შესაძლო დასკვნად. " ("It is not a possible conclusion that she is at school"). ამ შემთხვევაში ასევე შეიძლება needn't იქნებს გამოყენებული:

She may be at school, but she needn't be.

შეიძლება სკოლაში იყოს, მაგრამ არ არის საჭირო რომ იყოს..

ეს უფრო მეტად ნიშნავს " ეს პროპოზიცია არ არის ერთადერთი შესაძლო დასკვნა იმოს თაობაზე, რომ ის სკოლაში არის", ვიდრე " ერთადერთი შესაძლო დასკვნაა, რომ ის სკოლაში არ არის". ამ შემთხვევაში გვქვს დაპირისპირება შესაძლებლობას, რომელიც მტკიცდება და აუცილებლობას შორის, რომლის უარყოფაც ხდება.

ასევე შეიძლება გამოვიყენოთ mustn't, სადაც ხდება წინა must -ის თავისებური უარყოფა. მაგრამ ამ შემთხვევაში ხდება მოდალობის უარყოფა და არა პრეპოზიციისა:

She must be at school. – Oh, no, she mustn't.

ის სკოლაში უნდა იყოს. – არა, არ იქნება.

შესაძლებლობის დასადასტურებლად ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ can (და არა may), თუ ის უარყოფს წინა can't-ს.

She can't be at school. – Oh, yes, she can.

ის სკოლაში ვერ იქნება. – დიახ, შესაძლოა იყოს.

3. გარკვეული ბუნდოვანებით არის მოცული ეპისტემური shouldn't. შემდეგ მაგალითებში ის უფრო ეპისტემურია, ვიდრე დინამიური:

That shouldn't be nice. What do you want to do?

კარგი არ იქნება. რისი გაკეთება გსურს?

ამ შემთხვევაში ხდება პროპოზიციის უარყოფა – "მისადები იქნება დავასკვნათ, რომ ...არ..." ("It would be reasonable to conclude that ... not...").

4. რაც შეეხება წარსულის ფორმებს couldn't და mightn't, პირველი უარყოფს მოდალობას, ხოლო მეორე – პროპოზიციას.

It couldn't have been difficult.

როცული ვერ იქნებოდა.

It might not have been difficult.

როცული ვერ იქნებოდა.

საინტერესოა ეპისტემური მოდალობის გამოხატვა კითხვით წინადადებაში თუმცა იგი იშვითად გვხვდება კითხვით წინადადებაში. ეპისტემური ალბათობისას კითხვით წინადადებაში გამოიყენება can:

Can they be at home?

შეიძლება სახლში იყვნენ?

კითხვით წინადადებაში ასევე გამოიყენება could have:

I was thinking, could it have been difficult?

ვფიქრობდი, რომელი იქნებოდა ყოველივე ეს?

ეპისტემური აუცილებლობის დროს კითხვით წინადადებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს: must, need, be bound to. მაგალითად:

Must they be at home?

სახლში უნდა იყვნენ?

Need they be at home?

საჭიროა, სახლში იყვნენ?

Are the bound to be at home?

იძულებულები არიან, რომ სახლში იყვნენ?

უარყოფით კითხვით წინადადებაში გამოიყენება იგივე მოდალური საშუალება, რაც მტკიცებით ფორმაში :

He *must* come tomorrow, *mustn't he?*

ის ხვალ უნდა მოვიდეს, არა?

რაც შეეხება გვარის კატეგორიას, ეპისტემური მოდალობა საშუალო გვარისაა. წინადადებები ეპისტემური მოდალური მნიშვნელობის გამომხატველი საშუალებებით საშუალი გვარის არის, რადგანაც თვით პროპოზიცია საშუალო გვარისაა. მაგალითად: Ann may have seen Nick.

(Nick may have been seen by Ann.)

ანას შეიძლება ნიკი დანანახი ყავდეს.

სხვაგვარი მდგომარეობაა შემდეგ წინადადებაში:

Ann may want to see Nick.

(Nick may want to be seen by Ann.)

ანას შეიძლება სურს ნიკის ნახვა.

პირველი წინადადების პროპოზიციაა "ანამ დაინახა ნიკი", რომელიც საშუალო გვარის არის, ხოლო მეორე წინადადების პროპოზიციაა "ანას სურს ნიკის ნახვა".

როგორც აღვნიშნეთ, ეპისტემური მოდალობა ჭეშმარიტების სტატუსს ანიჭებს გამონათქვამს მოლაპარაკის ცოდნის ფონზე. ის სუბიექტურია და გულისხმობს "ეს ასეა, რამდენადაც მე ვიცი". ეპისტემური მოდალობის შემთხვევაში ხაზგასმულია პროპოზიციის ჭეშმარიტება, ეპისტემური აუცილებლობისას კი მოლაპარაკეს მის მიერ შეძენილი ცოდნის საფუძველზე მიაჩნია, რომ ვარაუდი რაიმე გამონათქვამის შესახებ აუცილებლად სწორია და

რომ პროპოზიციის ჭეშმარიტება არ შეიძლება ეჭვის ქვეშ იყოს დაყენებული. უოველივე ამაში დავრწმუნდებით შემდეგი ანალიზის შედეგად, სადაც განვიხილავთ ეპისტემურო მოდალობის ოთხ სახეს: ალბათობას, აუცილებლობას, დარწმუნებულობასა და დაურწმუნებლობას. ასევე ვახდენთ ეპისტემური მოდალობის გამომხატველ საშუალებათა შეპირისპირებას ინგლისურ და ქართულ ენებში და შეგძლიოთ აგვეგო რამდენიმე სქემა რომელიც კვლევის შედეგებს ასახავს.

## §1. ალბათობის გამომხატველი მოდალობა

ალბათობის გამომხატველი მოდალური მნიშვნელობა გამოხატავს რეალობის ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშანს შორის კავშირის ეპისტემურ შეფასებას, დაფუძნებულს მოსაუბრის ვარაუდზე, რომ არსებობს კონკრეტული კავშირის შესაძლებლობა. ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობისაგან განსხვავებით, ალბათობის შეფასება არაა დაფუძნებული აშკარა ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, არამედ იგი ეყრდნობა რეალობის არასრულ ცოდნას. გამოთქმის სემანტიკური ინვარიანტი ვარაუდის მოდალური მნიშვნელობებით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: „იქნედან გამომდინარე, რაც ვიცით, შეიძლება წარმოვიდგინოთ რომ...“.

მოდალური ზმა may გამოხატავს „ფაქტობრივ შესაძლებლობას“ - factual possibility - რეალობის ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის განხორციელების ალბათობას (ლიჩი 1974: 75):

The road may be blocked=

It is possible that the road is blocked=

Perhaps the road is blocked. (ლიჩი 1974: 76)

შეიძლება გზა გადაღობილია.

მოდალური ზმა can გამოხატავს მოქმედების ზოგად ალბათობას, რეალობის ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც დამოკიდებულია ობიექტის თვისებებზე და ხასიათზე (ზოგიერთ ავტორს, მაგალითად, პალმერს მოცემული მნიშვნელობა შინაგან ან დინამიურ მოდალობად მიაჩნია).

The road can be blocked=

It is possible for the road to be blocked=

It is possible to block the road.

შეიძლება გზა გადაღობილია.

Can-not გამოხატული ფრაზა გამოხატავს ალბათობას კავშირის განხორციელების საერთო ობიექტსა და ნიშანს შორის. May-not გამოხატული ფრაზები უფრო კონკრეტულად ელერს და ეხება ზოგიერთ კონკრეტულ სიტუაციას (პალმერი 1976: 43).

ეპისტემური can და may შეიძლება შეუერთდეს სხვადასხვა სახის ინფინიტივს, მაგალითად: განგრძობითი (Continuous), სრული (Perfect), ვნებითი (Passive), რაც არ არის დამახასიათებელი მოდალურ ზმნათა სხვა მნიშვნელობებისათვის, მაგალითად, ნებართვისა და ობიექტური შესაძლებლობის მნიშვნელობებისათვის. ასეთი სახის ინფინიტივის შეთანხმება ინფინიტივის სრულ დროსთან შეიძლება გამოიყენებოდეს მოდალური ზმნის ეპისტემური მნიშვნელობით.

I have some washing here- not very much \_ but you are welcome to it. Next week there may be more. (Th. Dreiser)

აქ ცოტაოდენი თეორეული დაგროვილა და წაიღეთ, იქმთა კვირას, ალბათ, უფრო მეტი იქნება.

could და might გამოიყენება ჰიპოთეტურ გამოთქმათა გამოსახატავად, როგორც კავშირებითი კილოს ფორმა არარეალურ პირობებში:

If I could have offered marriage and a settlement everything would have been easy. ( G. Green)

რომ შემძლებოდა მისი ხელის თხოვნა, მაშინ უკელაფერი იოლად ჩაივლიდა.

აწმეო დროის კონტექსტში ეს ფორმები გამოხატავენ ალბათობას, მოსაუბრის დარწმუნებულობის ხარისხს ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშანს შორის კავშირისას.

"You might have been killed" He said. "It wouldn't have been honourable."(G. Green)

იქნება მოეკალით, – მაშინ ჩემი მხრით უსინდისობა იქნებოდა.

can და may-ის უარყოფითი ფორმები გამოხატავენ სხვადასხვა მნიშვნელობებს, პირველი გამოხატავს შემთხვევის უარყოფით ალბათობას, მეორე - უარყოფით მოვლენათა ალბათობას. სხვა სიტყვებით may not შემთხვევაში უარყოფილია მოდალური მნიშვნელობის ალბათობა, can not შემთხვევაში - მოვლენები, რომლის შესახებაც გამოითქმება ვარაუდი:

He can't be working at this time=It is impossible that he is working;

He may not be working=It is possible that he is not working.

I may not be as strong as I think. (E. Hemingway)

იქნება ძალა იმდენი აღარ შემწვდეს, რამდენადაც გული მერჩის.

I can't afford to take the care of myself that he does. (J. Galsworthy)

მე კი არ შემიძლია საკუთარ თავზე ასე ზრუნვა.

კითხვით წინადადებაში მოდალური ზმნა can გამოიყენება ნებისმიერი სახით ინფინიტივთან შეთანხმებაში. უარყოფით წინადადებას can მოდალური ზმნით შეიძლება პქონდეს დამატებით ემოციური ელეფერი იმისა, რომ სჯეროდეს ვარაუდის:

I can call you Tom, can't I? (G. Green)

ხომ შემძღვიდია თომასი დაგიძახოთ?

მოდალური ზმნის can და may - ს შეთანხმება პერფექტულ ინფინიტივთან გამოხატავს ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის ალბათობას წარსულში, ე.ი. აფასებს მოვლენათა ალბათობას და არა ალბათობის ხარისხს, რომელიც უსწრებს გამოთქმის მომენტს. აქ უფრო ხშირად გვხვდება მოდალური ზმნა may.

You mean you think she might have laid a trap for us? (R. Bradbury)

ფიქრობ მახეს დაგვიგებდა?

I think he was a postmaster, but he may have been the Mayer. (G. Green)

ვფიქრობ, ფოსტმაისტერი იყო, მაგრამ შევძლო მერიც ყოფილიყო.

It couldn't have been the case of poisoning for instance? (A. Chrisitie)

ეს მოწამვლის შემთხვევა კურ იქნებოდა.

ალბათობის ეპისტემური მოდალობის გამოხატვა არის მოდალური ზმნა may-ის მთავარი მნიშვნელობა, მაშინ როდესაც can-თვის ის მეორებარისხოვანია. როგორც მაგალითებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, მეტყველებაში may-ს გამოყენების სიხშირე 6-ჯერ აღემატება ეპისტემური can-ის სიხშირეს, მიუხედავად იმისა, რომ may-ის გამოყენება თხრობით წინადადებებში შეზღუდულია. ორივე მოდალური ზმნა ვრცელდება კომუნიკაციის სხვადასხვა სისტემაში ყველა ტიპის ურთიერთობისას, თუმცა შესამჩნევია ამ ზნმათა სიჭარბე უფროსი თაობის მეტყველებაში ვარაუდის გამოხატვისას. ახალგაზრდებისა და ბავშვების მეტყველებაში ეს ზნები თითქმის არ გამოიყენება, ვარაუდი გადმოიცემა მოდალური სიტყვებით (ბელიაევა 1985: 135).

მოდალური სიტყვები სასაუბრო მეტყველებაში ეპისტემური მოდალობის ვარაუდის (ალბათობის) გამოხატვის გავრცელებული საშუალებაა. ხშირია ინგლისური მოდალური სიტყვების probably, perhaps გამოყენება, რომელიც მეტყველებაში 5-6-ჯერ აღემატება ერთად აღებულ maybe, possibly, presumably ინგლისურ მოდალურ სიტყვებს.

Probably უფრო ხშირად გვხვდება მედიალურ პოზიციაში: აზრობრივ ზმნათა წინ, დამხმარე ან მოდალურ ზმნათა შორის, დამაკავშირებელი ზმნის

შემდეგ, სახელობითი ნაწილის წინ. შეიძლება ასევე მისი აბსოლუტური გამოყენება:

You figured most of them would probably marry dopey guys. (J. Salinger)

მეტი წილი ალბათ ვიდაც შტერებს მისთხოვდება.

The salesman probably just thought she was a regular girl when she bought it. (J. Salinger)

ნოქარმა ალბათ იფიქრა, ჩვეულებრივი გოგოაო.

Perhaps ძირითადად გვხვდება საწყის პოზიციაზე და მთელ პრეპოზიციას ანიჭებს სავარუდო და არარეალურ კვალიფიკაციას. ხშირად კონტექსტში გვხვდება სხვა ეპისტემური მოდალური მოდიფიკატორები.

მოდალური სიტყვა perhaps იშვიათად გვხვდება ბოლო ან მედიალურ პოზიციაზე:

From some far source, perhaps some old German ancestors, she has inherited an understanding and appreciation of all this. (Th. Dreiser)

არავინ უწყის, საიდან, აქნებ, თავისი გერმანელი წინაპრებიდან დაჰყვა ჯენის ყოველივე ამის გაგებისა და შეფასების უნარი.

Opium makes you quick-witted – perhaps only because it calms the nerves and stills the emotions. (G. Green)

ოპიუმის მოწევის შემდეგ საზრიანი ხდება კაცი, ალბათ იმიტომ, რომ იგი ნერვებს ამშვიდებს და ვნებას აყენებს.

უფრო დამახასიათებელია მათი გამოყენება თავისუფალ რეგისტრში კომუნიკანტებს შორის თანასწორი ურთიერთობისას.

მოდალური სიტყვები perhaps და probably სემანტიკურად ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თუმცა მათ აქვთ დისტრიბუციის სხვადასხვა მოდელები. ჩვენს მიერ მოძიებულ მაგალითებში perhaps-ის გამოყენების 90% გვხვდება წინადაღების დასაწყისში, probably - წინადაღების შეაში.

Maybe მსგავსია perhaps-ის მნიშვნელობისა, მაგრამ, ჩვენს მიერ საკვლევ მასალაზე დაკვირვების შედეგად მასთან შედარებით, ის 5-ჯერ ნაკლებად გამოიყენება:

Maybe he has been hooked before and he remembers something of it. (E. Hemingway)

აქნებ სხვა დროსაც წამოეგო ანგესს და ახლაც ახსოვს.

როგორც მოდალური სიტყვა, possibly გამოიყენება მედიალურ და საწყის პოზიციაზე, ხოლო მოდალური ნაწილაკის ფუნქციით can და may-ისთან ერთად წინადაღებაში აძლიერებს დაურწმუნებლობის მნიშვნელობას:

Possibly your friends wouldn't appreciate the fact. (A. Cronin)

შესაძლოა შენმა მეგობრებმა არც დააფასოს უოველივე ეს.

ვარაუდი გადმოიცემა მოდალური კონსტრუქციებით to be/not to be likely, რომელიც ნაწილია Nominative+Infinitive Construction. ამ მოდალურ კონსტრუქციათა გამოყენება ოფიციალურ რეგისტრში შეზღუდულია.

The parish is not likely to quarrel with him for the right to keep the child. (P. Benchly)

მრევლი ვერ შეედავებოდა მას ბავშვის რჩენის გამო.

"We will dismiss the theory /.../ and consider what is likely to have become of it". (A. Christie)

ის უარყოფს თეორიას და აწონ-დაწონის, თუ რა გამოვიდოდა მისგან.

ვარაუდის გამომხატველი მოდალური ფრაზები ეპისტემური მოდალური მოდიფიკატორების მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს და მასში შედის ორწევრიანი კონსტრუქციები "I suppose" – ტიპისა, ზმნა - სახელობითი სიტყვათშეთანხმებები როგორიცაა to be possible, შეთანხმება in my opinion ტიპისა, და ასევე მოელი რიგი არსებითი სახელისა და გერუნდივის შეთანხმებები: it looks like+Gerund, there is a possibility; supposing that...

მოდალური ფრაზები მნიშვნელოვნად განსხვავდება მეტყველების რეგისტრებსა და კომუნიკაციებს შორის ნებისმიერი ურთიერთობებისას. ამათგან ნაწილი სტილისტურადაა მარკირებული. ასე რომ, მოდალური ფრაზები I assume, I presume, I gather და სხვანი დამახასიათებელია კომუნიკაციის ოფიციალური რეგისტრისათვის. ბელიაევა თვლის, რომ ეს ფრაზები გვხვდება თანამდებობრივად და ასაკობრივად უფროს პირთა მეტყველებაში. (ბელიაევა 1985: 140)

ზოგიერთი მოდალური ფრაზა მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. და იხმარება ფამილარულ რეგისტრში. მაგალითად, მოდალური ფრაზა I reckon How are you, Benah? - Oh, I'm all right, I reckon. (J. Cooper)

როგორ ხარ? - კიმედოვნებ კარგად.

უფრო ხშირია მოდალური ფრაზების გამოყენება ორწევრა წინადადებებში, რომელიც ძირითადად ეხება პროპოზიციას მთავარ წინადადებაში. ყველაზე ხშირად გამოყენებული მოდალური ფრაზებია: I think, I suppose, I guess.

I think შეიძლება გამოვიყენოთ თხრობით წინადადებაში როგორც ხაწყის, ასევე ბოლო პოზიციაზე:

I suppose he thought she could find that out for herself. (S. Maugham)

ალბათ იფიქრა, ამას თვითონაც გაიგებდაო და აღარ მოსწერა.

ზმნა think-ის წარსული ფორმა აღნიშნავს მოსაუბრის დიდ ეჭვს გამოთქმულ ვარაუდში:

I thought maybe he might know about the ducks. (I. Salinger)

ვიფიქრო, იქნებ ამან მაინც იცოდეს იმ იხვების ამბავი – მეოქი.

ფრაზა I suppose თანაბრად გამოიყენება როგორც საწყის, ასევე ბოლო პოზიციებზე თხრობით და ზოგჯერ კითხვით წინადადებებში, რომელებსაც წინადადება - მტკიცების ფორმა აქვთ. ასევე შესაძლებელია ასევე ზმნის უარყოფითი ფორმაც.

He'll stay with me too, I suppose, the old man thought and he waited for it to be light. (E. Hemingway )

"ვფიქრობ არც თევზი მომეშვება", – გაიფიქრა მოხუცმა და გათენების ლოდინს შეუდგა.

I guess გამოიყენება საწყის და ბოლო პოზიციებში, რაც გამონათქვამს აძლევს ეპისტემურ შეფასებას. იგი დამახასიათებელია თავისუფალი რეგისტრის კომუნიკაციისათვის იდენტური სტატუსის მქონე კომუნიკანტებს შორის და ამის შედეგად მას აქვს ზუსტი სტილისტური და სოციალურ-ლინგვისტური მარკირება.

They are all right, I guess - but it doesn't appeal to me. (J. Salinger)

ვფიქრობ ყველანი კარგად არიან მაგრამ, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს.

მოდალობის პროტოტიპი ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი კვლევის საგნად იქცა. მისი მრავალმხრივობის გამო სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების წარმომადგენლები (პალმერი, ფონ ვრაიტი, ლინი და სხვანი) არაერთგვაროვნად განსაზღვრავენ მოდალობის ცნებას. ჩვენი მიზანია გადმოვცეთ ორივე (ქართულ და ინგლისურ) საკვლევ ენას თუ როგორ შესწევს უნარი სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით გადმოსცეს მოდალური ნიუანსი და შეფერილობა.

თითოეულ ტიპში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სახეობა. მაგალითად, ბრძანებითი წინადადება გამოხატავს არა მარტო საკუთრივ ბრძანებას, არამედ თხოვნას, რჩევას, გაფრთხილებას, მიწვევას . . .

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია ნაშრომში თვალნათლივ წარმოვაჩინოთ მოდალობის კატეგორია მისი კონსტიტუციურებითურთ თრივე ენაში. კვლევის შემდგომ საფეხურზე აუცილებლად მიგვაჩნია გამოვავლინო ინგლისურ და ქართულ ენაში მოდალობის გამომხატველი საშუალებები. ამ

მიზნით, განვიხილეთ ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა შემოქმედებაში მოდალობის შემცველ წინადაღებათა ქართული თარგმანები.

ინგლისური მოდალური ზმნის may\_ის ძირითადი მნიშვნელობაა ვარაუდის გამოხატვა. მაგ:

You may be wanting an exit visa. (G. Green)

შეიძლება ვიზა დაგჭირდეს აქედან წასასვლელად.

If you can hold out with no more help than we got two days ago, it is, one may say a victory. (G. Green)

თუ იმ მაშველი ძალებით გავძლებთ, ამ ორი დღის წინ რომ მოგვივიდა, შეიძლება ითქვას, რომ გავიმარჯვებთ.

I may not be as strong as I think. (E. Hemingway)

ოქნებ ძალა იმდენი აღარ მომდევს, რამდენადაც გული მერჩის.

I may think of something, you go to bed. (Th. Dreiser)

ოქნებ, მე თვითონ მოვისაზრო რამე. ყველანი წადით.

I have some washing here – not very much – but you are welcome to it. Next week there may be more. (Th. Dreiser)

აქ ცოტაოდენი თეთრეული დაგროვდა და წაიღეთ, იქითა კვირას, ალბათ, უფრო მეტი იქნება.

როგორც მასალამ გვიჩვენა, მოდალური ზმნა may სხვადასხვა კონსტრუქციების საშუალებით შეიძლება გამოხატავდეს:

1. ნებართვის თხოვნას კონსტრუქციით may smb do smth?

May I make your pipe? She asked. (G. Green)

– ჩიბუხი გაგიმზადო? – მკითხა მან.

May I take the cast net? ( E. Hemingway)

შეიძლება ბადე წავიდო?

2. ნების დართვას, რომელიც გამოიხატება კონსტრუქციით you may do smth:

You may as well wait upstairs – I said. . ( G. Green)

ზემოთ დაუცადე – ვუთხარი მე.

You may move now. ( G. Green)

შეგიძლია წახვიდე.

3. აკრძალვას კონსტრუქციით you may not do smth:

You may not take Phuong with you. ( G. Green)

ფუონგს თან ვერ წაიყვან.

მოდალური ზმნა can ინგლისურ ენაში გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელობით. საინტერესოა როგორ გადმოიცემა ეს მნიშვნელობები ქართულ ენაში.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ძირითადი მნიშვნელობაა რაიმეს მისაღწევად გონიერივი, ფიზიკური ან გარკვეული მდგომარეობრივი შესაძლებლობა .

I cannot describe the extraordinary callousness with which he made this reply. ( S. Maugham)

არ შემიძლია გადმოგცეთ, თუ როგორ უგულოდ იყო ნათქვამი ეს სიტყვა.

I can always borrow two dollars and a half. ( E. Hemingway)

მე უოველოვის შემიძლია ვისესხო ორ-ნახევარი დოლარი.

Oh, yes sir, he's around now, although he can't go out just yet. ( Th. Dreiser )

— დიახ, სერ, ხანდახან დგება, თუმცა გარეთ გასვლა ჯერ არ შეუძლია.

I can't afford to take the care of myself that he does. ( J. Galsworthy )

მე კი არ შემიძლია საკუთარ თავზე ასე ზრუნვა.

მოდალური ზმნა can ასევე გამოხატავს ნებართვის თხოვნასა და აკრძალვას:

Can I go out and get sardines for you for tomorrow? ( E. Hemingway )

შეიძლება წავიდე და სახვალიოდ სარდინები დაგიჭირო?

Can I sit with you for a little? ( G. Green)

შეიძლება ცოტა კიდევ დავრჩე თქვენთან?

If you can get him into my car . . . ( G. Green )

ჩემს ავტომობილში რომ ჩასვამდეთ . . .

Can you rule me out? ( G. Green )

შეგიძლიათ არ მომიხსენიოთ?

You can't do that. You don't ever know his name. ( G. Green )

არ შეიძლება სახელიც კი არ იციოთ მაგისი.

ასეთი სახის მაგალითების შედარებისას ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ მთარგმნელის როლი, როგორ გადმოგვცემს ინგლისურიდან ქართულად და რომელი მოდალური ექვივალენტი მიაჩნია შესაბამისად.

I could consider the matter more calmly. ( S. Maugham)

შემეძლო უფრო მშვიდად განმექანიზა ყველაფერი.

You could call it a regular war. (G. Green)

ამას შეიძლება კაცმა ნამდვილი ომი უწოდოს.

If I could have used a bat with two hands I could have killed the first one surely. Even now, he thought. (E. Hemingway)

ორივე ხელით რომ შეიძლებოდა პეტის დაჭერა, პირველს აუცილებლად მოვკლავდი ამ სიბერეშიაც კი.

The boy was asleep on a coach in the first room and the old man could see him clearly with the light that came in from the dying moon. (E. Hemingway)

ბიჭს დასაკეც საწოლზე ეძინა პირველ ოთახში და მოხუცს შეეძლო კარგად დაეწია მძინარე მცხრალი მთვარის შუქზე.

I could feel a terrific lecture coming on. (J. Salinger)

ვგრძნობდი, რომ გულისამრევი ქადაგება დაიწყებოდა.

Nor with such a man could you expect to appeal to conscience to be effective. (S. Maugham)

არა, ასეთ ადამიანთან სინდის ნამუსზე ლაპარაკი კედლისათვის ცერცვის შეყრა იქნებოდა.

გარაუდს გამოხატავს ასევე might მოდალური ზმნა, რომელიც ქართულ ენაში გამოიხატება მოდალური ნაწილაკებით იქნება, შეიძლება:

I might have turned out well. (E. Hemingway)

იქნება, საქმე უკეთესად შემობრუნდეს.

“You might have been killed” he said. “I wouldn’t have been honorable.” (G. Green)

იქნება მოეკალით, — მაშინ ჩემი მხრით უსინდისობა იქნებნოდა.

Or he might have been killed by the Vietnamese surete — it’s been known. (G. Green)

შეიძლება ვიეტნამელთა სურეტემაც მოკლა — ასეთი ამბებიც ხდება ხოლმე!

There might be a big one around that school, he thought. (E. Hemingway)

შესაძლოა, სადმე აქ, თევზების ამ ქარავანის ახლოს, ცურავს ჩემი დიდი თევზიც.

I rack my brains to remember idiosyncrasies which might lend them vividness. (S. Maugham)

დიდხანს ვიქექებოდი გონიერაში, იქნება რაიმე ისეთი დეტალი გამომრჩა, რომელიც ჩემს პერსონაჟებს გააცოცხლებდა-მეთქი.

კონსტრუქცია might მოდალური ზმნის გამოყენებით შეიძლება გამოხატავდეს თხოვნას:

You might bring me the paper Mary. There's a good girl. ( W. Faulkner)

ის ასევე გამოხატავს საყვედურს:

He might have gone with us. Then we would have that for all of our lives. (E. Hemingway)

ხომ შეიძლებოდა გამოგვყოლოდა, სიკვდილამდე გვემახსოვრებოდა.

ქართულ ენაში ასევე მოდალობის გამომხატველია ისეთი ზმნები და კონსტრუქციები, როგორიცაა: კვონები, კტერი, შესაძლოა, მგონი, მე მგონია, არა მგონია და სხვა.

She probably wanted to get off the subject of Romeo and Juliet. (J. Salinger)

ატყობა, სხვა რამეზე უნდოდა ლაპარაკი გადაეტანა.

I suppose he was new to the country and thought the hostesses of the Grand Monde were whores. (G. Green)

ვარნებ ახლადჩამოსული უნდა ყოფილიყო და ეგონა, “გრანდ მოდში” ჟველა ქალი მებავიაო.

Maybe it will open with the sun, he thought. (E. Hemingway)

შეიძლება მზისგან ამოძრავდეს, — გაიფიქრა მან.

Perhaps it was my fault in not training that one properly. (E. Hemingway)

შესაძლოა, დამნაშავე ვარ, რომ მარცხენა ხელს თავის დროზე ვერ გასწავლე მუშაობა, როგორც საჭირო იყო.

It is more probably due to a desire to come to the point, to a good practical sense deciding at once that hors d'oeuvres are but poor things. ( J. Galsworthy)

უფრო სწორი ის უნდა იყოს, რომ საერთოდ, ფორსაიტებს, უშუალოდ მთავარი საქმის დაწყება უყვართ და არ სჩვევიათ ისეთ წვრილმანსა და არარაობაზე დროის დაკარგვა, როგორიც საუზმეა.

Yeomen – I suppose very small beer. ( J. Galsworthy)

იომენები, ჩემი ახრით, ვიდაც უჯიშო, ბოგანო ტუტრუცანები უნდა ყოფილიყვნენ.

I suppose it'll be June keeping him. ( J. Galsworthy)

მე მგონია ჯუნის მიზეზით უნდა იყოს.

The kind of luck I have, I'd probably join one with all the wrong kind of monks in it. ( J. Salinger)

იმისთანა იღბალი მაქას, რომ ყველაზე საშინელ ბერებთან მოვხვდები.

She probably wouldn't have told me anyway. ( J. Salinger)

სულერთია, მაინც არ მიპასუხებდა.

საერთოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ვარაუდის გამოხატვისას ინგლისურ ენაში გრამატიკულ დონეზე დომინანტურ ელემენტად ითვლება მოდალური ზმნა may, ლექსიკურ დონეზე ხშირია როგორც მოდალური სიტყვები, ასევე მოდალური ფრაზები. მოცემული მიკროველის ყველაზე ხშირი ერთულებია მოდალური სიტყვები perhaps, probably და მოდალური ფრაზები I think, I suppose.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დაგადგინოთ, თუ რომელი ქართული მოდალური ელემენტები რა დოზით შეესაბამება თითოეულ ინგლისურ მოდალობის გამომხატველ საშუალებას.

მაგალითად: განხილული ასი მაგალითიდან may -ს ქართულ თარგმანებში მთარგმნელთა 40% იყენებს "შეიძლება"-ს, 40% – მოდალურ ელემენტს "იქნებ" და 20% მოდალურ ნაწილაკს "ალბათ".

Might (მოძიებული 60 მაგალითის საფუძველზე) ქართულ თარგმანებში 50% გვხვდება "იქნებ", 30% - "შეიძლება" და 20% - "ვფიქრობ".

Can (could) (მოძიებული 94 მგალითის საფუძველზე) თარგმანის 80% გამოყენებულია ზმნა "შეძლება", ხოლო დანარჩენ შემთხვევებში კავშირებითი კილოს ფორმები გამოიყენება.

Probably (35 მაგალითის საფუძველზე) გადმოიცემა როგორც "ალბათ", perhaps (38 მაგალითის საფუძველზე) - თანაბრად გვხვდება "იქნებ" და "ალბათ" ნაწილაკები, maybe - "იქნებ" (25 მაგალითის საფუძველზე) და possibly (18 მაგალითის საფუძველზე) -ის ნაცვლად "შესაძლოა".

კვლევის საფუძველზე ვასკვნით, რომ ინგლისურ ენაში გარდა კილოს კატეგორიისა შესწავლილი ენობრივი ფენომენს გამოხატავს მოდალური მოდიფიკატორები: მოდალური სიტყვები, მოდალური ნაწილაკები, მოდალური ფრაზები, მოდალური ზმნები და სინტაქსური კონსტრუქციები მოდალური მნიშვნელობებით. ხოლო ქართულ ენაში გარდა კილოს მორფოლოგიური კატეგორიისა მოდალობის გამოხათვას ემსახურება ბივერბალური სინტაქსური კონსტრუქციები, მოდალური ზმნები, მოდალური ნაწილაკები: უნდა, ლაშის, თითქოს, ვაითუ, უგებ, იქნებ, ვინძლო და ა. შ. ჩვენს მიერ განხილული

ალბათობის მოდალობის გამოხატვის საშუალებებს ცხადყოფს წარმოდგენილი სქემა:

სქემა №2

### ალბათობის გამომხატველი მოდალობა ინგლისურ ენაში

მოდალური ზმნები	მოდალური სიტყვები	მოდალური ფრაზები
may	probably	I suppose
can	perhaps	to be possible
could	maybe	I guess
might	possibly presumably	I assume

სქემა №3

### ალბათობის გამომხატველი მოდალობა ქართულ ენაში

მოდალური ნაწილაკები	მოდალური სიტყვები	მოდალური ფრაზები
ალბათ	შემიძლია/შემეძლო შეიძლება შეუძლია შესაძლოა	მე მგონი(ა) ხომ შეიძლებოდა ჩემი ახრით
იქნებ	ეტყობა ვგონებ ვვიქრობ	

ალბათობის გამომხატველი მოდალური საშუალებები  
ინგლისურ და ქართულ ენებში

მოდალური საშუალებები	ინგლისური ენა	ქართული ენა
მოდალური ზმნები	may can could might	
მოდალური ნაწილაკები		ალბათ იქნებ
მოდალური სიტყვები	probably perhaps maybe possibly presumably	შემიძლია/შემეძლო შეიძლება შეუძლია შესაძლოა ეტყობა გზონებ ვფიქრობ
მოდალური ფრაზები	I suppose to be possible I guess I assume	მე მი არ ვინი(ა) ხომ შეიძლებოდა ჩემი აზრით

## §2. ლოგიკური აუცილებლობის გამომხატველი მოდალობა

ლოგიკური აუცილებლობის მოდალობა დაფუძნებულია ლოგიკურ დასკვნაზე, უტყუარ ფაქტებზე, რაიმეს წინასწარ ცოდნაზე, თვითმხილველის მტკიცებულებებზე. ლოგიკური აუცილებლობის გამომხატველი მოდალური გამოთქმები შეიძლება შევავსოთ ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვით. ასე, მაგალითად გამოთქმას "He must be at home" (ის სახლში უნდა იყოს) შეიძლება წინ უსწრებდეს აზრთა ასეთი წეობა: დღეს შაბათია, არა სამუშაო დღე, გვიანია, წეობიანი დღეა, ის სახლში უნდა იყოს". გავეცნოთ აუცილებლობის გამომხატველ მოდალურ საშუალებებს.

**Must** გადმოცემს დასკვნას, რომელსაც აკეთებს მოსაუბრე რეალური ფაქტების საფუძველზე, თუმცა ეს დასკვნა არაა საკმარისი ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის არსებობის დამტკიცებისათვის. ამ თვალსაზრისით აქ გაკრთებული ყველაზე „ძლიერი" დასკვნაც კი „სუსტია" რეალობის მოდალობასთან შედარებით, რომელიც გამოიხატება თხრობითი კილოთი. არ შეიძლება დავეთანხმოთ აზრს, რომ must გამოხატავს დარმუნებულობას. ძირითადი დასკვნა წვეულებრივ არის გამოტანილი ან ადვილად ჩანს კონტექსტიდან: [პლიდეი 1970: 329]

I felt instinctively that the hour must be chosen with delicacy. ( S. Maugham )

ვგრძნობდი, რომ ნახვის დრო გულდასმით უნდა შემერჩია.

**That must be** the story of innumerable couples, and the pattern of life it offers has a homely grace. ( S. Maugham )

**ასეთია** უამრავი ოჯახის მიერ გავლილი გზა და ასეთი ცხოვრება არ არის მოკლებული თავისებურ ეშხება და მომხიბვლელობას.

მოსაუბრის დასკვნა შეიძლება დაუუფუძნოს არა კერძო დაკვირვებებს, არამედ სხვის მიერ წარმოდგენილ მტკიცებებსაც:

"I must get out of this now pretty soon", was the sturdy German's regular comment. ( Th. Dreisre)

— როგორმე **უნდა** დავაღწიოთ თავი ამ უბედურებას, — იტყოდა ხოლმე ჯიუტი გერმანელი.

must-ით გამოხატული დასკვნა შეიძლება ეპუთგნოდეს აწმყოსა და ნამყოსაც, თუმცა თვითონ მოდალური ზმნა არ იცვლის ფორმას.

მოვლენებისადმი მიღომა განსაზღვრული ინფინიტივის ფორმით: Continuous-თან და Indefinite Infinitive - თან შეთანხმება გამოხატავს მოვლენებზე მეტყველების მომენტთან თანადროულ დასკვნას. პალმერის მტკიცებულებით must არ გამოხატავს მომდევნო მოვლენებთან დაკავშირებულ მნიშვნელობას. (პალმერი 1979: 44).

Let's go in you must be getting cold. (R. Bradbury)

შინ შევიდეთ, ალბათ შეგცივდათ.

პერფექტული ინფინიტივი მიანიშნებს იმ მოვლენებთან კავშირს, რომელიც წინ უსწრებს მეტყველების მომენტს:

It must have been very difficult to explain to Robert. ( S. Maugham)

წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდით, როცა რობერტს გაუმხილეთ ქველაფერი.

He must have gone off last night in a trishaw \_ or in somebody else's car. ( G. Green)

წერებლ ველო-რიქშით თუ წავდა, ან სხვისი ავტომობილით.

He must have been started. (I. Steinbeck)

გზას გაუდგებოდა.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, მოდალურ ზმნა must-ის ძირითადი მნიშვნელობაა აუცილებლობის გამოხატვა. მის ეკვივალენტად შეიძლება ჩაითვალოს have to. ჩვენი მიზანია გამოვავეთოთ მათი ქართული ექვივალენტები.

I must thank him. ( E. Hemingway)

მადლობა უნდა ვუთხრა.

I must give him something more than the belly meat then. ( E. Hemingway)

მეტი უნდა მივცე, ერთი რბილი ნაჭერი არ იქნება საკმაო.

No journalists were allowed, no cables could be sent, for the papers must carry only victories. ( G. Green)

აქ არც კორესპოდენციებს უშვებდნენ და არც დეპეშების გაგზავნის ნებას რთავდნენ, რადგან გაზეთებმა ხომ მხოლოდ გამარჯვებები უნდა გამოაქვეყნონ.

So when I told old Spencer I had to go the gym to get my equipment and stuff, that was a sheer lie.(J. Salinger)

მოხუც საენსერს რომ ვუთხარი, ფიზკულტურის დარბაზში **უნდა** შევიარო-  
მეოქი, ესეც მტკნარი სიცრუე იყო.

მოდალური ზმნა must გამოხატავს როგორც ბრძანებას, ასევე აკრძალვას:

You **must go** right off and get some more. (Th. Dreiser)

**გასწი** ახლავა და კიდევ მოიტანე!

“ I will go now,” he said, again addressing Gerhardt, “ but you mustn’t think that I am leaving this matter for good.” (Th. Dreiser)

მივდივარ, - განაგრძო ბრენდერმა და გერბარდტს მიუბრუნდა, -  
მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამ საქმეს ასე დაგტოვებ.

“ You **mustn’t stare** at people when they pass, “ cautioned her mother wisely. (Th.  
Dreiser)

- **ნურავის შეაჩერდები**, არ ვარგა, - დაარიგა დედამ.

ინგლისურ ენაში მოდალური ზმნა must ასევე გამოხატავს ეჭვს, ქართულში  
კი ამ თვალსაზრისით გვხვდება **იქნებ**, **ეგებ**, **ალბათ** და სხვა მოდალური  
ნაწილაკები:

It **must be** very strange in an aeroplane, he thought. (E. Hemingway)

თვითმფრინავიდან **ალბათ** ყველაფერი ერთობ უცნაურად ჩანს, - გაიფიქრა  
მან.

It **must have been** difficult to explain to Robert. (S. Maugham)

წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდით, როცა რობერტს გაუმხილეთ  
ყველაფერი.

The boy **must be** forty by now. (J. Galsworthy)

ბიჭი ახლა ორმოცი წლისა **იქნებოდა**.

Have to (have got to) ნაკლებად გამოიყენება ლოგიკური აუცილებლობის  
გამოსახატავად ინგლისური ენის ბრიტანულ ვარიანტში, თუმცა საკმაოდ  
გაგრცელებულია ამერიკულ ვარიანტში:

If **you've seen** all the old Frankenstein you've got to know all his jokes. (პალმერი 1979:  
46)

მოხუცი ფრანკენშტეინი **რომ გყოლოდა ნანახი**, ყველა მისი ოინი  
გეცოდინებოდა.

You've **got to** be joking.

**ალბათ** ხუმრობ.

Must და have to-ს შორის განსხვავება ახსნილია როგორც განსხვავება „ფაქტობრივ აუცილებლობასა“ და „თეორიულ აუცილებლობას“ შორის. (factual necessity; theoretical necessity)

Someone must be telling lies.

ვიღაც უნდა ტყუოდეს.

(It's impossible that everyone is telling the truth)

(შეუძლებელია, რომ ყველა ტყუოდეს)

Someone has (got) to be telling lies.

ვიღაცამ უნდა მოიტყუოს.

(It's impossible for everyone to be telling the truth). (ლიჩი 1974: 77)

(შეუძლებელია, რომ ყველა სიმართლეს ამბობდეს)

თუმცა ეს განსხვავება განვიტრალებულია სამეცნიერო სტილში.

Will შეიძლება იყოს კონკრეტული სიტუაციის ძიების შედეგი. ის ხშირად ატარებს „წინასწარმეტყველურ“, ხასიათსა ნუ ქარმოადგენს ვარაუდს:

**She'll be** with father in their room. (J. Galsworthy)

მამისთან ერთად იქნება თავიანთ ოთახში.

„ წინასწარმეტყველური “ წინადადებები მოდალური ზმნა will-ით შეიძლება იყოს კონკრეტული სიტუაციის ძიების ანალიზი.

It is my intention to do well by her, but perhaps it will be better to keep her away, at least for the present. ( Th. Dreiser)

მისთვის სიკეთე მინდა, მაგრამ, იქნებ, სჯობდეს, ერთხანს არ მოვიდეს, ყოველ შემთხვევაში, ამ დღეებში.

განუსაზღვრელი ან განგრძობითი ინფინიტივის შეთანხმება will-თან გამოხატავს პერფექტული ინფინიტივის შეთანხმებას იმ მოვლენებთან, რომელიც წინ უსწრებს მეტყველების მომენტს:

He will have arrived by now. ( G. Green)

ამ დროისთვის დაბრუნებული იქნება.

ხშირად will გამოხატავს დასკვნას, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტის ხასიათი. გამოიყენება ჩვეულებრივი მოვლენების აღსანიშნავად (habitual events). წინადადებები ატარებენ განზოგადებულ ხასიათს, რომელიც განპირობებულია არსებითი სახელის - ქვემდებარის გამოყენებით ერთგვარ მნიშვნელობაში:

Boys will be boys.

Oil will float on water.

Accidents will happen.

Will გამოხატავს მტკიცე ვარაუდს. Must ხშირად გამოხატავს დასკვნას ფაქტებზე და მოვლენებზე დაყრდნობით, will - მოსაუბრის მოცემული ცოდნის, ინფორმაციის შედეგად:

John will be in his office.

(ჯონი ოფისში იქნება) – რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი.

John must be in his office.

( ჯონი ოფისში უნდა იყოს) – მე ვხედავ შუქს მის ფანჯრებში.

ასეთი განსხვავდებიდან გამომდინარე, პალმერზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ:

John will be in his office now. Yes, the lights are on, so he must be there. (პალმერი 1976:  
47)

ჯონი თავის ოფისში იქნება ახლა. დიახ, შუქი ანთებულია, ასე რომ იქ იქნება.

წინადაღებაში will-ის გამოყენება ეხება მომავალს, რომელიც რთულია.

Would will - ის შერბილებური ფორმაა და მისი გამოყენება მეტყველებაში მნიშვნელოვნად აღემატებას will-ის გამოყენებას, განსაკუთრებით ჩვეულებრივი მოქმედებისა და ქცევის გამოხატვისას:

Now the bulbs would be out in the square garden, and I didn't care a damn. (G. Green)

ახლა, ალბათ, გაიფურჩქებოდა ბადი, მაგრამ ამას არ დაგიდევდით.

Would შეიძლება გამოხატავდეს „ვარაუდს“ ცალკეულ შემთხვევებში აწმოსა და ნამყოში Perfect Infinitive -თან (პერფექტულ ინფინიტივთან) შეთანხმებაში:

I could not do her the injustice of supposing that so trifling a circumstance would have prevented her from giving them, but she was obstinate. (S. Maugham)

მე, რასაკვირველია, დავეჭვდი, რომ ისეთი უბრალო რამ, როგორც ქუჩის ხმაური და ტრანსპორტის მოძრაობაა, ხელს შეავსშლიდა ამ ამბის დაწვრილებით განსჯაში, მაგრამ მის უეტორფორდმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

She probably wouldn't have told me anyway. (J. Salinger)

სულერთია, მაინც არ მიპასუხებდა.

წარსულის კონტექსტში would არის will-ის წარსული დროის ფორმა და გამოხატავს ლოგიკური აუცილებლობის ეპისტემურ მნიშვნელობებს.

That did not necessarily mean that he would jump. But he might. (E. Hemingway)

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავდა, რომ ოქტომბერი აუცილებლად ამოცურდებოდა ზედაპირზე, მაგრამ ამოცურება მაინც შეძლო.

It appeared that when everything was settled he would be four or five hundred pounds out of pocket. (S. Maugham)

როგორც ირკვეოდა, სტრიკლენდს ოთხასი – ხუთასი გირვანქა მაინც უნდა ამოცაჭა საჭუთარი ჯიბიდან.

Ought to და should ორივე ეს მოდალური ზმნა გამოხატავს ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობის შესუსტებულ ფორმას, ე.ი. მოსაუბრის მიერ გამოთქმულ დასკვნას. აქეს დარწმუნებულობის ელფერი.

Our guests must be at home by now - მე ვაკეთებ დასკვნას, რომ ისინი გაემგზავრნენ ნახევარი საათის წინ, მათ ჰყავთ მანქანა და ცხოვრობენ აქედან რამდენიმე მილის დაშორებით.

Our guests ought to be at home by now - მე მოსაუბრე ვასტანი, მაგრამ მე არ ვიცი სწორია თუ არა დასკვნა, შეიძლება მათთვის ხელი შეეშალა რაიმე გაუთვალისწინებულ მდგომარეობას.

ეპისტემური should და ought ვარაუდობს, რომ მოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრი შეიძლება მცდარი იყოს:

It has never been moved, it ought to be in prime condition still, but I don't know, I can't tell. (J. Galsworthy)

ერთი მხრივ, ეპისტემური must, should და ought გამოხატავს ლოგიკურ დასკვნას მოსაუბრისათვის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

I knew I ought to have gone over myself. (S. Maugham)

მე თვითონ უნდა წავსულიყავო.

I feel that by dwelling on some trick of speech or some queer habit I should be able to give them a significance peculiar to themselves. (S. Maugham)

ვგრძნობდი, რომელიმე დამახასიათებელი გამოთქმა ან რაიმე უცნაური ჩვეულება რომ შემენიშნა, ჩემი გმირები უფრო შესამჩნევი და ხელშესახები გახდებოდნენ, ასე კი შპალერზე გამოხატულ ფიგურებს წააგავდნენ.

But today is eighty-five days and I should fish the day well. (E. Hemingway)

მაგრამ დღეს ოთხმოცდამეტე დღეა და კარგად უნდა ვითევზაო.

უარყოფით ფორმაში should და ought to გამოხატავს დასკვნას იმის, შესახებ რომ მოქმედება შეიძლება არ მოხდეს, ე.ი. ამ შემთხვევაში უარყოფილია მოვლენა და არა მოდალური მნიშვნელობა:

You shouldn't live with a man who doesn't smoke, Phuong. ( G. Green)

შენ ისეთ კაცთან არ უნდა იცხოვო, ფუონგ, რომელიც ოპიუმს არ ეწევა.

You oughtn't to have any difficulties getting the tickets. =It is unlikely that you will have any difficulties.

ეპისტემური should და ought to, როგორც წესი, გამოიყენება Indefinite, Continuous Infinitive - თან და აფასებს მოვლენას. პერფექტულ ინფინიტივთან შეთანხმება ვარაუდის მნიშვნელობით იშვიათია და წარმოადგენს ისეთ შემთხვევებს, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც წუხილის გამოხატვა იმ თემაზე, რომ რაღაც მოვლენა მოხდა (ან არ მოხდა) წარსულში:

She ought never to have married him. ( S. Maugham)

არა, არ უნდა გაჟყოლოდა ცოლად.

I knew I ought to have gone over myself. ( S. Maugham)

მე თვითონ უნდა წავსულიყავო.

Must-ისა და will-საგან განსხვავებით, ეპისტემურმა should და ought to-მ შეიძლება გამოხატოს ეპისტემური მნიშვნელობა კითხვით ფორმაში, თუმცა ასე-თი შემთხვევები იშვიათია:

Should there be any difficulty in getting tickets?

რაიმე სირთულეა ბილეთების შოვნაში?

საერთოდ კითხვითი კატეგორია, როგორც მაგალითებმა გვიჩვენა, არ შეესაბამება ლოგიკური აუცილებლობის ცნებას, თუმცა შეესაბამება ალბათობის მნიშვნელობას. იგივე ეხება უარყოფის კატეგორიას. ლოგიკური აუცილებლობის მოდალური მნიშვნელობის უარყოფა ხდება პრეპოზიციის უარყოფით მოდალურ ზმნებში, პრეპოზიციის უარყოფა შესაძლებელია მისი გამოვლენის შესაძლებლობის უარყოფის გზით, რის შედეგადაც ჩნდება მომდევნო ლოგიკური მოვლენა: უნდა იყოს=არ შეიძლება იყოს; არ უნდა იყოს=შეიძლება არ იყოს; არ უნდა იყოს=არ შეიძლება იყოს. will, must და would-ის უარყოფილთი მნიშვნელობის გამომხატველი ეპივალენტია მოდალური ზმნა can not:

He must be still in the office. - No, he can't be there;

They say he has left already.

ის ისევ ოფისში უნდა იყოს. – არა, იქ ვერ იქნება.

ამბობენ, რომ უპვე წავიდა.

მოდალური ზმების ought და should-ის უნარი გამოყენებული იქნეს უარყოფით და კითხვით ფორმებში, მიუთითებს მათ სიახლოვეს ალბათობის მოდალურ ზმნასთან და ზოგიერთ ლინგვისტს აძლევს მათი ალბათობის გამომხატველ მოდალურ მოდიფიკატორთა სარისხში განხილვის შესაძლებლობას (ლიჩი 1975: 131).

მოდალური კონსტრუქცია **be bound** ინფინიტივთან შეთანხმებით გამოხატავს ლოგიკურ დასკვნას, რომელიც გამომდინარეობს მდგომარეობიდან ან მოვლენათა მდგომარეობის საერთო ცოდნიდან must-ისაგან განსხვავებით, რომელიც არის მოვლენათა შესახებ რაიმე დასკვნის გამოხმატველი ახლანდელ დროში ან წარსულში, bound to აღნიშნავს მოვლენათა ლოგიკურ გარაუდს მომავალში.

If he travelled even approximately west, he was bound to hit somewhere on the coastline sooner or later. (A. Clark)

დაახლოებით დასავლეთით რომ წასულიყო, ადრე თუ გვიან ნაპირს შევახებოდა.

ეს მოდალური კონსტრუქცია ძირითადად ავტორთა თხრობაში გამოიყენება, სამეცნიერო მსჯელობაში.

იმ მაგალითებში სადაც ფორმა be bound to გვხვდება მათ უმეტესად ეპისტემური მნიშვნელობა აქვთ.

He has received such kind of notice that he is bound to act.

მან ისეთი შეტყობინება მიიღო, რომ ის იძულებულია იმოქმედოს.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი ზმები, რომლებიც გამოიყენება be bound to – სთან, დაკავშირებულია მომავალთან და ,უმეტეს შემთხვევაში, მოქმედებას გამოხატავენ. ეს უპირისპირდება must - ს, რომელიც იმ შემთხვევაში თუ მას მომავლის მნიშვნელობა ექნება, მისი აღქმა თითქმის ყოველთვის მოხდება როგორც დინამიური და არა როგორც ეპისტემური გაგებისა. პალმერს მოყავს მაგალითები, რომლებიც დინამიურად აღიქმება (პალმერი 1976: 45):

The government must act. It must make up its mind about priorities - offices or homes, housing estates or luxury buildings.

მთავრობამ უნდა იმოქმედოს. მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პრიორიტეტების - ოფისებისა თუ სახლების, საბინაო თუ ფუფუნების მშენებლობათა შესახებ.

Now I dined the day before yesterday with one of the leaders of the Labour Party whose name obviously must be kept quiet - I can't repeat it.

გუშინწინ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან ერთად ვისადილე რომლის სახელიც საიდუმლოდ უნდა შევინახო, ვერ გავიმეორებ.

ნათელია, რომ ამ წინადადებებს არ აქვთ ეპისტემური გაგება. ხოლო თუ მას ჩავანაცვლებოთ may მოდალური ზმნით, მაშინ ის ეპისტემურ მნიშვნელობას შეიძენს და მივიღებოთ წინადადებას: The government may act. წინადადება იცვლის მნიშვნელობას. ის იძენს ეპისტემურ თვისებებს და იგულისხმება "შესაძლებელია, რომ მთავრობამ იმოქმედოს".

Be bound to - ს must - ისაგან განსხვავებით არანაირი შეზღუდვა არ ახასიათებს;

Tom is bound to be with his friend in this situation.

ტომი იძულებულია მის მეგობართან იყოს ასეთ მდგომარეობაში.

ამ შემთხვევაში be bound to-ს გამოყენება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მოდალური ზმნა must წინადადების მცდარ ინტერპრეტაციას გამოიწვევს. მაშასადამე be bound to და must მნიშვნელობით იდენტურები არ არიან. მათ შორის არის განსხვავება. მაგალითად:

Ann's bound to be at home.

ანა აუცილებლად შინ უნდა იყოს.

Ann must be at home.

ანა შინ უნდა იყოს.

Be bound to უფრო დამაჯერებელია. მისი პერეფრაზი შეიძლება იყოს "სარწმუნოა, რომ ...". გარდა ამისა, იგი თითქმის არ ასახავს დასკვნას. მაგალითი ფრაზა be bound to- თი უფრო ნათელი იქნებოდა იმ კონტექსტში, სადაც დასმული იქნა შეკითხვა ანას შინაა თუ არაო.. ამ კითხვაზე მოპასუხე ცდილობს, რამდენადაც შეუძლია დაადასტუროს, რომ, ფაქტობრივად, ეს არის ერთადერთი დასკვნა კონკრეტულ სიტუაციაში.

Be bound to -ს მნიშვნელობა შეიძლება შესუსტებული იქნეს almost-ის საშუალებით:

What is almost bound to happen is, I shall go tomorrow.

რაც თითქმის აუცილებელია რომ მოხდეს, ჩემი ხვალ წაწევლაა.

როდესაც be bound to მომავალს ეხება, მაშინ მისი მნიშვნელობა ახლოს დგას მნიშვნელობასთან, "გარდაუვალია, რომ ...".

ეს ძირითადი განმასხვავებელი თვისებები ახასითებს be bound to -სა და must -ს, რას იქედან გამომდინარეობს, რომ დასკვნის გამოტანის უნარი უფრო ახლანდელი დროისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო გარდაუვალობა მომავლისათვის.

Naturally - ამ ჯგუფის გავრცელებული მოდალური სიტყვაა დამახასიათებელი არასავალდებულო რეგისტრის ურთიერთობისათვის კომუნიკანტებს შორის ახლო ფსიქოლოგიური დისტანციისას, აგრეთვე შინაგან მონოლოგში და არა კერძო - არაპირდაპირ მეტყველებაში. გამოხატავს ლოგიკურ მოგლენათა აუცილებლობას, დაფუძნებულს საერთო ნაცნობ მდგომარეობაზე, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია საზოგადოების სოციალურ ნორმებზე. მოვლენები, რომელიც ფასდება წინადადებაში, არ არის მოულოდნელი მოსაუბრისათვის, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე, და ასევე მსმენელისათვის.

Naturally - შეიძლება დაიკავოს წინადადებაში ნებისმიერი პოზიცია და შეიძლება მისი სრული გამოყენება მტკიცე პასუხის დროს. მას ქართულად შეესატყვისება - ნამდვილად, ჩვეულებრივ.

I felt a sort of sorry for him, in a way. I mean it isn't too nice, naturally. If somebody tells you don't brush your teeth. (I. Salinger)

რატომდაც შემებრალა. რასაკვირველია, არ არის კარგი როდესაც კბილების გაწმენდას აგიკრძალავე.

They naturally expect the worst of me because of my situation. (Th. Hardy)

ჩემი მდგომარეობის გამო, რა თქმა უნდა, უარესს მოელოდნენ.

Evidently გამოხატავს ლოგიკურ დასკვნას დაფუძნებულს დაკვირვებზე, აშკარა ფაქტებზე. ის გავრცელებულია ავტორთა თხრობაში, მეცნიერულ მეტყველებაში, იშვიათად, დიალოგში – კომუნიკანტებს შორის ფორმალურ ან ნეიტრალურ რეგისტრში. მას ქართულში შეესაბამება "აშკარად".

Evidently she noticed it, for she turned away her eyes.

აშკარად შეამჩნია, რადგანაც გამოიხედა.

Obviously - გამოხატავს წინა მოვლენებზე დაფუძნებულ ლოგიკურ დასკვნას, წინა მოვლენათა შეფასებაზე როგორც შედეგი ან ძიება ან დასკვნა,

დაფუძნებული უტყუარ მონაცემებზე. მეტყველებაში იშვიათად გამოიყენება და გვხვდება თხრობისას ან დიალოგში. სინტაქსური პოზიცია - აზრობრივი ზმის ან პრედიკატივის წინ შეიძლება გამოვიყენოთ ფაქტის მტკიცების სახით.

If he starts swimming off on his own account and can obviously give you at least forty yards in the hundred, where are you? (Th. Peacock)

თუ თვითონ გაცურავს და რა თქმა უნდა, შეძლებს ასიდან თრმოცი იარდის გაცურვას მაინც, შენ სად იქნები?

\_ No kidding! She is Chinese, for Chrissake?

\_ Obviously.

\_ რა ხუმრობაა. დმერთოჩემო, ის ჩინელია?

\_ რა თქმა უნდა.

მოდალური ფრაზები წარმოიქმნება ერთი მოდელით It is + მოდალური სიტყვა: It is obvious, It is evident და სხვა. მეტყველებაში შეზღუდულია მათი გამოყენება, ისინი ძირითადად ავტორის თხრობაში და მეტყველების მეცნიერულ სტილში გვხვდება:

It is evident that in a slightly changed context the verb has a different meaning.

ცხადია, რომ სხვადასხვა კონტექსტში ზმნა მნიშვნელობას იცვლის.

მოდალურ ზმნას need – ს აქვს მხოლოდ ერთი ფორმა. ინფინიტივი დაერთვის to ნაწილაკის გარეშე. ის გამოხატავს აუცილებლობას და ვალდებულებას. მისი უარყოფითი ფორმა need not გამოხატავს მოსაუბრის უფლებასა და რჩევას:

You don't need to thank him. (E. Hemingway)

შენ არ გჭირდება მადლობის გადახდა.

I reflected that French paper was bad, and that, foiled of my purpose, I need not burden myself with a purchase I did not need. (S. Maugham)

მერე გამახსენდა, რომ ფრანგული ქაღალდი არ ვარგოდა და ვიფიქრე, რადგან სტრიკლენდი მაინც ვერ მოვიშორე თავიდან, ამ ქაღალდს რაღას ვაქნებ მეთქი.

Need we write this text by tomorrow?

წვენ უნდა დავწეროთ ეს ტექსტი ხვალისათვის?

ქართულ ენაში აუცილებლობის გამოხატვისას ძირითადად გვხვდება “უნდა” მოდალური ნაწილაკი. ქართულ ენაში აუცილებლობას ასევე გამოხატავს ბრძანებითი კილო და ისეთი სიტყვები, ფრაზები, და

კონსტრუქციები, როგორიცაა: ნამდვილად, აუცილებლად, ბუნებრივია, რაღა თქმა უნდა და სხვა.

She ought never to have married him. (S. Maugham)

არა, არ უნდა გაჰყოლოდა ცოლად.

And how you should play it according to the rules. (J. Salinger)

ამ თამაშში ყოველგვარი წესები უნდა დაიცვაო.

I must hold him all I can and give him line when he must have it. (E. Hemingway)

თოკი მაგრად უნდა მეჭიროს და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მივუშვა.

Naturally she was happy. (Th. Dreiser)

ბუნებრივია უმწეო გოგონა ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს.

That did not necessarily mean that he would jump. But he might. (E. Hemingway)

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავდა, რომ თევზი აუცილებლად ამოცურდებოდა ზედაპირზე, მაგრამ ამოცურება მაინც შეეძლო.

It was about this little kid that wouldn't let anybody look at his goldfish because he'd bought it with his own money. (J. Salinger)

ერთი პატარა ბიჭის ამბავია, რომელიც არასდიდებით არ აჩვენებდა სხვას თავის ოქროს ტევზს, ჩემი ფულით მაქვს ნაყიდიო.

It was dark as hell in the foyer, naturally, and naturally I couldn't turn on any lights. (J. Salinger)

შესასვლელში, რაღა თქმა უნდა, საშინლად ბნელოდა, და იმასაც არ უნდა თქმა, რომ სინათლეს ვერ აგანთებდი.

You must go right off and get some more. (Th. Dreiser)

გასწი ახავე და კიდევ მოიტანე!

Besides, somebody will look after them. (S. Maugham)

ესეც არ იყოს, ვინმე მიხედავს.

She mightn't take much, but she would appreciate what she drank. (J. Galsworthy)

შეიძლება ბევრი არ დალიოს, მაგრამ რასაც დალექს, იმას კი შეაფასებს.

The servants must give us hot dinner on Sundays – they've nothing to do but play the concertina. (J. Galsworthy)

მსახურებმა კვირაობით ცხელი სადილი მოგვიმზადონ – სულერთია, კონცერტინოზე დაკვრის მეტს მაინც არაფერს აკეთებენ.

ლოგიკური აუცილებლობა დაფუძნებულია ლოგიკურ დასკვნაზე, უტყუარ ფაქტებზე, წინასწარ ცოდნაზე, თვითმხილველის მტკიცებულებებზე. ყოველივე ამის ნათელ მაგალითს იძლევა შემდეგი წინადადებები:

I didn't break my neck looking for him, naturally, the bastard. (J. Salinger)

რაღა თქმა უნდა, კისერი არ მომიტებია მის საძებრად.

Naturally, such a deep religious feeling made him stern with his children. (Th. Dreiser)

ბუნებრივია, რელიგიის ასეთმა ღრმა რწმენამ მკაცრი და პირქუში გახადა შვილებთან დამოკიდებულებაში.

George, on hearing the story, grinned. The hat had obviously been worn as a practical joke! (J. Galsworthy)

ჯორჯმა რომ ქუდის ამბავი მოისმინა, თავისთვის ჩაიცინა და ესა სოქვა:  
ცხადია, კარგად მოფიქრებული ტლანქი ოხუნჯობააო!

Must მოდალური ზმნა ქართულ ენაში, მაგალითების (მოძიებული 120 მაგალითის საფუძველზე) 90% გადმოიცემა "უნდა"-ს საშუალებით, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში კილოს საშუალებითაა გადმოცემული. Will (45 მაგალითი) 90% გვხვდება როგორც "იქნება" და 10% "უნდა იყოს", ought to (26 მაგალითი) და should (35 მაგალითი) ქართულ ენაში ჩვენს მიერ გამხილულ მაგალითებში ყოველთვის გადმოიცემა ან მოდალური ზმნით "უნდა" ან კილოს საშუალებით. Be bound to (30 მაგალითი) - 60% "იძულებულია", 20% "აუცილებლად" და 20%"უნდა". Naturally (18 მაგალითი) - 60% "რასაკვირველია", 25% "რა თქმა უნდა", 15% "ბუნებრივია". Evidently (12 მაგალითი) ყოველთვის გვხვდება, როგორც "აშკარად". Obviously (15 მაგალითი) თანაბრად გამოიყენება "რა თქმა უნდა" და "ცხადია". ფრაზა It is evident (9 მაგალითი) - "ცხადია."

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ინგლისურ ენაში ლოგიკური აუცილებლობის ველის ბირთვს ქმნის მოდალური ზმნა must, ხოლო პერიფერიას ქმნის მოდალური კონსტრუქცია be bound და მოდალობის გამომხატველი სიტყვები: naturally, evidently, obviously. ქართულ ენაში კი აუცილებლობის გამომხატველი მოდალობის ველის ბირთვია მოდალური ზმნა უნდა, ხოლო პერიფერიას ქმნის ისეთი სიტყვები და გამოთქმები როგორიცაა: ნაძღვილად, აუცილებლად, ბუნებრივია, რაღა თქმა უნდა და სხვა. ყოველივე ამის დამადასტურებელია სქემა, რომელიც წარმოგვიდგენს აუცილებლობის გამომხატველ მოდალობას ინგლისურსა და ქართულ ენებში:

**აუცილებლობის გამომხატველი მოდალობა ინგლისურ ენაში**

მოდალური ზმნები	მოდალური სიტყვები	მოდალური კონსტრუქციები
must	naturally	
have to		
should	evidently	be bound
ought		
will	obviously	
would		

**აუცილებლობის გამომხატველი მოდალობა ქართულ ენაში**

მოდალური ზმნები	მოდალური ნაწილაკები	მოდალური სიტყვები	მოდალური ფრაზები
უნდა	მაინც	ბუნებრივია რასაკვირველია აშკარად ცხადია	რაღა თქმა უნდა

**აუცილებლობის გამომხატველი მოდალური საშუალებები  
ინგლისურ და ქართულ ენებში**

მოდალური საშუალებები	ინგლისური ენა	ქართული ენა
მოდალური ზმნები	must have to should ought will would	უნდა
მოდალური ნაწილაკები		მაინც
მოდალური სიტყვები	naturally evidently obviously	ბუნებრივია რასაკვირველია აშკარად ცხადია
მოდალური ფრაზები	be bound	რაღა თქმა უნდა

### §3. დაურწმუნებლობის (ეჭვის) გამომხატველი მოდალობა

ეჭვის მოდალური მნიშვნელობა გამოხატავს მოსაუბრის არასრულ ცოდნას ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის შესაძლებლობის შესახებ. ამ ტიპის მოდალობა ეხება წინადადების ძირითად მოდალობას, ადლიერებს კავშირებითი კილოთი გამოხატული ირეალობის პიკოთებულ მნიშვნელობას, ან ანეიტრალებს რეალობის მოდალობას, რომელიც თხრობითი კილოთია გამოხატული.

უფრო ხშირია მოდალური კონსტრუქცია ზმნასთან seem, რომელსაც რამდენიმე ვარიანტი აქვს: It seems+Noun/Adjective, Noun+seem+Infinitive/Participle/Adjective; there seem to be; It seem to me/him+that-clauses.

To old Jolyon it seemed that his son had grown. (J. Galsworthy)

მოხუც ჯოლიონს მოეჩვენა, რომ შვილი გაზრდილიყო.

He seemed embarrassed so I dropped the subject.

ის შეცტენებული ჩანდა და საკითხს თავი დავანებე.

It seems to me that young man must have boasted me to some purpose.

მომეჩვენა, რომ ახალგაზრდა კაცი რატომდაც მეტრაბახებოდა.

მოდალური კონსტრუქცია ზმნა seem – ით შეიძლება შეგვხვდეს უარყოფით ფორმაში, თუმცა ასეთი შემთხვევა იშვიათია. ის ძირითადად თხრობით წინადადებებში გვხვდება.

They didn't seem to know what the hell to do with their suitcase, so I gave them a hand.

(J. Salinger)

აღარ იცოდნენ, რა ჯანდაბა ექნათ ამ ჩემოდნებისათვის, და მე მივეშველე.

She was about sixty years older than Mr. Antolini, but they seemed to get along quite well. (J. Salinger)

ბარე სამოცი წლით უფროსი იქნებოდა მისტერ ანტოლინიზე, მაგრამ, ეტყობოდა, კარგად შეეთვისნენ ერთმანეთს.

It seems to him that this hotel was the center and circumference of all that was worth while in the social sense. (Th. Dreiser)

მისი აზრით, სწორედ ეს სასტუმრო იყო ცენტრი ძლიერთა ამაქეებისათა.

No one ever seemed to like or to appreciate her half as much as he did. (Th. Dreiser)

ალბათ, ჯერ არავის ჰყვარებია, არ დაუფასებია იგი ისე, როგორც ამ კაცს.

ნაკლებ გავრცელებულია მოდალური კონსტრუქცია ზმნით appear:

He appeared pale (P. Wodehouse)

ფერმერთალი ჩანდა.

As far as I could gather, he appears to be the victim of a burglary. (Th. Peacock)

რამდენადაც მე ვიცი, ის ეტყობა ძარცვის მსხვერპლია.

ეს მოდალური კონსტრუქციები გვხვდება როგორც ავტორთა ტექსტში, ასევე სპონტანურ დიალოგში და გამოხატავს მოსაუბრის დაურწმუნებლობას ფაქტების ან ცნობების სიზუსტეში, რომლის მოწმეც თვითონა ან რომლებიც მიღებულია სხვა წყაროებიდან:

Piorot hesitated for a moment before he replied. He seemed to be considering. (A. Chrisite)

პუაროტი შეეყომანდა სანამ უპასუხებდა, ეტყობა ფიქრობდა.

Everything appeared to be as arranged; the kid Osvald was on the bridge, and as Bingo wasn't visible I took it that he had got into position. (Th. Peacock)

კველაფერი დაგეგმილისამებრ ჩანდა, ოსვალდი ხიდზე იყო და რადგანაც ბინგო არ ჩანდა, ვიფიქრე, რომ თავისი ადგილი დაეკავებინა.

მოდალური ფრაზები გამოიყენება მთავარი წინადადების ფუნქციით, სადაც გამოიხატება პრეპოზიცია, რომლის საფუძველზეც მთავარ წინადადებაში წარმოიქმნება გარკვეული ეჭვი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ენაში მოდალურ ზმნათა ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურება ისაა, რომ ისინი სემანტიკურად დაკავშირებულნი არიან სხვა ზმნურ ფორმასთან, ანუ წინადადებაში მოდალური ზმნით გამოიხატება მთქმელის დამოკიდებულება იმ მოქმედებისადმი, რასაც წინადადების კონსტრუქციაში მონაწილე მეორე ზმნა გადმოსცემს. მაგალითად: იქნებ სურდა კველაფერი თავად მოგევარებინა. ისინი წინადადებაში სრულ ინფორმაციას მხოლოდ სხვა ზმნურ ფორმასთან ერთად იძლევიან.

მოდალურ ფრაზას doubt უკავშირდება if-კავშირის საშუალებით და შეიძლება ეხებოდეს ახლანდელს, წარსულს და მომავალს. მოდალური ფრაზა it looks (to me)-სთან დაკავშირება ხდება as if, as though -ს საშუალებით კავშირებით კილოში:

I doubt if they'll come back for dinner. (E. O'Neill)

კველაფერი, რომ სადილისთვის დაბრუნდნენ.

It looks to me as if the sun were breaking through the clouds. (C. Forbes)

მომენტები თითქოს მზე ღრუბლებიდან გამორღვევას ცდილობდა.

მოდალურ ფრაზებს It is doubtful, I'm not certain, I don't think დამატებით უკავშირდება კავშირ that-is საშუალებით ან კავშირი საერთოდ არ არის:

I doubt if they'll come back for dinner. (E.O'Neill)

კვეჭობ, რომ სადილისთვის დაბრუნდნე.

It is doubtful (I don't think; I am not certain) that he'll come.

საეჭვოა (არა მგონია, არ ვარ დარწმუნებული), რომ მოვლენ.

Hardly, Scarcely მოდალური ნაწილაკები გამოხატავენ მოსაუბრის ეჭვს და შეიძლება ეკუთვნოდეს მთელ წინადაღებას, ასევე მის ცალკეულ ნაწილს, გამოიყენება სახელობით შემასმენლთან ერთად. მეტყველებაში ახასიათებს უმნიშვნელო გამოყენება:

...if you had not known who he was (which was scarcely possible, for in one way or another his photograph was always appearing in the illustrated papers) you might have taken him for an officer of high rank. (S. Maugham)

რომ არ გცოდნოდა ვინც იყო (რაც სავსებით შესაძლებელი იყო, ამა თუ იმ გზით მი სურათი ყოველთვის ილუსტრირებულ გაზეოვებში იყო) მაღალი რანგის ოფიცერი გეგონებოდა.

მოდალური ნაწილაკი hardly შეიძლება აგრეთვე შევიდეს რთული მოდალური შემასმენლის შემადგენლობაში და გამოიყენებოდეს აბსოლიტურ პოზიციაში. მოდალური ნაწილაკი possibly აძლიერებს დაურწმუნებლობის მნიშვნელობას ალბათობის მოდალობის გამოხატვისას გადმოცემული მოდალური ზმნებით can, may და გამოიყენება მხოლოდ მოცემული ზმნის პოსტპოზიციაში:

He can hardly have arrived yet;

კვეჭობ, რომ დაბრუნებულიყვნენ.

You can hardly expect me to believe that. (R. Close)

არა მგონია ფიქრეობდე, რომ ეს დავიჯერე.

You couldn't possibly have slept in that carriage. (S. Maugham)

ვაგონში ვერ დაიძინებდი.

მოდალური ნაწილაკები hardly, scarcely უნდა განვასხვაოთ ომონიმური ზმნიზედებისაგან, რომელიც გამოხატავს თვისებათა ხარისხს ზმნებთან, არსებით სახელთან და განუსაზღვრელ ნაცვალსახელთან შეთანხმებით:

He scarcely have taken her side.

საეჭვოა მისი მხარე დაეჭირა.

He hardly ever forgets to bring anything I might want.

მას არასოდეს ავიწყდება იმის მოტანა რაც მე მსურს.

I have hardly any anti-freeze in the car. (J. Salinger)

კეჭვობ მანქანაში ანტიფრიზი აღარ უნდა მქონდეს.

ეჭვის განსაკუთრებული ფორმის გამოხატვა შეიძლება კითხვით კონსტრუქციებით: გამყოფი კითხვა, წარმოთქმული დაღმავალი ტონით და საზოგადო კითხვა, ზოგიერთს, როგორც წესი, პასუხი არ სჭირდება. Tag - question (განმყოფი კითხვა) წინადადების კატეგორიულობის შესუსტების ფორმაა მასში გარაუდის ელემენტების შეტანით:

He was driving too fast wasn't he?

ის ძალიან სწრაფად ატარებდა, არა?

"Was that me?" said he in an awed voice, hardly daring to believe it. (E. A. Poe )

მე ვიყავი? მოკრძალებული ხმით იკითხა მან და თან უჭირდა ყოველივე ამის დაჯერება.

You are his wife, aren't you? What ever I have done, I've never been able to forget that fact.

მისი ცოლი ხარ, არა? რაც კი ოდესმე გამიკეთებია ის არის, რომ არასოდეს მსურდა ამ ფაქტის დავიწყება.

როგორც განხილული მაგალითები გვიჩვენებს, ეჭვი ინგლისურ ენაში გამოიხატება ზმნა seem-to-be დაკავშირებული კონსტრუქციებით, მოდალური ნაწილაკებით – hardly, scarcely, და ფრაზებით – as if, as though, I don't think, I'm not certain. ქართულ ენაში ეჭვისა და ვარაუდის მოდალობა გამოხატვის საშუალებების მსგავსებით უახლოვდება ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში გვხვდება მოდალური ელემენტები: ალბათ, იტყობ, უტყობა.

Maybe he was as poor as we are and would understand. (E. Hemingway)

ვინ იცის, იქნებ ჩვენთვის დარიბი იყო, და ყველაფერს მიგვიხვდებოდა.

He thought maybe they just let him go because he couldn't pay the fine. (Th. Dreiser)

ასე ჰგონია, ალბათ შეატყვეს, ჯარიმის გადამხდელი არ არისო და გაუშვეს.

She was about sixty years older than Mr. Antolini, but they seemed to get along quite well.

(J. Salinger)

ბარე სამოცი წლითუფროსი იქნებოდა მისტერ ანტოლინიზე, მაგრამ, ეტყობოდა, კარგად შეეთვისნენ ერთმანეთს.

Her son was doubtless the biggest bastard that ever went to Pency, in the whole crumby history of the school. (J. Salinger)

რაც ეს ბინძური სკოლა არსებობს, ამის შვილზე საზითდარ ნაძირალას ალბათ ჯერაც არავის დაუდგამს ფეხი იქ.

ასევე მოსაუბრის ეჭვს გამოხატავს მოდალური ნაწილაკები hardly და scarecely, რომლებიც შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც მთელ წინადაღებას, ასევე მის ცალკეულ ნაწილს. მოდალური ნაწილაკი possibly მოდალურ ზმებთან can და may\_სთან ერთად აძლიერებს დაურწმუნებლობის შეგრძნებას:

He had hardly seen anything of her since it began. (J. Galsworthy)

რაც ეს მბავი დაიწყო, მოხუც ჯოლიონს კარგად არც\_კი უნახავს შვილიშვილი.

Even now I can hardly believe it's true.(S. Maugham)

ჯერ ყვალაფერი სიზმარი მგონია.

Perhaps Charles Strickland's power and originality would scarcely have sufficed to turn the scale if the remarkable mythopoeic faculty of mankind had not brushed aside with impatience a story which disappointed all its craving for the extraordinary. (J. Galsworthy)

იქნებ ჩარლზ სტრიკლენდის შემოქმედება იმდენად ძლიერი და ორიგინალური არც\_კი იყო, რომ თავისით წამომდგარის ფეხზე, მაგრამ ადამიანთა მოდგმა, რომელიც ყოველივე განსხვავებულსა და არაჩვეულებრივს ეტრფის, შეურაცხყოფილი დარჩა და მაშინვე უკუაგდო შვილის მონათხრობი.

ზმა seem- თან (მოძიებული 58 მაგალითიდან) დაკავშირებული ფრაზები ქართულში გადმოიცემა შემდეგი საშუალებებით: "ჩანდა" 35%, "მოეჩვენა" 20%, "ეტყობა" 15%, "მისი აზრით" 10%, "ალბათ" 20%. Appear (35 მაგალითი) - 70% "ეტყობა" და 30% "ჩანდა". ფრაზები doubt-ით გადმოიცემა, როგორც "ვეჭვობ, საეჭვოა". Hardly (24 მაგალითი) - "ვვეჭვობ" 50%, "არა მგონია" 40% და "არც კი" 10%. Scaresly (14 მაგალითი) გვხვდება როგორც "საეჭვოა, არც კი".

როგორც განხილული მაგალითები გვიჩვენებს, დაურწმუნებლობის ველს ინგლისურ ენაში ქმნის მოდალური კონსტრუქცია ზმა seem -ით, მოდალური ფრაზები doubt – if, as if, as though, I don't think, I'm not certain და მოდალური ნაწილაკები hardly და scarcely.

ქართულ ენაში ეჭვის გამომხატველია კითხვითი კონსტრუქციები, მოდალური სიტყვები და ნაწილაკები: *იქნება*, *აღბათ*, *ეტყობა*, *ჩანდა*, *მოუჩვენა*, *მომუშვენა* და *სხვა*. მოდალური ნაწილაკები *"იქნება"* და *"აღბათ"* გამოიყენება როგორც ეჭვის, ასევე გარაუდის გამოხატვისას.

სქემა №8

### დაურწმუნებლობის გამომხატველი მოდალობა ინგლისურ ენაში

მოდალური ნაწილაკები	მოდალური კონსტრუქციები	მოდალური ფრაზები
hardly	It seems + Noun/Adj.	Doubt _ if as if
scarcely	Noun + seem + Infinitive/ Participle/ Adjective  there seem to be	as though I don't think I'm not certain

**დაურწმუნებლობის გამომხატველი მოდალობა ქართულ ენაში**

მოდალური ნაწილაკები	მოდალური სიტყვები	მოდალური ფრაზები
ალბათ იქნებ	ეტყობა გვეჭვობ მომეჩვენა	აღარ იცოდნენ მისი აზრით ვინ იცის იქნებ

**დაურწმუნებლობის გამომხატველი მოდალური საშუალებები  
ინგლისურ და ქართულ ენებში**

მოდალური საშუალებები	ინგლისური ენა	ქართული ენა
მოდალური ნაწილაკები	hardly scarcely	ალბათ იქნებ
მოდალური სიტყვები	seem	ეტყობა გვეჭვობ მომეჩვენა
მოდალური ფრაზები	Doubt _ if as if as though I don't think I'm not certain	აღარ იცოდნენ მისი აზრით ვინ იცის იქნებ

#### §4. დარწმუნებულობის მოდალობა

რეალობის ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშანს შორის კავშირის არსებობა დარწმუნებლობის მნიშვნელობით ეხება რეალობის ობიექტურ მოდალურ მნიშვნელობას და აძლიერებს ამ კავშირს სუბიექტური შეფასების ხარჯზე:

ის აუცილებლად მოვა=ის მოვა, მე დარწმუნებული ვარ.

Sure/certain+Infinitive გამოიყენება, ძირითადად, სამეცნიერო სტილის თხრობაში, დამახასიათებელია ფორმალური რეგისტრისათვის. ქართული შესატყვისია უქაველად, უდავოდ, რასაკვირველია.

He is certain to leave something behind. (C. Forbees)

ის დარწმუნებულია, რომ უზრუნველ შთამომავლობას ტოვებს.

He's sure to notice what's gone from the bottle. He has the eye of a hawk for that. (E. O'Neill)

ის დარწმუნებულია, რომ შეამჩნევს ბოთლიდან რაც გადმოისხმება. მას მახვილი თვალი აქვს.

Of course გამოხატავს მოსაუბრის დარწმუნებულობას, რომელიც დაფუძნებულია აშკარა ფაქტზე, საგანთა ჩვეულებრივი მდგომარეობის ცოდნაზე. თავისი დარწმუნებულობის გამოხატვისას მოსაუბრე იმედოვნებს ადრესატის ასეთსავეხარისხით დარწმუნებულობას, რომელიც გამომდინარეობს კომუნიკანტების საერთო სოციალური გამოცდილებიდან. გამოიყენება თავისუფალ რეგისტრში კომუნიკანტებს შორის ახლო ურთიერთობისას, აგრეთვე ავტორისეულ თხრობაში, მკითხველთან კონტაქტის დამყარებისას, ექრდნობა საერთო ცოდნას და გამოცდილებას:

I could be a little drinking all by myself, of course. There's always that. (P. Benchley)

რა თქმა უნდა, შეიძლება ცოტას ვსვამდე. ეს ყოველთვის ასეა ხოლმე.

მოდალურ სიტყვათა პოზიცია ინგლისურ ენაში წინადადებაში დაფიქსირებული არ არის, თუმცა უფრო ხშირია მათი ბოლო პოზიციაზე დგომა. ხმარების შედარებით გავრცელებული მოდელია თხრობითი წინადადება. ამის გარდა, შესაძლებელია მოდელი გამოიხატოს დიალოგში დადებითი პასუხის სახით. თუმცა მოცემული ფორმა არ არის მიღებული უმცროსის უფროსთან ურ-

თიერთობისას, რადგან ხაზს უსვამს მოსაუბრის მიერ საერთო ცნობილი და აშ-  
კარა ფაქტების არცოდნას:

Edmund: You treated them, isn't that it, Mama?

Mary: Yes, of course. They work hard for poor wages. (E.O'Neill)

ედმუნდი: დედა, შენ მათ გაუმასპინძლდი, არა?

მერი: დიახ, რა თქმა უნდა. ისინი უამრავს მუშაობენ ერთი ორი  
ჯაპიჯისათვის.

წაქეზების, რაიმე შეთავაზების, მოწვევაზე პასუხის აქტებში of course გა-  
მოხატავს ემფატურ დათანხმებას:

"Can't we go father into the country?" - 'Of course', he said.

Anything you like. (G. Green)

"უფრო დრმად ვერ შევალოთ?" - "რა თქმა უნდა", უპასუხა მან.

